

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ანა ახალაძე

იდიომური გამოთქმები
ქართულსა და თურქულ ენებში

(წარმოდგენილია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
პროფესორი მ. კიკვაძე
ასოც. პროფესორი ლ. თანდილავა

ბათუმი – 2021

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ახლაძე

10.04.2021 ახალი თარიღი დასვო

ს ა რ ზ ე ვ ი :

შესავალი	5
თავი I. იდიომის რაობა. ისტორია და განვითარება	
§ 1. რა არის იდიომი?.....	13
§ 2. იდიომთა და ფრაზეოლოგიზმთა გამიჯვნისათვის	23
§ 3. ქართული და თურქული იდიომების წარმოშობა-განვითარება	32
თავი II. იდიომთა სტრუქტურა და მორფო-სინტაქსური ანალიზი	
§ 1. ქართულ იდიომთა სტრუქტურა.....	47
§ 2. თურქულ იდიომთა სტრუქტურა	56
§ 3. ქართულ და თურქულ იდიომთა მორფო[-სინტაქსური ბუნება და შეპირისპირებითი ანალიზი	65
თავი III. იდიომთა სემასიოლოგიური ანალიზი; თანამედროვე იდიომები	
§ 1. იდიომთა კლასიფიკაცია	78
§ 2. კონცეპტები ქართულ და თურქულ იდიომებში	93
§ 3. უნივერსალიები ქართულსა და თურქულში	104
§ 4. იდიომები თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში.....	113
დასკვნები	121
გამოყენებული ლიტერატურის სია	126
ინტერნეტრესურსები:	131

შესავალი

ენის სიმდიდრეს, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ხატოვან გამოთქმათა, მათ შორის, იდიომთა მრავალფეროვნებაც განაპირობებს. ქართული ენა ამ მხრივ მართლაც განსაკუთრებულია, რადგან როგორც სალიტერატურო-სამწერლობო, ისე ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში ხშირია ისეთი ლექსიკური წყობა, რომელიც სიტყვა-სიტყვით არც გაიგება და არც ითარგმნება. იგივე შეიძლება ითქვას თურქულ ენაზეც. ჩვენს მეზობელ ქვეყანაშიც მეტყველების მაღალი კულტურის მანიშნებელია იდიომების საშუალებით აზრის ხატოვნად, სხარტად გადმოცემა და გამოთქმისათვის ერთგვარი ემოციურობისა და ექსპრესიულობის მინიჭება.

აღსანიშნავია, რომ იდიომი ხშირ შემთხვევაში ეროვნულ ნიადაგზე იზადება და ამა თუ იმ ხალხის ყოფისა და აზროვნების თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, მისით შესაძლებელია ერის ისტორიის, კულტურისა თუ მსოფლგაგების თავისებურებებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნაც. პარალელურად, საგულისხმოა ის მსგავსებაც, რომელიც ახასიათებს სხვადასხვა ენის იდიომებს, ჩვენს შემთხვევაში ქართულსა და თურქულს. თურქულენოვან სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანმა თანაცხოვრებამ ამ ორი ენის განვითარებასა და ლექსიკური მარაგის გამრავლებასაც შეუწყო ხელი. ამ ურთიერთობამ გარკვეული ასახვა ჰპოვა იდიომებზეც, რომლებიც ხშირად საინტერესო კავშირებს გვიჩვენებს ქართულ-თურქულ ენებში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 2006 წელს ე. მამულიას მიერ გამოცემულ თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში, რომელშიც ბევრი იდიომია შესული, მოყვანილ 2300-მდე გამოთქმაში 40 პროცენტზე მეტი მსგავსებაა როგორც ლექსიკური კომპონენტების მიხედვით, ისე აზრობრივი მნიშვნელობით. გასაგებია, რომ ამ ენებში იდიომთა მარაგი გაცილებით დიდია და, შესაბამისად, ამ დაკვირვების განზოგადება მართებული ვერ იქნება, მაგრამ საკმაო რაოდენობით საერთო, მსგავსი იდიომების, ე. წ. უნივერსალიების არსებობა ქართულსა და თურქულში, თავისთავად საინტერესოა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებულია ლინგვოკულტუროლოგიური, სოციოლინგვისტური კვლევები, რომელ-

თა უმეტესობა სწორედ იდიომა-ფრაზეოლოგიზმების შესწავლას ეხება. აქ კარგად ჩანს სხვადასხვა ეთნოსის ისტორია, ყოფა, კულტურა, თანამედროვე რეალობა. სწორედ ეს განაპირობებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას და სამეცნიერო ღირებულებას. პრობლემის შესწავლას, ერთგვარად, აქტუალობას მატებს ის ფაქტიც, რომ თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა, რის გამოც ჩვენს ქვეყნებში სულ უფრო მზარდი ინტერესია ერთმანეთის ისტორიის, კულტურისა და, მათ შორის, ენის შესწავლისა. ყოველივე აქედან გამომდინარე, საკითხის სათანადო ანალიზი, ფართო სამსჯავროზე მისი გამოტანა, ვფიქრობთ, საჭირო და აუცილებელიცაა.

ნიკო მარი წერდა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოსხას...“ [<http://www.geolit.ge>]. გარკვეულწილად, სწორედ „მხატვრულ ყალიბში ჩამოსხმული“ აზრების შინაგანი და გარეგანი ბუნების კვლევას ეძღვნება წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი.

ჩვენ მიზნად დავისახეთ სამეცნიერო საზოგადოებისთვის წარმოგვედგინა ერთობ საინტერესო, მაგრამ სხვადასხვა ენაში, სხვადასხვა კუთხით მრავალგზის შესწავლილი და განხილული მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ჩვენეული ინტერპრეტაცია, კერძოდ, ჩვენი კვლევის საგანია ის ხატოვანი გამოთქმები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრდა ქართულსა და თურქულ ენებში და რომლებსაც არ გააჩნიათ პირდაპირი, სიტყვასიტყვითი გაგება. ასეთ ხატოვან გამოთქმათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები და შეიძლება ითქვას, საკამათოც, იდიომებია. იდიომი განმარტებით იგივეა, რაც იდიომატური გამოთქმა.

ჩვენი მიზანია სათანადო მასალების მოშველიებით, შესაბამის ლიტერატურაზე და დღემდე არსებულ კვლევებზე დაყრდნობით შევისწავლოთ იდიომატური გამოთქმები ქართულ და თურქულ ენებში, წარმოვაჩინოთ გეოგრაფიულად ორი მეზობელი ერის იდიომთა შეპირისპირებითი ინტერპრეტაცია (კომპარაცია); გავარკვიოთ იდიომის რაობა, მისი განვითარების ეტაპები, წინა პლანზე წამოვწიოთ იდიომთა მორფოლოგიური, სინტაქსური და სემასიოლოგიური ანალიზი. რა თქმა უნდა, უყურად-

ლებოდ არ უნდა დავტოვოთ თანამედროვე იდიომები. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, ბუნებრივია, დავსახეთ გარკვეული ამოცანების შესრულება, რამაც გაავადვილა კვლევის წარმართვა. უპირველესად, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ იდიომები და ფრაზეოლოგიზმები, რადგან დიდ მსგავსებასთან ერთად, არის მათ შორის განმასხვავებელი ნიშნებიც. ამავე დროს, პარალელურ რეჟიმში, უნდა განვიხილოთ ქართული და თურქული იდიომების წარმოშობა-განვითარება, სტრუქტურა, მორფოსინტაქსური ბუნება, მათი კლასიფიკაცია. არანაკლებ მნიშვნელოვნად გვეჩვენება თანამედროვე ინტერნეტსივრცესა და პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული სრულიად ახალი იდიომების შედარებითი ანალიზი. ესეც, ასევე, წარმოადგენს ჩვენი **სადისერტაციო ნაშრომის სიახლეს.**

კვლევა ძირითადად ეყრდნობა ქართულ და უცხოენოვან (თურქულ, ინგლისურ, რუსულ) სამეცნიერო წრეებში გავრცელებულ მონოგრაფიებს, თეორიულ სახელმძღვანელოებს, პუბლიკაციებს, სხვა სამეცნიერო ლიტერატურას, რამაც ხელი შეგვიწყო საკითხის სიღრმისეულად გაცნობაში, იდიომების შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართა მსგავს და განსხვავებულ მოსაზრებათა დადგენაში. ეს არის **ნაშრომის თეორიული ღირებულება.**

შესასწავლი საკითხის ფართო ინტერესიდან გამომდინარე, არანაკლებ მნიშვნელოვანია სადისერტაციო **ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება.** ვფიქრობთ, ემპირიული მასალა, კვლევის შედეგები საყურადღებო და მისაღები იქნება ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით. მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება რამდენიმე მიმართულებით: ლინგვოკულტუროლოგია, ეთნოლინგვისტიკა, თარგმანთმცოდნეობა. ჩვენი ნაშრომი დახმარებას გაუწევს იდიომების შესწავლით დაინტერესებულ ბაკალავრებს, მაგისტრატურისა თუ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს.

იდიომთა წარმოშობას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა და სწორედ ამ ფაქტორთა სწორი გაგება და გააზრება წარმატებული და ობიექტური კვლევის საწინდარია. აღიარებულია, რომ სამეცნიერო კვლევა გულისხმობს ლოგიკურ აზროვნებას, თეორიებისა და იდეების შეჯერებასა და ახალი მოსაზრებების ფორმულირებას.

საკვლევო თემის მეთოდოლოგიური საფუძველი განისაზღვრება მიზნებით და ამოცანებით, რომლებიც ეფუძნება ქართული და თურქული იდიომების ტიპოლოგიურ, სემასიოლოგიურ ანალიზს, იდიომთა შემადგენელი კომპონენტების ლექსიკურ დონეს. წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია სამეცნიერო სფეროში ფართოდ გავრცელებული და აღიარებული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინდუქციური და დედუქციური მეთოდების, დაკვირვებისა და ემპირიული მიდგომების ერთობლიობას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაშრომზე მუშაობის პროცესში, გარკვეულ ეტაპებზე დგებოდა კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების ან მათი მონაცვლეობის აუცილებლობა. თავიდან გვიხდებოდა მასალების მოპოვება-სისტემატიზაცია. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება როგორც ქართული, ისე თურქული იდიომები. შემდგომ ეტაპზე ვაჯერებდით და ვაანალიზებდით ემპირიულ მასალას, ვიკვლევდით მათ შორის მიმართებებს. საბოლოოდ კი, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე ვაკეთებდით შესაბამის დასკვნებს.

აღსანიშნავია, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა, კონკრეტულად იდიომთა, კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. დღეისათვის იდიომატიკა ენათმეცნიერების ცალკე დარგია, რასაც საფუძველი გასულ საუკუნეში ჩაეყარა. ამ მიმართულების კვლევები დასავლეთში დაიწყო, რამაც მისცა ბიძგი პრობლემის შესწავლას სხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში.

იდიომის რაობის გარკვევა დაიწყო ბრიტანელმა მეცნიერმა უ. მაკმორდიმ, რომელმაც გასული საუკუნის დასაწყისში, კემბრიჯში გამოცემულ სახელმძღვანელოში, ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა ამ ფრაზეოლოგიური ერთეულის დახასიათება.¹ მისი გზა განაგრძეს ფ. ვიზეტელიმ და ლ. დე ბეკერიმ, რომლებიც შეეცადნენ საკითხში უფრო მეტი სიცხადის შეტანას.²

1. McMordie W., English Idioms and How to Use Them, fifth edition, Oxford, 1929 (წიგნის ამ, მეხუთე გამოცემაში მითითებულია, რომ პირველად იგი მკითხველმა მიიღო 1909 წელს).

2. Vizetelly F. H., De Bekker L. J., A Desk-Book of Idioms and Idiomatic Phrases in English Speech and Literature, New York and London, 1923.

იდიომატიკის სფეროში მნიშვნელოვანი ნაშრომი ეკუთვნის მ. რობერტსს, რომელმაც სოციოკულტურული ასპექტების შემოტანა სცადა. მისთვის ენის სიმდიდრეს იდიომატურ გამონათქვამთა სიმრავლე განაპირობებდა. შესაბამისად, გამორჩეულ ენად მას ძველბერძნული მიაჩნდა.³ კიდევ უფრო შორს წავიდა ამერიკელი მეცნიერი ჩ. ჰოკეტი, რომელმაც მოგვცა იდიომთა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.⁴

გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნდა ა. მაკაის ფუნდამენტური ნაშრომი ინგლისური იდიომის სტრუქტურის შესახებ, სადაც მან ჩამოაყალიბა კრიტერიუმები იდიომების იდენტიფიკაციისთვის.⁵ რა თქმა უნდა, კვლევა გაგრძელდა მომდევნო ათწლეულებში და გრძელდება დღესაც.

იდიომატური გამოთქმების კვლევას დიდი გასაქანი მიეცა საბჭოთა კავშირში. საბჭოთა ენათმეცნიერთაგან აღსანიშნავია ვ. ვინოგრადოვის დამსახურება, რომლის თეორია და კლასიფიკაცია ერთ-ერთი ყველაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.⁶ რუსული ფრაზეოლოგიზმების კვლევას მიეძღვნა ა. მოლოტკოვის, ვ. თელიას და სხვათა ნაშრომები.

პარალელურად, ამ სფეროში თავიანთი წონადი სიტყვა თქვეს ქართველმა ენათმეცნიერებმაც. თ. სახოკიამ ჯერ კიდევ 1938 გამოცემულ ნაშრომში – „ვეფხისტყაოსნის“ ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი – ერთ-ერთმა პირველმა განიხილა იდიომატიკის საკითხები. მოგვიანებით იმავე ავტორმა გამოსცა ლექსიკოგრაფიული ხასიათის სამტომეული,⁷ რომელიც მიეძღვნა ხატოვან გამოთქმებს. ფრაზეოლოგიის საკითხების კვლევას მიუძღვნა ა. თაყაიშვილმა 1961 წელს წიგნად გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომი,⁸ რომელშიც შეჯამებულია ამ მიმართულებით მანამდე არსე-

3. Roberts M. H., The Science of Idiom: A Method of Inquiry into the Cognitive Design of Language, PMLA, Modern Language Association, Vol. 59, No. 1 (Mar., 1944), pp. 291-306.

4. Hockett, C. F., A Course in Modern Linguistic, New York, 1958.

5. Makkai A., Idiom Structure in English, Paris, 1972.

6. Виноградов В., Русский язык. Грамматическое учение о слове, М., 1947.

7. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა თქმანი, I-II-III, თბ., 1950, 1954, 1955.

8. თაყაიშვილი ა. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.

ბული მოსაზრებები თუ თეორიები და მოცემულია ფრაზეოლოგიზმების (მათ შორის იდიომების) ანალიზი სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით.

ქართული იდიომების მოძიებისა და ცალკეული საკითხის დამუშავების მიმართულებით დიდი შრომა გასწიეს ალ. ონიანმა,⁹ შ. აფრიდონიძემ,¹⁰ თ. გამყრელიძემ და სხვებმა. ბოლო პერიოდში საინტერესო დისერტაციები დაიცვეს ი. ლობჯანიძემ,¹¹ ი. რუსაძემ¹², ნ. ზაალიშვილმა.¹³ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნ. ცეცხლაძის მონოგრაფია¹⁴, რომელიც ფრაზეოლოგიზმების კვლევას ეძღვნება. მასში მოცემულია სემანტიკური, გრამატიკული, სემასიოლოგიური, სტილისტიკურ-კონოტაციური, პრაგმატიკული და ა.შ. კვლევის შედეგები. მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება მათ ლინგვოკულტუროლოგიურ ღირებულებაზე. კულტურათაშორისი დიალოგის კონტექსტში განხილულია ფრაზეოლოგიურ ვარიანტთა თარგმნის პრობლემებიც.

თურქულ ენათმეცნიერებაში იდიომების შესწავლა, ძირითადად, მიმდინარეობს ხატოვან გამოთქმებთან და ანდაზა-აფორიზმებთან მიმართებით. თავად სიტყვა „იდიომი“ ნაკლებად გამოიყენება. თურქული სიტყვა ‘Deyim’, რომელიც XX საუკუნის 30-40-იან წლებში დამკვიდრდა, გამოიყენება როგორც იდიომის, ისე, ზოგადად, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელობით.

თურქ ავტორთაგან, რომლებმაც გარკვეული შრომა გასწიეს იდიომის რაობის, სტრუქტურის, მორფოსინტაქსური და სემასიოლოგიური შესწავლის კუთხით, აღსანიშნავია ო. აქსოი,¹⁵ რომელმაც თავის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომში მოგვცა იდიომის

9. ონიანი ალ., ქართული იდიომები, თბ., 1966.

10. აფრიდონიძე შ., იდიომი და იდიომურობა, საენათმეცნიერო ძიებანი, III, თბ., 1983.

11. ლობჯანიძე ი., იდიომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში, თბ., 2012.

12. რუსაძე ი., სომატური იდიომები ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე), ქუთ., 2010.

13. ზაალიშვილი ნ., ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული, რუსული და ესპანური ენების მასალის მიხედვით), თბ., 2018.

14. ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, თბ., 2018.

15. Aksoy Ö. A., Atasözleri ve Deyimler Sözlüğü 1-2, İnkılâp Kitabevi, İstanbul, 1988.

დახასიათება, კვლევა მისი ბუნებისა და სტრუქტურის შესახებ. ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების სისტემატიზაცია ეკუთვნის, ასევე, ა. პარს.¹⁶

იდიომების რაობაზე საინტერესო გამოკვლევები ეკუთვნის დ. აქსანს,¹⁷ ლ. უზუნს,¹⁸ ა. სინანს¹⁹ და სხვებს. რა თქმა უნდა, ამ ავტორებით არ ამოიწურება თურქულ ენათმეცნიერებაში ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების კვლევა, თუმცა, ძირითადი ნაწილი, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ჩვენთვის, წარმოდგენილია ქვევით, შესაბამისი საკითხების განხილვისას.

თურქულ იდიომებს, მათი თარგმნის პრობლემებს, თურქულ-ქართულ სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებს და მათ ლინგვო-კულტურულ თავისებურებებს სამეცნიერო სტატიები მიუძღვნეს ქართველმა მკვლევრებმა: მ. კიკვაძემ,²⁰ ლ. თანდილაძემ,²¹ მ. ხახუტაიშვილმა,¹⁸ ნ. ცეცხლაძემ,¹⁹ ლ. ჭყონიამ.²²

საბოლოოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნულ და სხვა ავტორთა შრომების გაცნობამ შესაძლებლობა მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა იდიომის სპეცი-

16. Par A. H., Türkçe Deyimler Sözlüğü, Serhat Dağıtım Yayınları, İstanbul, 1993.

17. Aksan D., Her Yönüyle Dil – 3, TDK Yay., Ankara, 1982.

18. Uzun L. S. Dilbilimi açısından deyim kavramı ve Türkiye türkçesindeki örneklerin incelenmesi, Yüksek Lisans Tezi, Ankara, 1988; Deyimleşme Ve Türkçede Deyimleşme Dereceleri, Dilbilim Araştırmaları, 1991.

19. Sinan A. T., Türkçenin Deyim Varlığı, Kubbealtı Yay., Malatya, 2001; Deyim kavramı üzerine notlar-I, Fırat Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi, Cilt: 18, Sayı: 2, Elazığ, 2008; Deyimlerin yapısı değişir mi? Turkish Studies, International Periodical for the Languages, Literature and History of Turkish or Turkic, Volume 4/8, 2009.

20. Kikvadze M., Khakhutaişvili, M., Gürcü-Türk Deyimlerinin Çeviri Problemleri, 14. Uluslararası Sempozyum 15-17 Ekim, İzmir, Türkiye, 2014.

21. Tandilava L., Tsetskhladze N., Kültürlerarası diyalog Türkçe-Gürcücede deyim varyantlarına göre, dili, edebiyatın ve yapı incelenmesi, 14. Uluslararası Sempozyum 15-17 Ekim, 2014, İzmir, Türkiye.

22. Chkonia L., Türk Deyim Biçimleri ve Gürcücedeki Eş Anlamlıları, Güneyi-Batı Gürcistan Bilim ve Araştırma Merkezi, Koleksiyon V., 2007.

ფიკა როგორც ქართულ, ისე თურქულ სინამდვილეში და ჩამოგვეყალიბებინა ჩვენული ხედვა ამ მიმართულებით. აქვე შევნიშნავთ: იქ, სადაც თურქული იდიომები გვაქვს მოყვანილი, მას ფრჩხილებში აუცილებლად მოჰყვება პირდაპირი, სიტყვასიტყვითი ჩვენული თარგმანი და მხოლოდ ამის შემდეგ მისი აზრობრივი მნიშვნელობა. ეს გავაკეთეთ იდიომის, მისი სტრუქტურისა და ხატოვნების უკეთ აღქმისათვის, გამოთქმის საყრდენი სიტყვისა და შინაარსის მიმართების წარმოჩენისათვის. ამავე დროს, იდიომები ყველგან მოცემულია მუქი, დახრილი კურსივით.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შედგება სამი თავის და ათი ქვეთავისაგან. თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და ინტერნეტრესურსების ჩამონათვალი. პირველი თავი ეძღვნება იდიომის რაობის გარკვევას, ფრაზეოლოგიისგან მის სხვაობას, ისტორიასა და განვითარებას. მეორე თავში საუბარია იდიომის სტრუქტურაზე, მის მორფოსინტაქსურ ანალიზზე. მესამე თავში წარმოდგენილია იდიომების სემასიოლოგიური ანალიზი, განხილულია კონცეპტები „დრო და სივრცე“, „ზომა-წონის ერთეულები“ ქართულ და თურქულ იდიომატურ გამოთქმებში. მესამე თავის მეოთხე პარაგრაფში კი განხილულია თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში გაჩენილი სრულიად ახალი იდიომები. კვლევის შედეგები შეჯამებული და წარმოდგენილია დასკვნაში.

თავი I. იდიომის რაობა. ისტორია და განვითარება

§ 1. რა არის იდიომი?

დღეისათვის ლინგვისტებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი იდიომის რაობასთან დაკავშირებით. სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ცალკეულ ენათა განმარტებით ლექსიკონებში ეს ცნება მეტ-ნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება. ერთი მოსაზრებით, იდიომი მომდინარეობს ძველ ბერძნული სიტყვიდან ‘ιδίωμα’, რაც თავისებურებას ნიშნავს, მეორე შეხედულებით, იგი ემყარება ბერძნულ ‘ιδεα’-ს, რომლის შესატყვისიცაა ქართული საკუთარი, კერძო. იდიომთან დაკავშირებული განმარტებების მრავალფეროვნებაც სწორედ ამ „კერძო თავისებურების“ სუბიექტურ გაგება-წარმოდგენას უკავშირდება.

მკვლევარმა ი. ლობჯანიძემ აღნიშნული ტერმინის ცალკეულ ენებში, მათ შორის ქართულში დამკვიდრების ერთგვარად შუალედური ვარიანტი შემოგვთავაზა. მისი აზრით, „თვით ტერმინი უკავშირდება ბერძნულ სიტყვას ‘ιδεα’, რომელიც თითქოს სხვადასხვა ენაშიც უნდა გავრცელებულიყო, მაგრამ მისი პირველადი ვარიანტი შემორჩა მხოლოდ ბერძნულს, დანარჩენ ენებში შემოღებული ტერმინი დაუკავშირდა ბერძნულ სიტყვას ‘ιδίωμα’. ქართულში ტერმინი „იდიომი“ იდიომური გამოთქმის მნიშვნელობით დამკვიდრდა რუსულის ზეგავლენით, რომელიც ინგლისურის მსგავსად აქტიურად იყენებდა -ატ- სუფიქსს. შესაბამისად, ქართულ ენაშიც რუსულისა და დასავლეთევროპული ენების მიბაძვით გაჩნდა ტერმინი **იდიომატური** ტერმინ ‘იდიომური’-ს საპირისპიროდ, რომელიც ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რაკი უშუალოდ ‘იდიომი’-სგან იწარმოება” [ლობჯანიძე, 2012 : 30].

ევროპულ და ინგლისურენოვან ენათმეცნიერებაში იდიომატიკის, როგორც ცალკე დარგის, შესწავლა 1900-იანი წლებიდან იწყება. იდიომის ერთ-ერთი პირველი განმარტება ეკუთვნის უ. მაკმორდის. ჩვენ ვსარგებლობთ 1909 წელს დასტამბული მისი წიგნის მეხუთე გამოცემით, რომელიც გამიზნული იყო აღმოსავლეთის სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის. ავტორი იდიომის ქვეშ განიხილავს ცალკეული სიტყვის, აგრეთვე, ფრაზებისა თუ გამოთქმების თავისებურ გამოყენებას, რომელიც ხანდაზმულობის გამო ინგლისურ ენაში სტერეოტიპად იქცა [McMordie, 1929:13].

იდიომატიკის პირველ მკვლევართა რიგებში არიან ფ. ვიზეტელი და ლ. დე ბეკერი. 1923 წელს თანაავტორობით გამოცემულ წიგნში ისინი მიუთითებენ, რომ იდიომი, იგივე იდიომატური ფრაზა ისეთი ფრაზაა, რომლის მნიშვნელობაც არ გამომდინარეობს მისი შემადგენელი კომპონენტებისგან, არ მიიღება მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობების შეერთებით და აქვს განსაკუთრებული გაგება, დამახასიათებელი მხოლოდ მისთვის. ავტორები განასხვავებენ იდიომატურ ფრაზებს ფიგურალური ფრაზებისგან, რომლებშიც გამოყენებული სიტყვებიც, ჩვეულებრივ, კავშირ-ერთიერთობების გამომხატველია [Vizetelly, Bekker, 1923:v-vi].

მაკმორდის თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა პატრიჯის, შაპისა და სხვათა შრომებში. მათი აზრით, იდიომი შეიძლება იყოს ენის ნებისმიერი გრამატიკული ან ლექსიკური თავისებურება და მის ძირითად პრაქტიკულ პრინციპს მისი უთარგმნელობა წარმოადგენს [ლობჯანიძე, 2012:6-7].

იდიომის განმარტების სოციოკულტურულ თეორიას ავითარებს მ. რობერტსი, რომლის აზრით, იდიომა არის ანარეკლი აზროვნების განსაკუთრებული ორგანიზაციის, ენის მენტალური დიზაინი, დამყარებული გამოხატვის სხვადასხვა საშუალებაზე, რომლებიც აზრის მკაფიოდ და სრულად გამოხატვის შესაძლებლობას იძლევა. ენა უკეთესია, როცა ის უფრო იდიომატურია, ანუ უფრო ტრანსფარენტულია. მისი დაკვირვებით, იდიომების შექმნის საფუძველია ისტორიული კონტექსტი, გეოგრაფიული არეალი. ამავე დროს მნიშვნელოვან გარემოებებს წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური მონაცემები, მისი ყოველდღიური ცხოვრება, ხელოვნება, კულტურა, არქიტექტურა, მუსიკა... [Roberts, 1944:302-305]. იდიომატური ენის ნიმუშად რობერტს მველბერძნული მიაჩნია, რომელსაც შეუძლია აზროვნების კონტურების ზუსტი სიმბოლიზაცია გრამატიკისა და რიტორიკის ჰარმონიული და დაბალანსებული თანაარსებობის საფუძველზე.

ინგლისურენოვანი იდიომატიკის სერიოზული მკვლევარია ჩ. ჰოკეტი, რომლისთვისაც იდიომი არის ლექსიკოგრაფიული და სინტაქსური მოვლენა, რომლის მნიშვნელობაც არ არის დამოკიდებული მის სტრუქტურაზე, ან არ მომდინარეობს მისი სტრუქტურისგან [Hockett, 1958]. გამომდინარე აქედან, ენაში არ არსებობს ელემენტი, რომელიც არ წარმოადგენს იდიომს ან მის შემადგენელ ნაწილს, ანუ, იდიომად

შეიძლება განიხილებოდეს ნებისმიერი შესიტყვება [Strässler, 1982:15; ლობჯანიძე, 2012: 7-8]. ჰოკეტი არ იძლევა იდიომის მკაცრ დეფინიციას, არ ასხვავებს ლექსემურ და სემემურ ასპექტებს, თუმცა კი ჩამოთვლის იდიომის 6 განსხვავებულ ტიპს: 1. მონაცვლეები (მოიცავს პირად ნაცვალსახელებს და ციფრებს); 2. საკუთარი სახელები; 3. აბრევიატურა; 4. ფრაზული ნაერთები; 5. ფიგურალური გამოთქმები; 6. სლენგი [Hockett, 1958:310-318].

მართალია, ჰოკეტის კვლევა ფრიად საკამათოა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დიდი ხნის მანძილზე ის რჩებოდა ერთადერთ ვრცელ ნაშრომად იდიომატიკის სფეროში.

მომდევნო პერიოდის მკვლევართა ჯ. კატცისა და პ. პოსტალის სტატიაში იდიომები მიჩნეულია გამონაკლისებად, რომლებიც ამტკიცებს კომპოზიციურობის წესს, რადგან ისინი არ იღებენ თავიანთ მნიშვნელობას სინტაქსური ნაწილების მნიშვნელობებიდან. მათი აზრით, იდიომის ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ მისი სრული მნიშვნელობა, უფრო ფართო გაგებით, მის იდიომურ ნაკვეთში შემავალი ნებისმიერი წინადადების მნიშვნელობის გამოკვეთა არ წარმოადგენს იდიომის გრამატიკული ნაწილების მნიშვნელობათა კომპოზიციურ ფუნქციას [Katz, 1963:275-282].

ურიელ ვაინრაიხის აზრით, იდიომი ეწოდება ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რომელიც მოიცავს მინიმუმ ორ მრავალმნიშვნელოვან შემადგენელს და რომელშიც არის აზრების ურთიერთკონტექსტუალური შერჩევა ანუ ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული არის იდიომი; სხვები – არა [Weinreich, 1969:23-81].

1972 წელს გამოქვეყნდა ა. მაკაის ფუნდამენტური ნაშრომი ინგლისური იდიომის სტრუქტურის შესახებ. იგი განასხვავებს ლექსემურ (გამოთქმები) და სემემურ (წინადადებები) იდიომებს. მაკაი გამოყოფს ოთხ სპეციფიკურ კრიტერიუმს იდიომების იდენტიფიცირებისთვის, კერძოდ: 1. მოცემულ გამოთქმაში მინიმუმ ორი თავისუფალი მორფემის არსებობა; 2. ამ მორფემების შესაძლებლობა ფუნქციონირებდეს სხვადასხვა მნიშვნელობით ერთზე მეტ გარემოში; 3. ყველა იდიომის გაშიფვრის შესაძლო ბუნდოვნება, წარმოშობილი პირდაპირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობისაგან და 4. იდიომების სემანტიკური არაპროგნოზირებადობა, გამომდინარე იქიდან, რომ იდიომის მნიშვნელობა, არ გამოიყვანება მისი შემადგენელი ნაწილებისგან [Makkai, 1972:58].

ვუდი გვთავაზობს იდიომის განსხვავებულ განმარტებას. მისი აზრით, „იდიომი არის რთული გამონათქვამი, რომელიც სრულიად არაკომპოზიტურია მნიშვნელობის თვალსაზრისით და სრულიად არაპროდუქტიული – ფორმის თვალსაზრისით“ [Wood, 1986].

დასავლურ ლინგვისტიკაში იდიომების კვლევის შედეგები არაერთ სამეცნიერო ნაშრომში აისახა. თანამედროვე ავტორი, ა. კაცარუ, რომელმაც ინგლისურ იდიომებს მიუძღვნა თავისი დისერტაცია და მონოგრაფია, აკეთებს ერთგვარად შემაჯამებელ დასკვნას იდიომის რაობასთან დაკავშირებით:

იდიომი არის არაპირდაპირი, გრამატიკულად კარგად ჩამოყალიბებული გამოთქმა, რომელიც შედგება ერთზე მეტი ნაცნობი ლექსიკური ელემენტისგან და უშვებს სინტაქსურ-ტრანსფორმაციული შესაძლებლობის მინიმუმს მის სტრუქტურაში და რომლის მნიშვნელობაც არ არის მისი სინტაქსური შემადგენლის კომპოზიციური ფუნქცია, მაგრამ რომელსაც ყოველთვის ჰყავს ომონიმური პირდაპირი ანალოგი [Katsarou, 2011:85].

რაც შეეხება იდიომებს დასავლურ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში, ბუნებრივია, მათში უფრო ლაკონიურ, არსებითზე აქცენტირებულ განმარტებებს ვხვდებით. კემბრიჯის ენციკლოპედიის მიხედვით, იდიომის იდენტიფიცირებას ახდენს ორი ძირითადი მახასიათებელი. იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობა არ გამოიყვანება მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობების შესწავლის გზით და გამოთქმა ფიქსირებულია, როგორც გრამატიკულად, ასევე ლექსიკურად [The Cambridge Encyclopedia..., 2003:163].

ლონგმანის საგამომცემლო კომპანიის მიერ გამოცემულ ინგლისური იდიომების ლექსიკონში იდიომი განმარტებულია, როგორც სიტყვების ფიქსირებული ჯგუფი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა, განსხვავებული ცალკეული სიტყვის მნიშვნელობებისაგან [Longman Dictionary..., 1990].

ამერიკელი ლექსიკოგრაფის, უებსტერის, ინგლისური ენის ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, იდიომი არის გამოხატვის მეთოდი დამახასიათებელი ენის ან პირისათვის; ფრაზა ან გამონათქვამი, რომელსაც დროთა განმავლობაში მიეცა

განსაკუთრებული მნიშვნელობა, ან სპეციალური გრამატიკული თვისება; თავისებური ფორმა ან ენის მრავალფეროვნება; დიალექტი [Webster's., 1980:420].

ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონში „იდიომი“ განმარტებულია როგორც ენისთვის დამახასიათებელი ფორმა ან გამოხატვა ან გამოხატულება, გრამატიკული კონსტრუქცია, ფრაზა და ა.შ.; ფრაზეოლოგიის განსაკუთრებულობა, რომლის მნიშვნელობაც ხშირად გრამატიკულად და ლოგიკურად განსხვავებულია [Oxford English Dictionary, 1989:624]. აქვე, შედარებისთვის მოგვყავს დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში შესული იდიომის განმარტება: „იდიომი არის ენობრივი ერთეულების ერთობლიობა, რომლის მნიშვნელობა არ ემთხვევა მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობას. ეს შეუსაბამობა შეიძლება გამოწვეული იყოს მთლიანის შემადგენლობაში ელემენტების მნიშვნელობის ცვლილებით“ [БСЭ, т. 10].

ქართულ ლინგვისტიკაში იდიომთა კვლევები XX საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება. 1955 წელს, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოცემულ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის IV ტომში იდიომი განისაზღვრება როგორც, ამა თუ იმ ენის თავისებური გამოთქმა, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება [ქეგლ, 1955].

ერთ-ერთი პირველი და ალბათ, ყველაზე მისაღები განმარტება ეკუთვნის არლი თაყაიშვილს, რომლის მიხედვით, „იდიომი არის შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს“ [თაყაიშვილი, 1961: 40].

მსგავსი განმარტება ეკუთვნის ალ. ონიანსაც, რომლისთვისაც იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან [ონიანი, 1966:7].

გ. შალამბერიძე იდიომის მხატვრულ ღირებულებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, იდიომებს ე.წ. ლექსიკალიზებულ სიტყვათშეერთებებს, დაკარგული აქვთ პირდაპირი მნიშვნელობა და იხმარებიან გადატანით, ხატოვნად. ისინი ხალხის მხატვრული თავისებურებითაა გაპირობებული და ქმნიან ამ ენის ეროვნულ კოლორიტს [შალამბერიძე, 1966: 269].

ფრაზეოლოგიურ ერთეულს, მათ შორის იდიომს, ტროპის ერთ-ერთ სახედ მი-
იჩნევს ალ. გვენცაძე და მას სტილისტიკის შესწავლის საგნად განიხილავს. მისი
აზრით, იდიომები უმთავრესად გამოთქმების სახით არსებობს ენის ფაქტებში (წი-
ნადადებებში). იდიომაში ჭარბობს მეტაფორიზაციის ელემენტი [გვენცაძე, 1974:25,
56-67].

პროფ. ნ. სტამბოლიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „ნებისმიერი ენის იდიო-
მატური გამოთქმების სიმდიდრე არის ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ეროვნული ენო-
ბრივი ცნობიერების მონაპოვარი და წარმოადგენს ნებისმიერი ხალხის მსოფლიოს
ენობრივი სურათის როგორ უნივერსალურ, ისე თვითმყოფად ეროვნულ ნაწილს“
[სტამბოლიშვილი, 2018:655].

შ. აფრიდონიძე იდიომისა და იდიომურობის საკითხისადმი მიძღვნილ სტატი-
აში ტერმინის მნიშვნელობას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „იდიომი არის სემანტი-
კურად დაუშლელი და გრამატიკულად შეზღუდული გამოთქმა, რომელიც შეიცავს
ერთ აღმნიშვნელ სიტყვას მაინც და ამა თუ იმ ტერმინის სინონიმად იხმარება“
[აფრიდონიძე 1983:73].

თ. გამყრელიძე საფუძვლიანად განმარტავს იდიომს და აღნიშნავს, რომ: „იდი-
ომები ანუ იდიომატური გამოთქმები ფორმით ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებებს,
მაგრამ მათი ლექსიკური სტრუქტურა აზრობრივად გარდაქმნილია. მათთვის დამა-
ხასიათებელია ერთიანი (ბმული) მნიშვნელობა, ლექსემის მსგავსი სინთეზური ფუნქ-
ცია... იდიომები ლექსემათა ექსპრესიული სინონიმებია. მათი მნიშვნელობა შეიცავს
არა მარტო კომპონენტებისათვის დამახასიათებელ კონოტაციებს, არამედ თვით ფრა-
ზემის ხატოვან საფუძველსაც; ამიტომ იდიომის მნიშვნელობა ლექსემის მნიშვნე-
ლობაზე უფრო მდიდარია” [გამყრელიძე, 2008: 376].

ო. მემიშიშის აზრით, იდიომს აქვს საერთო ნიშნები როგორც სიტყვასთან, ისე
თავისუფალ შესიტყვებასთან. ამასთან, იგი სიტყვისგან განსხვავდება აგებულებით,
თუმცა უახლოვდება მნიშვნელობით, თავისუფალ შესიტყვებასთან კი აერთიანებს
აგებულება, მაგრამ განასხვავებს მნიშვნელობა [მემიშიში, 2015:5].

თარგმანმცოდნეობის სახელმძღვანელოს ავტორის, ხ. ბერიძისთვის, იდიომები
ენის მყარი ნიმუშებია, რომლებიც არ ექვემდებარებიან ვარიაციას, არ გვხვდება ცალ-

კეული შემადგენელი კომპონენტის გარეშე, დაუშვებელია კომპონენტების წყობის შეცვლა, სიტყვის ამოგდება, ჩამატება ან ჩანაცვლება, გრამატიკული წყობის დარღვევა [ზერიძე, 2018:107].

მკვლევარ ი. რუსაძის სადოქტორო დისერტაციაში ვკითხულობთ: „იდიომის მთავარი თვისება, მისი ორიგინალურობა და არასტანდარტულობაა. მისი მთავარი არსი ისაა, რომ მის კომპონენტებს დაკარგული უნდა ჰქონდეთ ძირითადი მნიშვნელობა. მათ არ უნდა ჰქონდეთ შენარჩუნებული თავიანთი ინდივიდუალური და თავისუფალი მნიშვნელობა... იგი არის შესიტყვების ფორმის მქონე თავისებური მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამი, რომლის სტრუქტურის შეცვლა შემადგენელი კომპონენტების შეცვლით თითქმის შეუძლებელია და მზა ფორმას წარმოადგენს. იდიომის გაგება სიტყვასიტყვით შეუძლებელია. იდიომი შეიცავს ორ კომპონენტს მაინც, ამდენად, ცალკე აღებული სიტყვა – მარტივი თუ კომპოზიტი, იდიომად არ მიიჩნევა” [რუსაძე, 2010:74-76].

რ. შეროზიას დაკვირვებით კი, იდიომი მხატვრული აზროვნების შედეგად არის წარმოქმნილი და ისეთივე მყარი, უცვლელი ოდენობაა, როგორც ნებისმიერი სიტყვა. ...იდიომი „შეფარვით“ ამბობს სათქმელს და არა პირდაპირ. იგი „გაქვავებული“ მეტაფორაა [შეროზია, 2014:179-181].

ინგლისურ-ქართულ-რუსულ-ფრანგული იდიომების შესწავლის გზით მსოფლიოს ენობრივი სურათის მეტაფორულ გაგებას მიემდგნა რ. შევალის სადოქტორო დისერტაცია, რომლის შემაჯამებელ დასკვნაში ავტორი განსაკუთრებულად გამოყოფს ლინგვოკულტუროლოგიურ ელემენტს, როგორც იდიომის განუყოფელ ნაწილს, რომლითაც ხდება ერის მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების შეკრება და გადაცემა [Шевалье, 2016: 128].

ფრაზეოლოგიზმების, მათ შორის იდიომების შესწავლას მიუძღვნა არაერთი ნაშრომი და მონოგრაფია მკვლევარმა ნ. ცეცხლაძემ, რომელიც იდიომის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად მიიჩნევს შემდეგს:

1. სემანტიკური მონოლითურობა (გული გადააყოლა, თავზე ქუდი ხურავს, გულზე ცეცხლი მოუკიდა);
2. სიტყვათა მუდმივი, განსაზღვრული რიგი;
3. კომპო-

ნენტების სინონიმებით შეცვლის შეუძლებლობა; 4. რედუქციისა და გავრცობის შეუძლებლობა; 5. გრამატიკული კატეგორიების მიჩქმალვა; 6. გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვა [ცეცხლაძე, 2018:14].

რაც შეეხება თურქულ ენათმეცნიერებას, იდიომების შესწავლა, ძირითადად, მიმდინარეობს ხატოვან გამოთქმებთან და ანდაზა-აფორიზმებთან მიმართებით. თავად სიტყვა „იდიომი“ ნაკლებად გამოიყენება. „იდიომი“-ს ნაცვლად XX საუკუნის 30-40-იან წლებამდე გამოიყენებოდა ოსმალური ‘tabir’. 1935 წელს, ოსმალურ-თურქული სასაუბროს გამოცემით, თურქული ენის კვლევითმა ინსტიტუტმა ‘tabir’-ის ნაცვლად საზოგადოებას შესთავაზა თურქული ‘Deyim’, რომელიც თანდათან დამკვიდრდა როგორც სასაუბრო, ისე სალიტერატურო ენაში იდიომის მნიშვნელობით, თუმცა ზოგი თურქი მეცნიერი და მწერალი კიდევ დიდხანს იყენებდა ძველ ტერმინს [Kenzhalin, 217:113].

თურქული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით იდიომი არის სტერეოტიპული გამონათქვამი, რომელსაც, ჩვეულებრივ, აქვს რეალურისგან მეტნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობა [Türkçe Sözlük, 1983:298]. თურქული იდიომების ლექსიკონში იდიომი განმარტებულია, როგორც მინიმუმ ორი სიტყვისგან შემდგარი სიტყვათა წყობა, რომელსაც მისი მდგენელებისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს [Par, 1993].

თურქ ენათმეცნიერთაგან იდიომის ერთ-ერთი პირველი განმარტება ეკუთვნის ო. ბაშქანს, რომლის მიხედვით, თუკი სიტყვათა ჯგუფის მთლიანი მნიშვნელობა ცალკეული სიტყვების მნიშვნელობებისაგან განსხვავებულია, ასეთ შესიტყვებას იდიომი ეწოდება [Başkan, 1969:9].

თურქული გრამატიკის ავტორის თ. ნ. გენჯანის აზრით, ყველა ენაზე არსებობს მრავალი სტერეოტიპი და ფრაზების სიმრავლე, რომელთა მნიშვნელობაც განსხვავებულია სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობებისაგან. მათი სტრუქტურა არ ემორჩილება რაიმე წესს და პირდაპირი თარგმნა შეუძლებელია. სწორედ ასეთ განსაკუთრებულ ერთეულს ეწოდება იდიომი [Gencan, 1979:527].

საინტერესოა, რომ თურქი მკვლევარი დოღან აქსანი ერთსიტყვიანი იდიომის შესაძლებლობასაც უშვებს. მისი აზრით, იდიომი ესაა განსხვავებული აზრის მატარებელი შესიტყვება, იშვიათ შემთხვევაში სიტყვა, რომელიც გამოიყენება გარკვეული ემოციისა და სიტუაციის გამოსახატად [Aksan, 1982:37].

მსგავს განმარტებას იძლევა ზ. ქორქმაზი, თავის გრამატიკული ტერმინების ლექსიკონში: იდიომი ესაა სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და ხასიათდება გარკვეული მიმზიდველობით [Korkmaz, 2003:66].

ეს მოსაზრებები უპირისპირდება თურქი პროფესორის ვ. ჰათიბოღლუს მიერ მანამდე გამოთქმულ სახეებით სწორ და ლოგიკურ მოსაზრებას, რომ იდიომები შედგებიან მინიმუმ ორ და მაქსიმუმ 7-8 სიტყვისაგან. ერთი სიტყვა შეუძლებელია იყოს იდიომი. თუკი ერთი სიტყვის მნიშვნელობა გასულია მისი რეალური მნიშვნელობისგან, მაშინ იგი გამოყენებულია როგორც მეტაფორა, ან სიტყვას აქვს რამდენიმე პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობა [Hatiboğlu, 1972: 195].

იდიომის რაობაზე მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორის ო. ა. აქსოის აზრით, იდიომი არის სიტყვათა სტერეოტიპული ჯგუფი ან წინადადება, რომელიც მიმზიდველი ფორმით ან განსაკუთრებულ სტრუქტურაში გამოხატავს იდეას, განსხვავებულს მისი პირდაპირი მნიშვნელობისგან [Aksoy, 1988:52].

ძირითადად, სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობისგან განსხვავებული აზრის მატარებელი, ორი და მეტი სიტყვისგან შემდგარ, გარკვეული სილამაზისა და ხიბლის მატარებელი, მყარ ლექსიკურ ერთეულად განიხილავენ იდიომს თურქი ავტორები: ზ. ქორქმაზი, მ. ჰენგირმენი, ა. ფუსქულლუოღლუ, ი. ბაჰადინლი და სხვები [Ballı, 2019: 35-37].

იდიომებს მიუძღვნა თავისი კვლევები ლ. უზუნმა, რომლის დაკვირვებით, იდიომების მთავარი დამახასიათებელი თვისება არის სტრუქტურის შემადგენელი, ურთიერთდამოკიდებული ნაწილების მნიშვნელობების განსხვავება მთლიანის მნიშვნელობისაგან. მისი აზრით, სწორედ ამ უკანასკნელშია იდიომის ფენომენი [Uzun, 1988: 11-61; 1991: 29-39].

ალი ფუსქულლუოღლუ აქცენტს აკეთებს იდიომის სტერეოტიპულობასა და მნიშვნელობის მომხიბვლელობაზე [Püsküllüoğlu, 1995:7].

ა. თ. სინანის აზრით, იდიომებში გამოიყოფა შემდეგი მახასიათებლები: შესიტყვებიდან მინიმუმ ერთის მნიშვნელობის შეცვლა, გამომხატველობითი ძალის გაზრდა, მასში მინიმუმ ორსიტყვიანი სტერეოტიპული გამოთქმის არსებობა, რომელიც აღიარებულია საზოგადოების მხრიდან [Sinan, 2008:97].

როგორც ჩამოთვლილი განმარტებებიდან ჩანს, იდიომის შესახებ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, მთავარ მახასიათებლად გვევლინება მინიმუმ ორწევრიანი შესიტყვების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც არ მიიღება მისი შემადგენელი კომპონენტების, მასში შემავალი ლექსემების მნიშვნელობათა მექანიკური დაჯამებით ანუ იდიომის იდიომად აღქმას უზრუნველყოფს არა მისი შემადგენელი კომპონენტების ცალკეული მნიშვნელობა, არამედ მთლიანის მნიშვნელობა, რომელიც არის მხატვრული აზროვნების შედეგი. შესაბამისად, იდიომები უნდა განვიხილოთ, როგორც ეროვნული ფენომენი, ერის სულიერი სამყაროს ერთგვარი სარკე.

§ 2. იდიომთა და ფრაზეოლოგიზმთა გამიჯვნისათვის

ლინგვისტიკაში ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს იდიომის ფრაზეოლოგიზმთან მიმართების გარკვევა წარმოადგენს. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოცემულ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ფრაზეოლოგიზმი“ საერთოდ არ გვხვდება. მისი მნიშვნელობით კი მითითებულია „ფრაზეოლოგია“, როგორც: 1. მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამი, ამა თუ იმ ენის დამახასიათებელი თავისებური სიტყვათა შეერთებანი, სიტყვათსაქცევი; 2. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ასეთ გამოთქმებს; 3. რომელიმე მწერლის, ლიტერატურული მიმდინარეობის ან გარკვეული პერიოდის საზოგადოებრივი ჯგუფის დამახასიათებელი სიტყვიერი ხერხები; 4. ლამაზი, მაღალფარდოვანი ფრაზები და გამოთქმები, რომლითაც ცდილობენ აზრის სიღარიბე მიჩქმალონ [ქეგლ, 1962:165].

როგორც ჩანს, ტერმინი „ფრაზეოლოგიზმი“ დამკვიდრდა მოგვიანებით, „ფრაზეოლოგიის“ ზემოთ მითითებულ მეორე მნიშვნელობასთან პარალელიზმის თავიდან აცილების მიზნით, ალბათ, რუსულის გავლენით. ბუნებრივია, ამის შემდეგ კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა მისი მნიშვნელობის დაზუსტება-დახვეწისკენ მიმართული შეფასებები, რამაც გამოიწვია ის, რომ დღეისათვის მეცნიერები სხვადასხვაგვარად განმარტავენ მის მთავარ კატეგორიებს, არაერთმნიშვნელოვნად იყენებენ მასთან დაკავშირებულ ტერმინებს.

მკვლევარ ნ. ზაალიშვილის დაკვირვებით, „ქართული ფრაზეოლოგიისა და იდიომატიკის თეორიული გააზრება დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებში, სავარაუდოდ, რუსული ფრაზეოლოგიის ზეგავლენით, თუმცა, დამოუკიდებელი ლექსიკოგრაფიული ბაზა ამ დროისათვის რუსულისაგან დამოუკიდებლად უკვე არსებობდა. ამიტომაც ქართულ ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა და ერთმანეთს გაემიჯნა ორი ტერმინი „ფრაზეოლოგია“ და „იდიომატიკა“ [ზაალიშვილი, 2018:34].

ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად, ფრაზეოლოგიზმი ეწოდება ნებისმიერ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც ახასიათებს სტრუქტურული მდგრადობა, მონოლითური ტრანსფორმირებული მნიშვნელობა და ექსპრესიულ-ემოციუ-

რი შეფერილობა. ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ ამა თუ იმ ენაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ გამონათქვამებს, ამ ენისათვის დამახასიათებელ თავისებურ შესიტყვებებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდა ენის მარაგში. მათ წარმოშობას განაპირობებს ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ისტორია, ფსიქოლოგია, ტრადიციები და კულტურული რეალიები, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრება, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები.

აკად. თ. გამყრელიძის აზრით, მყარი შესიტყვებების, ანუ ფრაზეოლოგიზმებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა. ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში სემანტიკურად გარდაქმნილია მხოლოდ ერთი ლექსემა, კომპონენტებს შენარჩუნებული აქვს სემანტიკური დამოუკიდებლობა, ნომინაცია (სახელდება) ანალიზურია [გამყრელიძე, 2008:374-376].

ფრაზეოლოგიის, როგორც ცალკე დისციპლინის, წარმოშობა დაკავშირებულია შვეიცარიელ ენათმეცნიერ კ. ბალის სახელთან, რომელმაც პირველმა ენათმეცნიერების ისტორიაში დაასაბუთა ენაში მყარ სიტყვათა წყობის სპეციალური და სისტემური შესწავლის აუცილებლობა. ფრაზეოლოგიზმების არსებით თვისებად მას უშუალოდ სემანტიკური თვისებები მიაჩნდა. მან, ჯერ კიდევ 1900-იან წლებში, მოგვცა ფრაზეოლოგიზმთა პირველი კლასიფიკაცია, გამოყო რა სიტყვათა კომბინაციის ოთხი ჯგუფი:

1. თავისუფალი ნაერთები, რომლებიც მოიცავს არამდგრად, თავისუფლად დაშლად ერთეულებს;
2. ჩვეულებრივი ფრაზები, რომლებიც აერთიანებს ისეთ სიტყვებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია შედარებით თავისუფალი კავშირები;
3. ფრაზეოლოგიური რიგი, რომელშიც სიტყვათა ისეთი ჯგუფი იგულისხმება, რომელიც ორი და მეტი კონცეპტის ნაერთს წარმოადგენს;
4. ფრაზეოლოგიური ერთობა, რომელშიც წარმოდგენილია ისეთი ტიპის სიტყვათა კომბინაცია, რომლის შემადგენელი კომპონენტები კარგავს საკუთარ მნიშვნელობას და გამოხატავს მხოლოდ ერთ კონცეპტს [Кунин, 1996:5; ძაგნიძე, 2014:10].

მოგვიანებით, ბალიმ დასაშვებად ცნო მხოლოდ ორი რიგის გამოყოფა: თავისუფალი ნაერთები და ფრაზეოლოგიური ერთობები [Кунин, 1996:6].

შ. ბალის კონცეფცია განავრცო და საკუთარი, სემანტიკურ პრინციპზე აგებული კონცეფცია შემოგვთავაზა რუსმა ენათმეცნიერმა ვ. ვინოგრადოვმა. მან ფრაზეოლოგიზმები სამად დაჰყო:

1. **ფრაზეოლოგიური შენაზარდი** ანუ **იდიომი** – სიტყვათა აბსოლუტურად არამოტივირებული ერთიანობა, რომელშიც მთელის მნიშვნელობა არ უკავშირდება შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს;

2. **ფრაზეოლოგიური ერთობა** – მოტივირებული ერთეულები ერთიანი მთლიანი მნიშვნელობით, რომელიც აღმოცენდება ლექსიკური კომპონენტების მნიშვნელობათა შერწყმით.

3. **ფრაზეოლოგიური შესიტყვება** – მოტივირებულ სიტყვათა ისეთი ერთიანობა, რომელშიც თითოეული კომპონენტი ხასიათდება სპეციფიკური ლექსიკური ვალენტობით, რაც სიტყვათა ჯგუფს გარკვეული ტიპის სტაბილურობას მატებს. ერთეულის კომპონენტთა ლექსიკურ ვალენტობაში იგულისხმება ის, რომ თითოეული გამოირჩევა საკუთრივ თავისი სემანტიკური მნიშვნელობით, რომელშიც ერთი აბსოლუტურად პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო მეორე კი – გადატანითი მნიშვნელობით [Кунин, 1996:12; ძაგნიძე, 2014:11-13].

ა. თაყაიშვილისთვის ფრაზეოლოგიურ შენაზარდებსა და ფრაზეოლოგიურ ერთობებს შორის განსხვავება არ იძებნება. „სამართლიანია მოთხოვნა, გაერთიანდეს მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი და მათ იდიომი ეწოდოს“ [თაყაიშვილი 1965: 10-17]. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მთლიანობაში საქმე გვაქვს არა სხვადასხვა მოვლენასთან, არამედ ერთი მოვლენის სხვადასხვა საფეხურთან.

უკვე წარმოდგენილიდანაც ჩანს, რომ იდიომი არის გარკვეული თავისებურების მქონე ფრაზეოლოგიური ერთეული. ამ თავისებურებას უსვამს ხაზს ა. სმირნიცკი. მისთვის ფრაზეოლოგიური ერთეული ესაა სტილისტურად ნეიტრალური შესიტყვება, რომელმაც დაკარგა ან არ გააჩნია მეტაფორულობა. იდიომები კი დაფუძნებულია

გადატანით მნიშვნელობაზე, მეტაფორაზე, რომელიც ნათლად აქვს გაცნობიერებული მთქმელს [Кунин, 1996:12].

ნ. ამოსოვა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ორ ტიპს გამოყოფს: ფრაზემა და იდიომი. ფრაზემა, ჩვეულებისამებრ, ორი წევრისაგან (ბინარული) შემდგარი სიტყვათა ჯგუფია, რომელთაგან ერთი კომპონენტი ხასიათდება სპეციფიკური მნიშვნელობით. მისი გააზრება დამოკიდებულია მოცემული ერთეულის მეორე კომპონენტზე. იდიომი ფრაზემისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი მნიშვნელობა გამომდინარეობს შემადგენელი სიტყვების არა ცალ-ცალკე, არამედ მათი მთლიანი იდიომატური აღქმით – იგი სემანტიკურად, გრამატიკულად განუყოფელ ერთეულს წარმოადგენს [Кунин, 1996:13-14; ძაგნიძე, 2014:16-17].

ა. კუნინის განმარტებით, „ფრაზეოლოგიზმი არის გართულებული სემანტიკის მქონე სიტყვათა მყარი შეთანხმება, რომელიც არ იწარმოება ცვლადი შესიტყვებების სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების მსგავსად. ფრაზეოლოგიზმი – ესაა ენის საგანძური. მასში აისახება ხალხის ისტორია, მისი კულტურისა და ყოფის თავისებურება. მათ ხშირად აქვთ მკაფიოდ ეროვნული ხასიათი“ [Кунин, 1996:4]. მისი შეფასებით, ფრაზეოლოგიური ერთეულები, მნიშვნელობის სირთულის ხარისხის მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: იდიომატიკა, იდიოფრაზეომატიკა და ფრაზეომატიკა. იდიომატიკის ჯგუფში შემავალი იდიომები, ა. კუნინის განმარტებით, ესაა სრულად ან ნაწილობრივ გადააზრებული მნიშვნელობის მქონე ლექსემების მყარი შეხამება, რომელშიც დიდი დოზითაა წარმოდგენილი ექსპრესიულ-ემოციური კომპონენტი [Кунин, 1972:8].

რა თქმა უნდა, ფრაზეოლოგიზმის განმარტება ამით არ ამოიწურება. ბევრი ენათმეცნიერი მას ახასიათებს როგორც სტრუქტურული მდგრადობის, ემოციური შეფერილობის, ლექსიკურ-სინტაქსურ-სემანტიკური სტაბილურობის მქონეს და ა.შ. შეიქმნა ბევრი თეორია, კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით [თაბუაშვილი, 2016:15-28], მაგრამ ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ განსხვავების პოვნა, რომელიც ავლებს მეტ-ნაკლებად მკვეთრ ხაზს ფრაზეოლოგიზმსა და იდიომს შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი რამ ნათელია, იდიომი არის ფრაზეოლოგიური ერთეული და ამ გაგებით, ეს სიტყვები სინონიმურია, მაგრამ ყველა ფრა-

ზეოლოგიზმი არ არის იდიომი, რადგან ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა და მოიცავს სხვა ტიპის შესიტყვებებსაც, ანდაზა-აფორიზმებს და ა.შ. თუმცა, მაინც რთულია მათ შორის მკვეთრი საზღვრის გავლება, რადგან სიმყარე და გარკვეული იდიომატურობა ამ უკანასკნელსაც ახასიათებს. შეიძლება ითქვას, რომ იდიომი ესაა ფრაზეოლოგიზმი ვიწრო მნიშვნელობით. საინტერესოა, რომ ზოგი მეცნიერი იდიომის კატეგორიაში ათავსებს ანდაზებსაც, რაკი მათი მნიშვნელობა სიტყვასიტყვით არ გაიგება [თაბუაშვილი, 2016:20; Чернобай, 2011:320]. მკვლევარ ნ. ცეცხლადის მიხედვით, ტერმინი „იდიომი“ ხან მოიცავს ფრაზეოლოგიას, ხან კი პირიქით – ფრაზეოლოგია – იდიომს [ცეცხლაძე, 2018:6].

ენათმეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე შეიძლება გამოვკვეთოთ ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების მსგავსება-განმასხვავებელი ნიშნები. მათი საერთო, უპირველეს ყოვლისა, არის სემანტიკური დაუშლელი. იდიომიცა და ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც ქმნიან ერთ გაგებას და სიტყვის ეკვივალენტებია. ორივე მათგანს შეიძლება ჰქონდეს შესიტყვების ფორმა. ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც სინტაქსურად ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს. ორივეს აქვს მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა, ისინი მზა ფორმით არსებობენ ენაში, თუმცა გავრცობა შეუძლებელი არაა. საზიარო ნიშანია ასევე მეტაფორულობა, რაც ექსპრესიულობის აუცილებელი პირობაა.

გარდა საერთო ნიშნებისა, გამოიყოფა განმასხვავებელი ნიუანსებიც: იდიომისგან განსხვავებით, ფრაზეოლოგიური შესიტყვების საერთო მნიშვნელობა ნაწილობრივ გამომდინარეობს მათი საყრდენი სიტყვისგან, რომელიც აუცილებლად აბსტრაქტული სახელია. ასეთი შესიტყვების მხოლოდ ერთი კომპონენტი ექვემდებარება მეტაფორიზაციას, იდიომში კი მთელი გამოთქმაა მეტაფორული. მაგალითად, გამოთქმა *სიჩუმე ჩამოვარდა*. აქ მარტო *ჩამოვარდნას* აქვს გადატანითი მნიშვნელობა (დადგა, დამყარდა), იდიომში კი მთელი გამოთქმის მეტაფორიზაციაა. მაგ: *ყბაში ჩაუვარდა, თვალი მოატყუა...* [ცეცხლაძე, 2018:13].

გარდა აღნიშნულისა, ვფიქრობთ, იდიომებისათვის ნიშანდობლივია შესიტყვების განსაკუთრებულობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი ზუსტი ანალოგი სხვა ენებში არ იძებნება. ანუ, იდიომი ეთნიკური ნიშნის მატარებელიცაა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულისგან განსხვავებით, თურქულში, ძალიან ხშირ შემთხვევაში, ფრაზეოლოგიზმი და იდიომი გამოიხატება ერთი სიტყვით – *deyim*, თანაც ეს ტერმინი გამოიყენება ცალკეულ სიტყვებთან (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა...) მიმართებითაც, რომელთა გარეგნული ფორმა ახალი შინაარსის მატარებელია. შესაბამისად, ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია იმ სახით, როგორც დასავლურ და ქართულ ლინგვისტიკაშია, პრაქტიკულად არ არსებობს. ამიტომაც, თურქულ იდიომებსაც მხოლოდ ჩვენეული კრიტერიუმების საფუძველზე განვიხილავთ.

თეორიულმა წიაღსვლებმა შორს რომ არ წაგვიყვანოს, მოვიყვანთ მაგალითებს ქართული და თურქული ენებიდან.

ვირზე/ჯორზე შეჯდომა – ერთი შეხედვით უბრალო შესიტყვებაა, რომლის პირდაპირი, სიტყვასიტყვითი გაგება და ნებისმიერ ენაზე თარგმნა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. მას იდიომატურ გამონათქვამად აქცევს გარკვეულ კონტექსტში მისი გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობა – გაკერპება, გაჯიუტება. ეს შესიტყვება ნებისმიერი ზრდასრული ქართველის ლექსიკური მარაგის ნაწილია და, შეიძლება ითქვას, ქართული ფენომენია, რომლის პირდაპირი ანალოგიც ჩვენთვის ხელმისაწვდომ უცხოურ ენებზე არ იძებნება.

- *თავი ქულში აქვს* – აქვს მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობა, რაც გულისხმობს საიმედო მდგომარეობაში, არხეინად ყოფნას. ამ აზრის გამომხატველი თურქული იდიომი არის – *Çantada keklik* (კაკაბი ჩანთაშია) [<http://idioms.tsu.ge>]. ანალოგი ამ ენის იდიომატურ ფონდში არ იძებნება. როგორც ვხედავთ, საერთო სემანტიკა ქართულსა და თურქულში სრულიად სხვადასხვა კომპონენტითაა გადმოცემული.

მსგავსი ტიპის იდიომებია:

- *რძე არ შეშრობია პირზე* – ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდელი.
- *ნემსის ყუნწში ძვრება* – ყოველ ღონეს ხმარობს, არაფერს ერიდება (მიზნის მისაღწევად).

- *კუდის კუდზე გადაბმა* – ერთმანეთთან შეკავშირება, ერთმანეთის მხარის დაჭერა (უმთავრესად ცუდ საქმეში).
- *მამა აბრამის ბატკანი* – ვითომც უმწიკვლო, უცოდველი, მართალი ადამიანი.
- *კუდით ქვა ასროლინა* – შავი დღე აყარა, სასტიკად დაამარცხა.
- *ბეწვის ხიდზე გავლა* – საფრთხის, განსაცდელის გამოვლა და სხვა მრავალი.
- *წითელ კვერცხს უგორებს* – ელოლიავენა, ცდილობს ასიამოვნოს, ყველაფერში უთმობს, მისი გულის მოგებას ცდილობს.
- *ცხვირიდან ძმარი ადინა* – გაამწარა, შავი დღე აყარა, სცემა.
- *ფარ-ხმლის დაყრა* – დამორჩილება, დანებება, წინააღმდეგობის შეწყვეტა.

რაც შეეხება თურქულ იდიომებს, ბუნებრივია, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ამ ტიპის შესიტყვებები იქაც მრავლადაა. მაგალითად:

- *Fırın süpürgesi* (ღუმელის ცოცხი) – ითქმება სუსტი, მაღალი ტანის ადამიანზე.
- *Gök demir, yer bakır* (ცა რკინა, მიწა სპილენძი) – გამოიყენება გამოუვალი მდგომარეობის აღსანიშნავად.
- *Sarı Yahudi* (ყვითელი ებრაელი) – ფულის მოყვარე ადამიანი.
- *Ak sakaldan yok sakala gelmek* (ჭალარა წვერიდან უწვერულობამდე მისვლა) – ძალიან დაბერება.
- *Baltayı taşa vurmak* (ცულის ქვაზე დარტყმა) – სათქმელის პირდაპირ, ღიად და მოურიდებლად თქმა.
- *Düz duvara tırmanmak* (სწორ კედელზე ცოცვა) – მოუსვენრობა, ძალიან ცელქობა.
- *Ekmek elden su gölden* (პური სხვისგან, წყალი ტბიდან) – გამოიყენება სხვის ხარჯზე ცხოვრების მნიშვნელობით.
- *Havadan sudan* (ჰაერიდან და წყლიდან) – გამოიყენება უსარგებლო და უშინაარსო საუბრის აღწერისას.
- *Ciğerimin kösesi* (ჩემი ღვიძლის კუთხე-კუნჭული) – იტყვიან ძალიან ძვირფას ადამიანზე.

- *Şeytan tüyü* (ემშაკის ბუმბული) – გამონათქვამი შეურაცხმყოფლად ჟღერს, მაგრამ სინამდვილეში ნიშნავს კომპლიმენტს. გამოიყენება იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც მისტიკური, ემშაკური შარმი აქვს...

არის ფრაზეოლოგიზმები, ე.წ. უნივერსალები, რომლებიც ანალოგიური ფორმითა და მეტაფორული გაგებით გვხვდება სხვადასხვა ენაში, რაც მათ ნასესხობაზე უნდა მიანიშნებდეს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელი ქვეყნისა და ხალხის წიაღში აღმოცენდნენ ისინი თავდაპირველად, ამიტომ მათ შეიძლება გარდამავალი იდიომები ვუწოდოთ. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ერთმანეთის მსგავსი იდიომები სხვადასხვა ენაში დამოუკიდებლად აღმოცენდნენ. მაგალითად:

- *ხაფანგის დაგება* – საფრთხის, განსაცდელის შექმნა, ხრიკების მოწყობა..

- თურქ.: *Kapan kurmak.*

ინგლ.: *To set a trap for somebody.*

რუს.: *Поставить ловушку.*

- *ქარიშხალი ჭიქა წყალში* – ხმაური, აურზაური არაფრის გამო.

- თურქ.: *Fırtına bir bardakta .*

ინგლ.: *A Storm in a tea-cup.*

რუს.: *Буря в стакане воды.*

- *ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლა* – ანუ, რამდენიმე საქმის ერთად გაკეთება.

- თურქ.: *Bir vuruşla iki tavşanı öldürmek.*

ინგლ.: *To kill two birds with one stone.*

რუს.: *Одним выстрелом убить двух зайцев.*

- *ცეცხლთან თამაში* – თავის თავისთვის სახიფათო მოქმედება; თავის ხიფათში ჩაგდება.

- თურქ.: *Ateşle oynamak.*

ინგლ.: *To play with fire.*

რუს.: *Играть с огнем.*

საბოლოოდ გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დაკვირვებით, იდიომს ფრაზეოლოგიზმთა სისტემაში აქვს თავისი განსაკუთრებული და გამოკვეთილი ადგილი, რაც განპირობებულია სტრუქტურული სიმყარით, აზრის მეტაფორულობით, შესიტყვების მთლიანი მნიშვნელობის ფონზე ერთეულის მნიშვნელობის სრული დაკარგვით (რასაც, ზოგიერთ შემთხვევაში, განაპირობებს კონტექსტი), სიტყვათა ჩანაცვლებისა და პირდაპირი თარგმნის შეუძლებლობით, რაც გულისხმობს ძირითადად ეროვნულ ნიადაგზე მის აღმოცენებას, ასევე, გარკვეული ემოციური შეფერილობით, მაგრამ არა მოწოდება-შეგონების დონემდე, როგორც ეს ანდაზა-აფორიზმებშია. შესაბამისად, ჩვენთვის ნამდვილი იდიომი არის ეროვნულ საფუძველზე აღმოცენებული, მყარი, მეტაფორული გაგების ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც არც ანდაზა-აფორიზმია და არც ისეთი ხატოვანი თუ ფიგურალური გამონათქვამი, რომლის ანალოგიც სხვა ენებში იძებნება.

§ 3. ქართული და თურქული იდიომების წარმოშობა-განვითარება

იდიომების, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულების, წარმოშობის გარკვევა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათში, გარკვეულად, ერის ისტორია, კულტურა, ფოლკლორია ასახული, თუმცა, ყოველთვის ვერ ხერხდება ცალკეულ ისტორიულ ფაქტსა თუ მოვლენასთან, დროსთან თუ სივრცესთან, ბუნებისა თუ ადამიანის შემოქმედებასთან მათი დაკავშირება. იდიომების წარმოშობის წყარო საკმაოდ მრავალფეროვანია, შესაბამისად, მათი განხილვა ეტიმოლოგიის მიხედვით ბევრი სიცხადის შემომტანი იქნება.

ფრაზეოლოგია არასოდეს არ არის წმინდა ლექსიკური მოვლენა, რადგან ის თავისთავში გულისხმობს გრამატიკას და მაშასადამე წესებს. აქედან გამომდინარე, როდესაც განვიხილავთ ფრაზეოლოგიზმებს, არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ სემანტიკით და ყურადღების მიღმა დავტოვოთ მათი ფორმა [ბერიაშვილი, 2016:77].

იდიომები, როგორც ეროვნული კულტურის ნაწილი, არსებობენ ენის მთელი ისტორიის მანძილზე, თუმცა მათდამი ინტერესი სადღაც მე-18 საუკუნიდან ჩნდება, შესწავლა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასული საუკუნიდან იწყება.

იდიომების წარმოშობაზე მნიშვნელოვანია ა. ნაზარიანის მოსაზრება. მისი აზრით, ზოგადად, ფრაზეოლოგიური ერთეული წარმოიშობა საწყისი სიტყვათშეერთების ხელახალი გადააზრებით ანუ ერთი დენოტატი (სახელის, სიმბოლოს ნივთიერი მნიშვნელობის) ანალოგიური ტიპის მნიშვნელობით იცვლება. ბ. ჯორბენაძის აზრით, „ე. წ. ხატოვანი გამოთქმა ხატოვნების ფუნქციით გვიან აღიჭურვება ხოლმე. თავდაპირველად მას სავსებით ზუსტი და პირდაპირი დანიშნულება ჰქონდა: უშუალოდ გამოხატავდა ფაქტს, მოვლენას“ [ჯორბენაძე 1997: 89].

ა. თაყაიშვილის დაკვირვებით, „იდიომის ზოგადი მნიშვნელობა მიიღება კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამის მთლიანი მეტაფორული გადააზრებით.... კომპონენტებს ცალ-ცალკე კი არ მიუღიათ ზოგადი ელფერი და მათი შეერთებით იდიომის საერთო მნიშვნელობა, არამედ აბსტრაქცია მოხდა მათი პირდაპირი მნიშვნელობების შეკავშირების შედეგად“ [თაყაიშვილი, 1961:46].

ფრაზეოლოგიზმების წარმოშობის მეორე საშუალებას, მეტაფორული ან მეტონიმური გადააზრება წარმოადგენს, რომელიც ა. თაყაიშვილის აზრით, ფრაზეოლოგიზმებს ექსპრესიულობას მატებს. ამ დროს ორი საგანს, ორ მოვლენას ერთმანეთს უდარებენ. ისინი შეიძლება ერთმანეთს ჰგავდნენ: ქცევით, მდგომარეობით, რაოდენობით, ხასიათით, ფერით. შესაბამისად, ზოგი მათგანის გაგება ადვილია, მაგრამ ზოგი მათგანი ეტიმოლოგიურ ანალიზს საჭიროებს. მაგალითად, *სისხლის თავში ავარდნა* გამოიყენება გაბრაზება-გაშმაგების აღსანიშნავად. მართლაც, ასეთ მდგომარეობაში ადამიანები ხშირად წამოენთებიან, წამოწითლდებიან, რაც სწორედ სისხლის თავში ავარდნის, სისხლის მოძალებული კონცენტრაციის შედეგია. მარტივად ახსნადია, ასევე, *ენად გადაქცევა* – ანუ, ბევრი, გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა; *ერთი კალმის მოსმით* – მოკლედ და სხარტად და მრავალი სხვა.

იგივე შეიძლება ითქვას თურქულ იდიომებზე. მეტაფორული გააზრების მიუხედავად, ზოგის მნიშვნელობა ადვილად გამოსაცნობია. მაგალითად, თურქული იდიომი – *„Çoban kulübesinde padişah rüyası görmek“* (მწყემსის ქოხში სულთნის სიზმრის ნახვა) – ნიშნავს საკუთარი მდგომარეობის შეუსაბამოდ დიდი და წარმოუდგენელი ოცნებების ქონას, რაც ერთი დაკვირვებითაც მარტივად ახსნადია. ასევე, *„İğne yutmuş“* (ნემსი გადაუყლაპია) – იტყვიან ძალიან დატანჯულ და შეწუხებულ ადამიანზე.

ფრაზეოლოგიზმების წარმოშობის საკითხზე საინტერესო მოსაზრება აქვს ბ. ლარინს, რომელიც იძლევა ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოშობ კონკრეტულ პირობებს და განსაზღვრავს თავისუფალი შესიტყვებებისგან ფრაზეოლოგიური „სტერეოტიპების“ განვითარების კანონზომიერებებს. ეს კანონზომიერებებია:

1) რეალიების დაკარგვა, ე. ი. იმ ცხოვრებისეული გამოცდილების დაკარგვა, რომელიც ფრაზეოლოგიურ ერთეულს წარმოშობამდე გააჩნდა, ე. ი. ნომინაციური ფუნქციის დაკარგვა;

2) სემანტიკური გამდიდრება – ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმოშობით მის კომპონენტებს უჩნდება ახალი მნიშვნელობა – მეტაფორიზაციის სახით;

3) დიდი ხნის სამეტყველო პრაქტიკაში მოსაწონი გამონათქვამების შემოკლება ხდება, იკარგება სიზუსტე, მაგრამ რჩება „სასიგნალო ფრაგმენტი“, რომელიც მალე იქცევა დაუშლელ ერთეულად;

4) თავისუფალი ერთეულის ნომინაციური ფუნქციის მივიწყებით წარმოებს პირველადი სტრუქტურის რღვევა [ლარინი, 1977:145; თაბუაშვილი, 2016:19].

პროფ. ნ. სტამბოლიშვილი იდიომატურ ფრაზეოლოგიზმად ჩამოყალიბების ყველაზე მეტად გავრცელებულ სახედ თავისუფალი შესიტყვების ახლებურად გააზრებას მიიჩნევს. „ამ გზით წარმოქმნილი იდიომებისათვის ან ზოგჯერ მათი ცალკეული კომპონენტისათვის დამახასიათებელია ეროვნული სპეციფიკურობა. ეროვნულ-სპეციფიკურ სიტუაციასთან (მატერიალური წარმოება, ყოფაცხოვრება, ცრურწმენა) და ფოლკლორთან დაკავშირებულ იდიომებს (თუმცა ზოგიერთ კომპონენტს ეროვნული კოლორიტი აღარ ახასიათებს) არ გააჩნიათ სტრუქტურულ-სემანტიკური ეკვივალენტი სხვა ენებში, რომლებშიც შესაბამისი სიტყვების შეხამებას არ მიუღია ანალოგიური მნიშვნელობა“ [სტამბოლიშვილი, 2018: 657-660].

იდიომების წარმოშობის მეორად გზად მიჩნეულია დერივაცია, ე. ი. უკვე არსებული ფრაზეოლოგიზმებიდან ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულების (იდიომების) წარმოქმნა. ასეთმა იდიომებმა, რომლებიც წარმოიშვნენ მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად, უნდა გაიარონ ორი სტადია: პოტენციური ფრაზეოლოგიზმიდან იდიომატურ ფრაზეოლოგიზმად ჩამოყალიბების სტადია [იქვე, 663].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგისთვის ფრაზეოლოგიზმების წარმოშობა თავისუფალი შესიტყვების „მეტაფორული გააზრების შედეგია“. მსგავსი მაგალითები ორივე ენაში იძებნება, მაგრამ სემანტიკა განსხვავებულია:

- *ბუზანკლის შეძრომა* – ახირებულად მოქცევა, მოულოდნელად წყენა, გულის მოსვლა, აწრიალება. თურქ.: *Bağrını delmek* (პირის გახვრეტა).
- *ბუზების თვლა* – არაფრის გაკეთება, უსაქმურად ყოფნა, ცუდაობა. თურქ.: *Sineği avlamak* (ბუზებზე ნადირობა).
- *გველის ხვრელში გაძრომა* – მიზნის (უმთავრესად სამარცხვინოს, ბოროტის) მისაღწევად ყოველი ღონის ხმარება. თურქ.: *Derisini soymak* (ტყავის გაძრომა) და მრავალი სხვა.

ერთნი ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნის ძირითად კრიტერიუმად თვლიან გრამატიკულ დაუშლელობას, მაღალფარდოვანებას, სემანტიკურ შერწყმულობას, „აქ-

ცენტოლოგიური სისტემის შენარჩუნებას, ფორმალურ გრამატიკულ დანაწევრებას და სხვ. მეორეთა აზრით, ფრაზეოლოგიზმების წარმოშობისათვის აუცილებელია ყველა შემდეგი ნიშანი: კვლავწარმოება, სიმყარე, ფრაზეოლოგიზმების დანაწევრება, მისი ნომინაციურობა, ხატოვნება, ექსპრესიულობა, მოცულობა (რომელიც ერთზე მეტი კომპონენტისაგან შედგება). ფრაზეოლოგიზმების წარმომშობ წყაროებს დეტალურად იხილავს ვ. ჟუკოვი და აღნიშნავს, რომ ამ ერთეულის „უმნიშვნელოვანეს წარმომშობ წყაროს სასაუბრო ენა წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ხელობასთან, ხოლო დანარჩენი წყაროებია: ზეპირი ხალხური შემოქმედება, მწერლების ნაწარმოებები, ანდაზები, თქმები და ა. შ.“ [თაბუაშვილი, 2016:19-20].

იდიომების ერთი ნაწილი გაჯერებულია **ტოპონიმებით**. საქვეყნოდ ცნობილია იდიომი – *კაკას ხიდი გავლა* (უკვალოდ დაკარგვა, დაღუპვა). „კაკას ხიდი გაიარაო“, – ამბობენ იმერეთში, როცა საქმე უეჭველად გაფუჭდება, ან საქონელი დაიკარგება. კაკას ხიდზე გადიოდა ერთ-ეთი უძველესი საქარავნო გზა სამხრეთ საქართველოს მიმართულებით. თუ ქვემო იმერეთში მოტაცებულ ტყვეს მღვეარი კაკას ხიდამდე მიეწეოდა, კიდევ იმედი უნდა ჰქონოდა მისი დაბრუნებისა, მაგრამ თუ ტყვე კაკას ხიდს გასცდებოდა, მისი გადარჩენის იმედი გადაწურული იყო.

იგივე მნიშვნელობისაა *ჩაილულის (ჩაილური) წყალი დალია*. ქიზიყში არის სოფელი ჩაილური, რომლის მიდამოებში ჩამოედინება პატარა მდინარე ჩაილურის წყალი. იგი სარწყავად გამოუსადეგარია. ადრე, ლეკები მოპარულ საქონელს თუ გაატარებდნენ ამ მდინარეზე, ეს საქონელი პატრონისთვის დაკარგული იყო. ამ ტიპის (ტოპონიმის შემცველი) იდიომები ქართულში არც ისე ბევრია. კიდევ შეიძლება დავასახელოთ: *გოლგოთას შედგომა* (ტანჯვა-წამების, მძიმე ცხოვრების გზის დაწყება). გოლგოთა – მთა პალესტინაში, სადაც ჯვარს ეცვა იესო მაცხოვარი;

რაც შეეხება თურქულ ანალოგიებს. საკმაოდ საინტერესოა ტოპონიმების შემცველი თურქული იდიომების წარმოშობის ისტორიები. მათში კარგად ვლინდება თურქი ხალხის ეროვნული ხასიათი, კულტურა, ისტორია...

Üsküdar'da sabah oldu (უსკუდარში გათენდა) – ისტორია გვიყვება შემდეგს: სტამბოლში, უსკუდარზე, ზღვის პირას, არქიტექტორ სინანის მიერ სულთან სულეიმან

კანუნის (1520-1566) და ჰიურემ სულთნის (ევრ. როქსოლანა) ქალიშვილის მიჰრიმან სულთნისა და რძლის (სულთან სელიმ II-ის (1566-1574) ცოლისა და მურად III-ის (1574-1595) დედის) ნურბანუ სულთნის სახელზე აგებული მეჩეთების მუემინები, დილის ეზანს კითხულობდნენ ბემიქთაშის მეჩეთის მუემინზე ადრე, მიუხედავად იმავე სასაათო სარტყელში ყოფნისა. ეს გამოწვეული იყო სურვილით ფადიშაჰისთვის პირველებს ეცნობებინათ ლოცვის დაწყების დრო, რითაც, შესაძლოა, სასახლის მუემინობისთვისაც გამოეკრათ ხელი. დღეს ეს იდიომი გამოიყენება საქმის, ან ადამიანის დაგვიანებისას.

Atı alan Üsküdari geçti (ის ვინც ცხენი წაიყვანა, უსკუდარს²³ გასცდა) – ნიშნავს საუკეთესო შანსის ხელიდან გაშვებას. ერთ ცნობილ კაცს მოჰპარეს ცხენი, რომელიც მან ბაზარში, გასაყიდ ცხენებში აღმოაჩინა. გამყიდველს ეჭვი რომ არ აელო, ბანა-ლური პირობა შესთავაზა: ცხენს გავაჭენებ, შევამოწმებ და თუ მომეწონა, ვიყიდო, რაზეც თანხმობა მიიღო. მხედარი ცხენზე შეჯდა, დეზის კვრაზე ჭკვიანმა ცხოველმა პატრონი იცნო, ადგილიდან მოწყდა და ელვასავით გაუჩინარდა. ცხენებით მოვაჭრე ცოტა ხნის შემდეგ გასაყიდი ცხოველის ძებნას შეუდგა. ხალხში ეძება, ირგვლივ მიმოიკითხა, ბოლოს კი ერთმა მიაძახა: ცხენმა უსკუდარი გადალახაო.

Dimya'ta pirince giderken, evdeki bulgurdan olmak (დამიეტას ბრინჯის ნაცვლად ბურღულზე დარჩენა)–ამ იდიომის ისტორია უკავშირდება ეგვიპტეში მდებარე დამიეტას ნავსადგურს, სადაც საუკეთესო ხარისხის ბრინჯი, ჭილის ტომრებით, თურქეთში გასაყიდად ჩაჰქონდათ. ერთი თურქი ვაჭარი სწორედ ამ ადგილას ბრინჯის შესაძენად გაემგზავრა. უკან დაბრუნებისას, ხმელთაშუა ზღვაში არაბმა მეკობრეებმა გამარცხეს, მთელი ქონება წაართვეს და შინ ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა. შინ მისულსაც ცუდი წელი დაუდგა და დამიეტაში ბრინჯზე წასულს შინ ბურღულიც აღარ შერჩა. ეს გამოთქმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა უკეთესის მოლოდინში ნოლზე რჩები.

Marmara çırası gibi tutuşmak (მარმარას კვარივით აალება) – გამოიყენება იმათთან მიმართებით, ვინც უცებ, მოულოდნელად გაბრაზდება და წამოენთება ხოლმე. იდი-

²³ უსკუდარი – სტამბოლის მდიდარი რაიონი ბოსფორის სანაპიროზე.

ომის წარმოშობა უკავშირდება მარმარილოს ზღვის კუნძულებზე მოპოვებულ ფიჭვის კვარს, რომელიც ცნობილი იყო ფისის მაღალი შემცველობით, რის გამოც ის ადვილად ააღებოდა. ეს კვარი იყიდებოდა ბაზრობებზე და გამოიყენებოდა ბუხრების, ქურების და სხვათა ასანთებად.

Bulgurlu'ya Gelin Gitmek (ბულგურლუში პატარძლის წასვლა) – საქმეში საჭიროზე მეტი შრომის და ენერჯის ჩადება, საქმით ზედმეტად გატაცება. იდიომის წარმოშობა უკავშირდება ბულგურუს დასახლებას სტამბოლის პრესტიჟულ უბანში, რომელიც გადაჰყურებს მარმარილოს ზღვას. ამ ადგილისა და ჰავის მშვენიერებასთან ერთად, ძველთაგანვე, განთქმული ყოფილა აქ მცხოვრები ახალგაზრდა მამაკაცების სილამაზეც. მიმდებარედ მცხოვრებ გოგონებს სული მისდიოდათ აქაურ ვაჟებზე საქორწინოდ. საქვეყნოდ ცნობილი იყო აქაური ქორწილებიც, რომელიც 9 დღეს გრძელდებოდა. თუკი ბულგურუს მკვიდრი გოგოს დანიშნავდა, მომავალი პატარძალი, ნიშნობის შესაძლო ჩაშლის შიშით, დღე და ღამე საკუთარ მშობლებს სათავენოს (მამის სახლიდან გატანებული ქონება) შევსება-გაზრდას სთხოვდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გამგზავრებულიყო ბულგურუში.

იდიომებში შეიძლება კონკრეტული პიროვნებებიც შეგვხვდეს, ანუ იდიომის ფორმირება სწორედ მათი მაგალითის, პიროვნული თვისებების ან ცხოვრების წესის ხაზგასმით მოხდა. მაგალითად:

მეტაფორული გააზრების შედეგია ქართულ ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი იდიომი *აბელას ფეხების გაკეთება//აბელას ფეხებზე შედგომა*, რაც ალ. ონიანის განმარტებით, ყალბი საშუალებებით თავის დიდად მოჩვენების, თავის გამოჩენის ცდის აღსანიშნავად გამოიყენება. კარაპეტ გრიგორიანცის მიხედვით, აბელა XIX საუკუნის თბილისში ერთ ჯამბაზს ერქვა, რომელიც ძალიან მიღებული იყო ხალხში. მას, თავისი ხელობის წყალობით, ყველა ღირსშესანიშნავ ღონისძიებაზე იწვევდნენ. იგი 4-მეტრიან ხის ფეხებზე შემდგარი დაიარებოდა ქალაქში და ამგვარად ართობდა მნახველს [გრიგორიანცი, 2011]. სწორედ აქედან გამომდინარე დამკვიდრდა ხალხში ეს გამოთქმა და თანდათან მოჩვენებითობის, ყალბი განდიდების სინონიმად იქცა

გაგუნანთ დერეფანი გახდა (იტყვიან, როცა რამე საქმეს დასრულება არ ეღირსება). თელავში ვინმე გაგუნაშვილი ყოფილა, სახლის დერეფნის კეთება დაუწყია,

მაგრამ დაუმთავრებელი დარჩენია ბოლომდე. თელაველები ბოლომდე მიუყვანელი საქმის გამოსახატავად ამ ფრაზას იყენებდნენ

გათავდა ბუხუიას პურობა (დაუსრულებელ რამეს ბოლო მოედო). ბუხუია მეგრელი ყოფილა, მან გაუთავებელი პურობა იცოდა [სახოკია, 1979: 66-68].

ენუქას ანდერძი (ცრუ დაპირება) და სხვა.

ქვემო იმერეთში გავრცელებულია იდიომი – **ჩხეიძის მოჯამაგირე**, რაც უსარგებლოდ, ფუჭად მოსიარულეს, არაფრის მაქნისს ნიშნავს.

მსგავსი თურქული იდიომებიდან შეიძლება დავასახელოთ:

„Dingo“-nun ahiri (დინგოს საჯინიზო) – იდიომი დამკვიდრდა იმ დროიდან, როდესაც სტამბოლში გადასადგილებლად ორცხენიანი ტრანსპორტი გამოიყენებოდა. ცხენების შესასვენებელი ადგილი თაქსიმზე, ბერძენი მეპატრონის საჯინიზო „დინგო“ იყო, სადაც, ჩვეულებრივ, ბევრი ადამიანი იყრიდა თავს, ბევრი შემომსვლელ-გამსვლელი ირეოდა. იდიომიც სწორედ ხალხმრავალი ადგილის გამომხატველია.

Molla Kasim (მოლა კასიმი) – იტყვიან ადამიანზე, რომელიც ამტკიცებს, რომ ის რაც თავად იცის და ფიქრობს, არის ერთადერთი რეალობა და აკრიტიკებს სხვა მიდგომებს. ხალხური ლეგენდის თანახმად, ღვთისმოსავ ადამიანს, მოლა კასიმს ხელში ჩაუვარდა ცნობილი თურქი პოეტის, სუფიზმის მიმდევარის – იუნის ემრეს ლექსების კრებული, ე.წ. დივანი და დაიწყო კითხვა. თავიდან ეს ლექსები მან შარიათის საწინააღმდეგოდ მიიჩნია, ამიტომაც პირველი ათასი წყალს გაატანა, მეორე ათასი კი – დაწვა. მესამე ათასეული კითხვისას თვალეები გაუბრწყინდა, როდესაც მის სახელზე დაწერილი ერთი ბაიათი აღმოაჩინა. მხოლოდ ახლა აღიარა, მოლა კასიმმა იუნუს ემრეს სიბრძნე ადამიანი და ათასჯერ ინანა თავისი საქციელი. ამავე გამომცემით, ის განადგურებული ლექსებიც უკვალოდ არ დაკარგულა, ათასი თევზებს წაუკითხავთ, ათასიც – ანგელოზებს ზეცაში.

იდიომები გვიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას ამა თუ იმ ხალხის ზნეობრივ ღირებულებებზე, სოციო-კულტურულ ყოფაზე, რწმენა-წარმოდგენებსა თუ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე. ქვემოთ სწორედ შესაბამისი მაგალითებია მოყვანილი:

ქართულში გვაქვს იდიომური გამოთქმა: *ვერ მიაართვეს ღორის თავი* და მისი ვარიაცია: *ვერ მიაართვეს ხაჭაპური //ვერ მიაართვეს (დანივრული) ბადრიჯანი*. ამ ფრაზეოლოგიზმში მყარ შესიტყვებას და, შესაბამისად, იდიომურ ნაწილს წარმოადგენს *ვერ მიაართვეს*, რომელსაც დღეს საკმაოდ ხშირად გაიგონებთ მოლოდინის გაცუდების, გაწბილების მნიშვნელობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ იდიომის ერთ-ერთ ვარიაციასა და მის წარმომავლობასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები [სახოკია, 1950: 127; კახიძე, 2020: 64], ვფიქრობთ, ეს იდიომი მოდის ყოფითი რეალობიდან, სტუმრისთვის სათანადოდ ვერდახვედრის, მისთვის საკადრისი სუფრის ვერ გაშლის სინანულიდან, რამაც თანდათან ნიშნისმოგებითი მნიშვნელობა შეიძინა. დღეს უკვე *ვერ მოგართვი//ვერ მოგართვეს*, უპირატესად, ამ უკანასკნელი გაგებით გამოიყენება. რაც შეეხება კომპონენტების: *ბადრიჯანი/ხაჭაპური/ღორის თავი* კომბინაციას, იგი პირდაპირ უნდა მიანიშნებდეს მასპინძლის (თუ განვაზოგადებთ, ქვეყნის) ეკონომიკურ მდგომარეობაზე: ვისთვის (რომელიღაც ეპოქასა თუ რეგიონში) პატივსაცემი კერძი ყოფილა ღორის თავი, ვისთვის – ხაჭაპური, ვისთვის კიდევ – დანივრული ბადრიჯანი.

აქვე გვხვდება საინტერესო იდიომი – *ბიძაშვილების მოსვლა*, რაც, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ნიშნავს ძილის მოკიდებას. სამწუხაროდ, ვერ მივაგენით პირველწყაროს, ფოლკლორულ, ლიტერატურულ ან სხვა სახის მასალას, სადაც ეს იდიომი დასტურდება. გვხვდება მხოლოდ *ალ. ონიანთან* [გვ. 22] და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შედგენილ ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზაში [<http://idioms.tsu.ge>]. შესატყვისი არ დასტურდება ჩვენთვის ხელმისაწვდომ უცხო ენებზეც. ძილთან დაკავშირებული ბევრი გამოთქმა, მეტაფორა, ფრაზეოლოგიზმია ქართულში, მაგრამ არცერთი ამჟღავნებს სიახლოვეს აღნიშნულ იდიომთან. ჩვენ მისი ახსნა გარკვეული ანალოგიით ვცადეთ. ქართულში გვაქვს ანდაზა-გამოთქმა: *სიკვდილ-სიცოცხლე ძმები არიანო* ან *სიცილი და ტირილი და-ძმავო*. ამასთან, თუკი *ძილი*, *პატარა//ნახევრად სიკვდილია* (თურქ.: *uyku, küçük ölüm*) [ლაგვილავა, 2018:73-79], მაშინ, შეიძლება ვთქვათ, რომ ძილი და სიზმარი სიკვდილ-სიცოცხლის ბიძაშვილები ყოფილან. შესაბამისად,

ამიტომაც უნდა ნიშნავდეს *ბიძაშვილების მოსვლა*, გადატანითი მნიშვნელობით, ძილის (ძილისა და სიზმრის) მოსვლას, ძილის მორევას, დაძინებას.

თავზე ლაფის დასხმა (გალანძღვა, გაწბილება, შერცხვენა, საქვეყნოდ შეურაცხყოფა) – ძველად ადამიანს უზნეობისათვის მთელი სოფელი ასამარებდა. მხცოვანი და სოფლის თავკაცი საყოველთაოდ დაადასტურებდნენ დასასჯელის დანაშაულს. ისინი დაგმობდნენ დამნაშავეს და გადაწყვეტდნენ თავს ლაფი დავასხათო. ჯერ ქუდს ან მანდილს მოხდიდნენ დამნაშავეს, თუ წვიმა არ იყო და ლაფი არ იშოვებოდა, მიწას წყლით აზელდნენ, ვირზე უკულმა შესვამდნენ მას და თავზე ლაფს დაასხამდნენ. ეს წეს-ჩვეულება ჯერ კახეთში გადავარდა, იმერეთში გაცილებით ადრე მოიშალა, მაგრამ ხატოვანი გამოთქმა დარჩა [სახოკია 1979: 221].

საინტერესოა იდიომის – *თავზე ნაცრის დაყრა* (გლოვა, მწუხარება, თავის შერცხვენა, დამცირება) – წარმოშობა. იგი მომდინარეობს ძველი ჩვეულებიდან: გლოვის ნიშნად ნაცარში გორვისა და თავზე ნაცრის დაყრიდან და უკავშირდება სამეგრელოს, სადაც ჩვეულებად ჰქონდათ, როცა ცოლს ქმარი მოუკვდებოდა კერიის პირას დაწოლილიყო და თავზე ნაცარი დაეყრა. ნაცრის თავზე დაყრა თავის დამცირებას ნიშნავდა და ეს მეტად სამარცხვინო იყო და ღვთის განსარისხებელ საქმედ მიიჩნეოდა [სახოკია 1979: 223].

მარილზე წასვლა, მარილზე გაგზავნა – სიკვდილის გამომხატველი იდიომებია. საქართველოში საკუთარი მარილის საბადოების უქონლობის გამო ადამიანები ალზევანში მიდიოდნენ მარილის მოსატანად. შორი გზა ხიფათიანიც იყო. ოსმალები მარცვავენ მათ და ხშირად ხოცავდნენ კიდეც. მარილზე წასვლა და უკან დაბრუნება მეტად საეჭვო იყო [ცეცხლაძე, 2015: 1331-137].

ქართული და თურქული იდიომების შესწავლა ძალიან საინტერესო სურათს იძლევა დიალექტების დონეზეც. ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით კიდეც უფრო საინტერესოა მათი შედარება, „რადგან ის ნათლად წარმოაჩენს ამ კულტურათა დამოკიდებულებას ჯანმრთელობასთან, განწყობასთან, ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან... და ენაში მათი ასახვის გზებს“ [მიქაუტაძე, 2013:213].

ახლა გადავიდეთ თურქულ იდიომებაზე და მათ წარმოშობასთან დაკავშირებულ ისტორიებზე. საინტერესოა, რომ კომპარატივისტული მეთოდის გამოყენებით, ზოგან შესაძლებელი ხდება გარკვეული პარალელების მოძიება.

Çarşamba pazarı (ოთხშაბათის ბაზარი) გამოიყენება არეულობის, ქაოსის მნიშვნელობით. როგორც ირკვევა, ძველად სტამბოლში, სულთნების – მეჰმედ ფათიჰისა (1451-1481) და სელიმ იავუზის (1512-1520) მეჩეთებს შორის მდებარე ქუჩაზე, ოთხშაბათობით, იმართებოდა დიდი ბაზრობა. გასაყიდად გამოჰქონდათ ყველანაირი საქონელი და, შესაბამისად, იკრიბებოდა ბევრი ადამიანი, რაც დიდ ხალხმრავლობასთან ერთად, ქაოსსა და არეულობას ქმნიდა. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება და აღნიშნული იდიომის გაჩენაც სწორედ მას უკავშირდება.

იდიომი – *Eski kulağı kesiklerden* (ძველი ყურგახეულთაგანი) უკავშირდება ჰაჯი ბექთაშ ველის (1209-1271) დერვიშთა ორდენის ისტორიას. ვისაც ამ ორდენის წევრობა სურდა, გარკვეულ წესებს უნდა დამორჩილებოდა. ერთ-ერთი პირობა ყურის გახვრეტა და საყურის ტარება იყო. ასევე, არ უნდა დაქორწინებულიყვნენ. თუ პირობა დაირღვეოდა, საყურეს ხსნიდნენ, რა დროსაც ყურის ბიბილოები ეხეოდათ და დასჯილნი ასეთი, შესამჩნევი ნაკლით დაიარებოდნენ. ხალხმაც შესაბამისი სახელი – ყურგახეული შეარქვა მათ. დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, ამ მყარი შესიტყვების გადააზრების შედეგად დამკვიდრა მისი იდიომური მნიშვნელობა – მცოდნე, გამოცდილი, გამძვრალი.

საინტერესოა, რომ ჩვენებურთა მეტყველებაში ფიქსირდება ფრაზეოლოგიზმი *ყურგახვრეტილი კაცი*, თითქმის ანალოგიური შინაარსით: *ძალიან ყურგახვრეტილი კაცი იყო*, ყუელამფრიდან ხებერი ჰქონდა [ცეცხლაძე, 2016:130].

Yelkenleri suya indirmek (აფრების წყალში დაშვება) – გამოიყენება წინააღმდეგობის გაწევაზე უარის თქმისა და მოწინააღმდეგის აზრის გათვალისწინების მნიშვნელობით. იდიომის ისტორია შემდეგია: ძველად, უცხო ქვეყნის საზღვართან მიახლოებისას, გემები, ქვეყნის პატივისცემის ნიშნად, აფრებს დაბლა უშვებდნენ. ერთხელაც, სულთან მეჰმედ ფათიჰის დროს, რუმელი ჰისართან (რუმელიის ციხესიმაგრესთან) მისულ გენუელების გემს, მიუხედავად გაფრთხილებისა, აფრები არ დაუშვია. გაბრაზებულ სულთანს ბრძანება გაუცია და გემი დაბომბვის შედეგად წყალში ჩაუძირავთ. ასე შემოსულა ეს იდიომი თურქთა ყოფიერებაში. ქართულში გვაქვს საპირისპირო სიტყვათა წყობა – *აფრების აშვება*, რაც დაურიდებლად მოქცევას, აწყვეტას ნიშნავს [Pala, 2004].

რწმენა-წარმოდგენას უკავშირდება იდიომი – Eşref saati (ხელსაყრელი დრო, მომენტი). ძველად, სტამბოლში ომის, ლაშქრობის, მოგზაურობის ან ქორწილის წინ, აუცილებლად ელოდნენ ბედნიერი, ხელსაყრელი დროის მონაკვეთის დადგომას. ხალხს ამ მომენტის არსებობის სჯეროდა, ამიტომ ასტროლოგებს, ვარსკვლავთმრიცხველებს მიმართავდნენ ამ დროის გამოსათვლელად და მოთმინებით ელოდნენ გამოთვლის შედეგს. იდიომი არაორდინალური, ნერვიული ხასიათის მქონე ადამიანის მიმართ გამოიყენება, როცა არ იცი, თუ რას უნდა ელოდო მისგან.

ზნეობრივი ღირებულებების მატარებელია თურქულ იდიომი – *Eşeğe ters binmek* (ვირზე უკულმა შეჯდომა). ოსმალეთში ზოგიერთ დამნაშავეს ვირზე უკულმა შესვამდნენ, ხალხმრავალ ადგილებში შესარცხვენად, შეურაცხყოფის მისაყენებლად ატარებდნენ. ზოგიერთს კიდევ უფრო მეტად ამდაბლებდნენ, თავზე ცხვრის შიგანს ჩამოაფარებდნენ და ისე გამოიყვანდნენ. ეს იყო დამამცირებელი საქციელი, ამავე როლად სხვებისთვის გამაფრთხილებელი მესიჯი. იტყვიან რაიმე საქმის უჩვეულო, პრობლემური გზით შესრულებისას [Pala, 2004].

მორალური კატეგორიიდანაა: *Eşek sudan gelinceye kadar dövme* (ვირის წყლიდან მოსვლამდე ცემა) – გამოიყენება ვინმეს დიდი ხნის მანძილზე უმოწყალოდ ცემის აღსანიშნავად. ისტორია შემდეგს მოგვითხრობს: ბალკანეთის ომის დროს სამხედროებისთვის წყალი ვირებით მოჰქონდათ. ერთხელ, ერთ ზარმაც ახალგაზრდას, რომელიც წყლის მოსატანად წავიდა, ჩაეძინა, მისი ვირი კი ბალახის ძოვას შეჰყვა და გაუჩინარდა. ბანაკში უწყლოდ დაბრუნებულს უმოწყალოდ სცემეს და აწამეს. საბრალო პატიებას ითხოვდა, იფიცებდა, ასე აღარასდროს მოიქცეოდა, მაგრამ ასმეთაური უმეორებდა, სანამ ვირი არ მოიძებნებოდა, მანამ ცემას არ შეწყვეტდნენ. აქედან დამკვიდრდა ეს იდიომი თურქულ ენაში.

Mersi, pabucumun tersi –ეს იდიომი უკავშირდება თანზიმათის პერიოდის ოსმალეთს, როცა დასავლეთის გავლენით მოდად იქცა ფრანგული ლექსიკის გამოყენება. ხშირად გამოყენებულ mersi-ს (მადლობა) საპასუხოდ, ზოგიერთები დამცინავად მოაყოლებდნენ ხოლმე გართიმულ pabucumun tersi-ს, რაც შებრუნებულ ქოშს ნიშნავს. ასე დამკვიდრდა ეს იდიომი ზედმეტად გადაპრანჭული საზოგადოების დასაცინად.

Zivanadan çıkmak (მილიდან გამოვარდნა) – Zivana-ს ეძახიან პაპიროსის მოსაწევად გამოყენებულ მილაკს, ასევე, წისქვილის ქვების დამაკავშირებელ ღერძს. ეს დეტალი სხვადასხვა ნაწილს აკავშირებს ერთმანეთთან. თუ იგი ადგილს მოშორდა, ირღვევა, საგანი თუ მოწყობილობა უფუნქციო ხდება. ეს იდიომი გამოიყენება ადამიანის გაბრაზების, გახელების დროს [Pala, 2004]. შევადართო ქართულში: ***მოთმინებიდან გამოყვანა, წყობიდან გამოყვანა***

Kaş yapıp derken göz çıkarmak (წარბის გაკეთებისას თვალის ამოგდება) – იდიომის ისტორია უკავშირდება თურქულ ადათ-წესებს, თურქი ხალხის ყოფიერებას. ქორწილისთვის ამზადებდნენ დედოფალს, მას ხუთშაბათ დღეს სურნელოვან ნელსაცხებლებს უსვამდნენ, თვალ-წარბს ულამაზებდნენ, რთავდნენ. სახლში საკმაოდ ბევრი სტუმარი ირეოდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგიც მღეროდა. ცეკვის დროს ახალგაზრდა მოცეკვავეს ფეხი გადაბრუნებია, ვიზაჟისტ ქალს დაჯახებია, რომელსაც, მისდა უნებურად, წარბისთვის მომზადებული წვეტიანი საგნით დედოფლისთვის თვალი ამოუთხრია. იდიომი გამოიყენება პატარა საქმის კეთებისას დიდისა და მნიშვნელოვანის გაფუჭების აღსანიშნავად.

Saman altından su yürütmek (თივის ქვეშ წყლის გაყვანა) – ფარულად, სხვადასხვა ხრიკით სიტუაციის არევა. ამ იდიომის ახსნა ასეთია: გაშლილ დაბლობზე, ერთ მოუსავლიან სოფელში პატარა მდინარე იყო. მას გლეხები სარწყავად იყენებდნენ. მორწყვა რიგრიგობით ხდებოდა, რადგან პატარა მდინარე ყველას ერთბაშად ვერ გასწვდებოდა. სოფელში ერთი გაიძვერა, მოხერხებული გლეხი ცხოვრობდა, მაშინ როცა ყველა საკუთარ რიგს ელოდა, მან წყალი ჩუმად საკუთარ ბაღში გაიყვანა, წყალზე ჩალა, თივა დააყარა და ბაღს ყოველდღე მშვიდად რწყავდა. საერთო მოუსავლიანობის ფონზე გაიძვერა გლეხის ბაღი ძალიან ხვავიანად გამოიყურებოდა. დაეჭვებული თანასოფლელები მას თავზე დაადგნენ, წყლის მიწოდება შეუწყვიტეს და ცუდი საქციელის გამო გაბრაზებულებმა პასუხი მოსთხოვეს.

İnsan kuş misali (ადამიანი ჩიტისვითაა) – ამ იდიომის გაჩენა უკავშირდება ერთ პატარა ისტორიას: სტამბოლში, უსკუდარში კეთროვანთა სამკურნალოდ განკუთვნილ საავადმყოფოში, ერთ პალატაში ორი ავეცია ცხოვრობდა. ისინი სამყაროს მოწყვეტილნი, სასიკვდილოდ განწირულნი იყვნენ. ერთი პალატის სხვადასხვა კუთხეში

მყოფებმა ადგილების გაცვლა გადაწყვიტეს. გადაწყვეტილების მიღებიდან, თითქმის ყოველდღე საუბრობდნენ და ბჭობდნენ მხოლოდ ამ საკითხზე, მაგრამ ადგომას და ადგილების გაცვლას ვერ ახერხებდნენ. ერთი წლის თავზე სასურველი დღეც დადგა, ადგილები გაცვალეს, ბედნიერი კეთროვანი მეორეს მიმართავს: ადამიანი ჩიტი-ვითაა, გუშინ სად ვიყავით და დღეს სად ვართო? სწორედ ამ შინაარსით გამოიყენება ეს იდიომი, ანუ, შორ მანძილზე წასვლის, საიდან სად მისვლის გაგებით.

სოციო-კულტურული ყოფის ამსახველია თურქული იდიომეი – *Ölme eşeğim ölme* (არ მოკვდე ჩემო ვირო, არ მოკვდე). ამ იდიომის ისტორია ასეთია: ერთ წელიწადს თურქეთში, დიდი ომიანობის შემდეგ, დიდი შიმშილობა დაწყებულა. მარცვლეული, ქერი, სიმინდი თითქმის აღარ დარჩენილა. მკაცრი აღმოჩნდა ზამთარიც. მოლანასრედიანი მის საბრალო ვირს ყოველდღე ულუფას აკლებდა, თან სახედარს არიგებდა, შეეჩვიე მცირე ულუფას, ახლა მოითმინე, მალე გაზაფხული დადგება და გეშველებაო. ვირი შიმშილისგან ჩამოდნა და ერთ დღესაც მოკვდა. ცოტა ნაწყენ, სინანულით დასევდიანებულ მოლას ვირისთვის მიუმართავს: ზუსტად მაშინ, როცა ეკონომიურად ჭამას შეეჩვიე, მიმატოვე. არადა, მალე გაზაფხულიც მოვიდოდა, მწვანე ბალახში გაგიყვანდი, სამყურას დანატრებული მიდიხარ ამქვეყნიდანო. იდიომი გამოიყენება ისეთი სიტუაციის დროს, როცა საჭიროებისას შენთვის აუცილებელი ნივთი მიუწვდომელია, ხელმისაწვდომი ხდება მაშინ, როცა შენთვის ფასდაკარგულია [Pala, 2004].

ამავე კატეგორიიდანაა *Öküz öldü ortalık bozuldu* (ხარი მოკვდა ერთობაც მოიშალა) – გამოიყენება შეთანხმების დასრულების გამოსახატავად. ისტორია: ერთ ღარიბ გლეხს წყვილი ხარი ჰყავდა, რომლითაც მიწებს ხნავდა. ხარის უეცარმა სიკვდილმა გლეხი დაანადვლიანა, მიწის მეკატრონეს თხოვნა-მუდართით მიაკითხა, ფული მასესხე ხარისთვისო, მეკატრონემ საკმაოდ მძიმე პირობები წაუყენა: ფულის დაფარვამდე დაუხნავდა მიწებს, უკატრონებდა 50 ქცევა ნაკვეთს, მიხედავდა ფარებს, დაეხმარებოდა კალოობაზე. სამი წლის შემდეგ, როცა თანხის ნახევარზე მეტი გადახდილი იყო, გლეხს მეორე ხარიც მოუკვდა. ბატონი გლეხს კვლავ მუშაობას აიძულებდა, მას მოთმინების ფიალა აევსო და უთხრა: რაც მეორე ხარი მოკვდა, შეთანხმებაც აღარ არსებობს, მოიშალაო.

თურქულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს უკავშირდება იდიომი – *Eline su dökmez* (პირდ.: ხელზე წყალს არ დაასხამს) – გამოიყენება ადამიანთა ურთიერთ-შედარებისას, როცა ერთი მეორეს ბევრად სჯობს. ისლამის წესით, ნამაზისთვის მზადება აბდესის ალებით (განბანა) იწყება. ადამიანს ძველად ხელის დაბანაში მეორე პირი ეხმარებოდა, სურით წყალს აწვდიდა, ხელზე ასხამდა. ეს დამხმარე ხელოსნისთვის შეგირდი, მასწავლებლისთვის მოსწავლე იყო. წყლის დასხმა ყველას არ შეეძლო, აუცილებლად ამ ადამიანის ახლობელი უნდა ყოფილიყო, თან მასთან ერთად გარკვეული დროც უნდა ჰქონოდა გატარებული. გამოთქმაც აქედან მოდის: ისეთი ჭკვიანი და განათლებულია, ხელზე წყალს არ დაასხამს.

Onun ip ile kuyuya inilmez (მისი ბაწრით ჭაში არ ჩაისვლება) – არ დაიჯერება, არ ინდობა. ძველად სქელი და ძლიერი ბაგირის დასაწნავად ხარისხიანი შალის ქსოვილს იყენებდნენ, თუმცა ყველა ხელოსანი კეთილსინდისიერი როდი იყო. ერთი თაღლითი, სახელად ალი გაფუჭებული ნედლეულით გაკეთებულ პროდუქციას ყიდდა. ეს ამბავი ყველამ იცოდა, ამიტომაც არავინ ერიდებოდა მის მხილებას. ერთ-ხელ ჭაში ჩავარდნილი ბატკნის ამოსაყვანად გამზადებულ გლეხს, ალის დაწული ბაწარი მისცეს. მან გააპროტესტა, თანასოფლელებს უთხრა, ამ ბაწრით ჭაში არ ჩაისვლებაო, რაზეც პასუხად მიიღო: ჩასვლა კი შეიძლება, მაგრამ ამოსვლით ამოხვალ თუ არა, ეგაა საკითხავიო. ასე დამკვიდრდა ეს იდიომი თურქულ ენაში [Pala, 2004].

keçileri kaçırmak (თხების დაკარგვა) – იტყვიან გონება არეულ, მოსულელო ადამიანზე. ამბავი კი შემდეგია: ერთმა მწყემსმა თხები მთაში საძოვარზე წაიყვანა. ბევრი ხეტიალის შემდეგ დაღლილს ხის ძირას ჩაემინა. გაღვიძებულმა აღმოაჩინა, რომ თხები დაკარგა. საბრალო საკუთარ თავზე გაბრაზდა: რა ვუთხრა ჩემს პატრონს, თხები როგორ დამეკარგაო. წავიდა სოფელში და ითხოვა დახმარება. საბრალო ისე ნერვიულობდა, თანასოფლელები შეწუხდნენ, გამოვიდნენ სამებრად. თხები კი ისევ იმ ადგილზე ბალახობდნენ, სადაც მწყემსმა დატოვა. გლეხებმა ჩათვალეს, რომ იგი ჭკუიდან შეიშალა და მისი აბდაუბდა საუბარიც ამას მიაწერეს [Pala, 2004].

İlk göz ağrısı (პირველი თვალის ტკივილი) – ნიშნავს ძალიან ახლობელ ადამიანს, პირველ შვილს, პირველ სიყვარულს. ადრე, ომიანობის ჟამს, თითქმის ყველა ოჯახიდან ფრონტზე იყო წასული ერთი ან ორი ადამიანი. შესაბამისად, ყველა ოჯახში

დარდობდნენ, ტიროდნენ, განიცდიდნენ, ზოგან ჩუმად, რადგან ხმამაღლა შეყვარებულს, მეუღლეს ვერ ახსენებდნენ, იმ დროში ეს სირცხვილად ითვლებოდა, ამიტომ ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ჩემი თვალის ტკივილისგან არაფერი ისმის, შენმა მოგწერაო?

Ocağına incir dikmek (კერიაზე ლეღვის დარგვა) – ნიშნავს ოჯახის განადგურებას, გაცამტვერებას. მასთან დაკავშირებული ისტორია კი ასეთია: ერთმა ტირანმა, რომელმაც ძალიან ბევრი ოჯახი გაანადგურა, გააუბედურა, საკუთარი ეზოს გასუფთავება გადაწყვიტა. ეზოში ლეღვის ხე იდგა, რომელიც საერთო ხედს აფუჭებდა, ამიტომ მუშებს მისი ამოძირკვა დაავალა. გამვლელმა მიაძახა: არ მოჭრა, ვინმეს კერიაზე დასარგავად დაგჭირდებაო. როგორც ჩანს, ლეღვზე აქცენტირება განპირობებულია იმით, რომ ლეღვს გააჩნია ძალიან ძლიერი ფესვთა სისტემა. იგი ძლიერი გადაჭრის დროსაც კი ადვილად ახერხებს აღდგენას და სიცოცხლის გაგრძელებას [Pala, 2004].

კერაზე ლეღვის დარგვა საინტერესოა სოციოკულტურული თვალსაზრისით. მაჭახელში მ. შაჰინმა ჩაიწერა წყევლის მეტად საინტერესო ფორმულები: *ღმერთმა შენს კალოზე ლეღვი//ანწლი//დიგირგოს* (მდრ.: *ახტალა ამოგივიდეთ ოჯახში* [სახოკია, 1979:22]).

İpsiz sapsız (უთოკო უტარო) – უსარგებლო, მოხეტიალე, მაწანწალა ადამიანი. გამოიყენება, ასევე, უაზრო სიტყვების გამოსახატავად, რომლებიც ერთმანეთთან არანაირ კავშირშია. იდიომის გაჩენის ისტორია ასეთია: ადრე, ანატოლიის სხვადასხვა კუთხიდან, მამაკაცები ჩადიოდნენ სტამბოლში სამუშაოდ და ფულის საშოვნელად. ისინი, ვისაც ბიზნესის კეთების უნარი და ფული არ ჰქონდათ, პატარაც რომ ყოფილიყვნენ, იწყებდნენ მუშაობას ტვირთის გადამტანებად, თუმცა ზოგიერთ პროვინციელს თოკის შესაძენი ფულიც კი არ გააჩნდა და ამ მიზეზით, მათ ხშირად შეურაცხყოფდნენ აღნიშნული სიტყვების გამოყენებით, რაც თანდათან იდიომად იქცა.

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ იდიომურ გამოთქმებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებსაც სხვა ენებში ანალოგი არ ეძებნებათ, გარკვეულწილად, ერის სულიერი თუ მატერიალური ცხოვრების დამლა ადევს და მათი სწორად ამოკითხვა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ ერის ღირებულებებსა და ფასეულობებზე.

თავი II. იდიომთა სტრუქტურა და მორფოსინტაქსური ანალიზი

§ 1. ქართულ იდიომთა სტრუქტურა

ქართული იდიომის სტრუქტურა, ძირითადად, სხვა ენებში დამკვიდრებულ იდიომთა სტრუქტურის მსგავსია. ფორმით იგი შესიტყვებაა, შედგენილი მინიმუმ ორი კომპონენტისაგან. საინტერესოა, რომ ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზაში, რომელიც შეიქმნა ავტორთა კოლექტივის მიერ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ვხვდებით შედგენილ ერთსიტყვიან იდიომებსაც, მაგ.: **დედიშობილა** (უქონელი), **გულხელდაკრეფილი** (უსაქმური), **გუდამშიერი** (ღარიბი), **გაძვალტყავებული** (ხანგრძლივად გაჭირვებაში მყოფი). კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ამათ გვერდით ვხვდებით ისეთ მარტივ სიტყვებსაც, როგორცაა: **გლახა** (ღარიბი, უქონელი), **გაძაღლება** (მძიმე ყოფაში ჩავარდნა), **გაცივებული** (უქონელი, მოსკობის გზაზე დამდგარი), **გაყიდვა** (ორგულობა, ღალატი), **გატეხილი** (ძლეული, მორეული, დაჩაგრული, დაუძღვრებული) და სხვა [<http://idioms.tsu.ge>]. სხვაგან, სხვადასხვა ავტორთან თუ სპეციალურ ლექსიკონებში ერთსიტყვიანი იდიომები პრაქტიკულად არ ვხვდება და როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე აღებული სიტყვა იდიომად არც განიხილება. ამდენად, ჩვენც ვიხელმძღვანელებთ დამკვიდრებული ტრადიციით, რასაც თავადაც სრულად ვეთანხმებით.

რაც შეეხება იდიომის სხვა სპეციფიკურ ნიშნებს, ამასთან დაკავშირებით მკვლევართა აზრი განსხვავებულია [თაყაიშვილი, 1961; ცეცხლაძე, 2018...]. მათი შეჯერების საფუძველზე გამოვყოფთ სამ სპეციფიკურ, ერთგვარად ძირითად მახასიათებელს და განვიხილავთ მათ შესაბამისი მაგალითების მოშველიებით:

1) მიჩნეულია, რომ იდიომში, როგორც სიტყვათა ფიქსირებულ, მყარ ერთობაში **სიტყვათა რიგითობა ურღვევია**. უმრავლეს შემთხვევაში ეს ასეცაა, მაგრამ ეს პრინციპი ქართულში ზოგჯერ ირღვევა. მაგალითად: **ჭურში ზის** – შეუცვლელია, **გული მოუვიდა** – **მოუვიდა გული** – ცვალებადია. ქართული ენა, გრამატიკული კატეგორიების სიუხვის გამო, სიტყვათა წყობის შედარებითი თავისუფლებით გამოირჩევა.

შესაბამისად, არა მარტო ზმნურ, არამედ სახელურ იდიომებსაც ახასიათებთ როგორც პრეპოზიციური, ასევე, პოსტპოზიციური წყობაც [ლობჯანიძე, 2012:49]. ზოგიერთი მკვლევარი ამას ხსნის განსაკუთრებული სტილისტიკურობით. სიტყვათა რიგის ცვა-
ლებადობა ენის ბუნებაზეა დამოკიდებული, გარკვეულ თანამიმდევრობას ემორჩი-
ლება. ქართულში „სიტყვათა რიგის თავისუფლება გვაქვს. ის განსაზღვრული წყობა,
რომელსაც მაინც იცავს ქართული, იდიომის ბუნებიდან კი არ გამომდინარეობს, არა-
მედ თვით ენის ტენდენციიდან – გარკვეული თანამიმდევრობა დაიცვას შესიტყვე-
ბაში“ [თაყაიშვილი, 1961: 22].

2) როგორც ცნობილია, იდიომი მყარი სტერეოტიპული გამონათქვამია, რომელ-
შიც სიტყვათა ჩანაცვლება დაუშვებელია. თარგმანმცოდნეობის სახელმძღვანელოს
ავტორის, ხ. ბერიძის მიხედვით, დაუშვებელია იდიომში კომპონენტების წყობის
შეცვლა, სიტყვის ამოგდება, ჩამატება ან ჩანაცვლება, გრამატიკული წყობის დარღვევა
[ბერიძე, 2018:107]. ეს მოსაზრება ძირითადად მიღებული და გავრცელებულია ლინგ-
ვისტიკაში. თუმცა, როგორც ირკვევა, ქართულში შეიმჩნევა გამონაკლისებიც. მაგ.: *ენა
წინ უსწრებს, ენა წინ გაურბის. უსწრებს ჩანაცვლა ზმნამ გაურბის.* გარდა ზმნური
კომპონენტის ჩანაცვლებისა, ხშირია „სემანტიკური ფუძის“ სინონიმური ჩანაცვლე-
ბაც – *ფეხს მოიტეხს, კისერს მოიტეხს* [კანდელაკი, 1955:53].

3) იდიომის რედუქციისა და გავრცობის შეუძლებლობა. მეცნიერთა აზრი ამ
შემთხვევაშიც იყოფა. ნაწილს შეუძლებლად მიაჩნია იდიომის შემადგენელი ნაწი-
ლების რედუქცია ან ჩამატება. ეს, მათი აზრით, იდიომის დაშლას იწვევს [ონიანი,
1954:58-59]. არადა, ქართულში ხშირად ვხვდებით ამ მოვლენას. მაგ.:

- *გულში ჯავრი ჩარჩა – ჯავრი ჩარჩა.*
- *გულის ჯავრი იყარა – ჯავრი იყარა.*
- *კისერი უტეხია – კინჩხი და კისერი უტეხია* [ცეცხლაძე, 2018].

ზოგჯერ რამდენიმე კომპონენტი ვარდება, მაგრამ მისი მხატვრულობა არ ირღ-
ვევა (ვარდება როგორც მთავარი, ასევე მეორეხარისხოვანი კომპონენტი). რედუქციის
პარალელურად, იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით იდიომის კომპონენტთა
გავრცობას. მაგ.: *წელი აქვს – მაგარი წელი აქვს. ფეხზე დააყენა – ფეხზე მაგრად*

დააყენა. ასეთ სიტუაციაში რთული დასადგენია, იდიომის რედუქცირებული, თუ გავრცობილი ფორმაა ამოსავალი.

მკვლევარ ი. ლობჯანიძის აზრით, ორკომპონენტის სახელური იდიომური გამოთქმის გავრცობა შესაძლებელია, მაგრამ გავრცობისას ვიღებთ ე.წ. სამკომპონენტის იდიომურ გამოთქმებს, რომელთა ბირთვისაც ისევ ორკომპონენტის იდიომი წარმოადგენს (*ბედნიერი ვარსკვლავი // ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, ცოდვით სავსე // ჩემი ცოდვით სავსე*) [ლობჯანიძე, 2012:49-50].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორკომპონენტის იდიომის უფრო მეტად გავრცობაცაა შესაძლებელი. მაგალითად:

- *თავი მოაქვს // კიტრით თავი მოაქვს // მწვანე კიტრით თავი მოაქვს* – თავი მოსწონს, თავი მიაჩნია (რამედ); უსაფუძვლოდ დიდგულობს, იკვებხის.
- *ვერ მოგართვი // ვერ მოგართვი ბადრიჯანი // ვერ მოგართვი დანივრული ბადრიჯანი* – არაფერი გამოგივიდა, ვერაფერს გამომრჩები, თავს არ მოგატყუებინებ.

შესაძლოა (და დიდი ალბათობით) აქ პირუკუ პროცესთან გვექონდეს საქმე, მაგრამ ფაქტია, რომ იდიომის რედუქცია-გავრცობა არ გულისხმობს მაინცდამაინც ერთი კომპონენტის ამოვარდნას ან ჩამატებას.

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, ა. თაყაიშვილის აზრით, საერთო არაა იდიომთა მთელი კლასისთვის. მას მიაჩნია, რომ ესენი იდიომის შინაგან ბუნებას ვერ გვიხატავენ, მხოლოდ გრამატიკულ მხარეებზე დაყრდნობა ბევრს ვერაფერს მოგვცემს [თაყაიშვილი, 1961:28].

იდიომთა მკვეთრად გამოსაყოფ კრიტერიუმებად ფრანგმა მეცნიერმა შ. ბალიმ გამოყო გარეგანი და შინაგანი ნიშნები, სადაც მთავარ ნიშნად ჩათვალა შინაგანი: შესაძლებლობა, მოინახოს იმავე მნიშვნელობის მქონე ერთსიტყვიანი გამოთქმა და შემადგენელ ელემენტთა მნიშვნელობის დავიწყება. დამხმარე ფუნქციად ჩათვალა გარეგანი ნიშნები: სიტყვათა წყობის სიმყარე და შესიტყვების კომპონენტის შეუცვლელიობა [ბალი, 1921:66-92].

იდიომის არსებით ნიშანთაგან პირველია მისი სემანტიკური ერთობა, ამიტომაც მოეპოვებათ ერთსიტყვიანი ეკვივალენტი, რაც ორგანულად უკავშირდება მის სინ-

ტაქსურ ფუნქციას. *წყალში ჩაყრა* – უმადურობა, უპასუხისმგებლობა. *გული გაუკეთა* – დააიშვია, *გულზე ცეცხლი მოეკიდა* – გამწარდა. იდიომი გამოდის წინადადების ერთი წევრის როლში, მიუხედავად იმისა, იცვლება თუ არა იდიომის შიგნით სიტყვათა რიგი. ამდენად დაუშლელია ცნებაში იდიომის სემანტიკური მთლიანობა იგულისხმება [თაყაიშვილი, 1961: 31]. იდიომის შინაგან ბუნებას და სპეციფიკას თაყაიშვილისეული ოთხი ნიშანი არკვევს: 1) იდიომი სემანტიკურად დაუშლელია და სიტყვის ეკვივალენტურია; 2) იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს; 3) ექსპრესიულობა იდიომის სპეციფიკური მხარეა; 4) იდიომს აქვს შესიტყვების ფორმა.

იდიომების დიდ ნაწილში გამქრალია მისი წარმოშობის საფუძველი, მაგრამ იდიომის კომპონენტებს გარკვეული წვლილი მიუძღვით მისი მნიშვნელობის ფორმირებაში, განსაკუთრებით ხატოვან იდიომთან მიმართებით. მაგალითად:

კაკას ხიდი გაიარა – უკვალოდ გაქრა, დაიკარგა, დაიღუპა. თურქეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარე ამ ხიდით გადაჰყავდათ მოტაცებული ტყვეები თურქეთში და ამ ხიდს იქით გადაყვანილი საბოლოოდ დაკარგულად ითვლებოდა [ონიანი, 1966: 98].

ყურებზე ხახვი არ დააჭრას – ვერაფერს დააკლებს, ვერაფერს ავნებს. ძველ დროს მონობის ნიშნად, ან დამნაშავეს სასჯელად ყურს სჭრიდნენ, სისხლის შესაჩერებლად და სადეზინფექციოდ ჭრილობაზე ხახვს აჭრიდნენ [ონიანი, 1966: 164].

საინტერესოა იდიომის მთავარი კომპონენტის „ხვედრითი წონა“ მის საერთო მნიშვნელობაში. მეცნიერი ო. ახმანოვა მკვეთრად აფიქსირებს აზრს იმის შესახებ, რომ ეს სიტყვა ფრაზულ გარემოცვაში სემანტიკურ სახეცვლილებას განიცდის. შესიტყვება ხდება რა სემანტიკურად დაუშლელი, ის როგორც ერთი მთლიანობა, მიემართება საგანს, კარგავს სისავსეს და „პოტენციურ“ სიტყვად გარდაიქმნება. ამ ეტაპზე არ ჩერდება ცენტრისკენული, მთელისადმი დამორჩილების ძალით ხდება იდიომის ჩამოყალიბება [Ахманова, 1957: 170]. ა. თაყაიშვილი ეთანხმება იმ აზრს, რომ კომპონენტები იდიომში იმავს არ აღნიშნავენ, რასაც თავისუფალ შესიტყვებაში, რომ მათ ახალი „სიცოცხლე“ აქვთ მოპოვებული, მაგრამ ო. ახმანოვას მთავარ ნაკლად უთვლის

„პოტენციური“ სიტყვის ხვედრითი წონის ხარისხის განუსაზღვრელობას საერთო მნიშვნელობაში [თაყაიშვილი, 1961:46].

ქართული იდიომის სტრუქტურის უკეთ გააზრებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ფრაზეოლოგიური თარგმანისას იდიომის გადატანა ერთი ენიდან მეორეზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი იდიომის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად სწორედ მის უთარგმნელობას მიიჩნევს. „იდიომი გამოთქმავს, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის და სიტყვასიტყვით არ ითარგმნება სხვა ენაზე“ [Будагов, 1958:105; თაყაიშვილი, 1961:104]. ა. თაყაიშვილი საწყისშივე გამორიცხავს ამ აზრს, მას მცდარს უწოდებს, რადგან თვლის, რომ ამ ნიშნის ხაზგასმით უკანა პლანზე გადადის შინაგანი სტრუქტურის საკითხი, მისი სემანტიკური ანალიზი, იდიომის შეცნობის ნამდვილი გზა.

ქ. კანდელაკი თვლის, რომ თუ იდიომი არ ითარგმნება ერთ ენაზე, შეიძლება ითარგმნოს მეორეზე. ამ პრინციპით მივიღებთ ისეთ გამოთქმებს, რომლებიც იდიომურია ერთი ენის მიმართ და არაიდიომური მეორის მიმართ, რასაც მივყავართ ყველა ენაში იდიომის ცნების არსებობის უარყოფამდე [კანდელაკი, 1955:27-28].

ჩვენ ვიცით, რომ იდიომის ზოგადი მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. თუ ამ ფაქტს უთარგმნელობის მიზეზად გამოვიყენებთ, იქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მშობლიურ ენაზე მისი შინაარსი პირდაპირ არ გაიგება. ასეთ სიტუაციაში, თაყაიშვილის აზრით, „სხვა ენაში იმავე მნიშვნელობას იძლევა სიტყვათა სხვა შეკავშირება“ [თაყაიშვილი, 1961:106]. ყოველი ერი მისთვის დამახასიათებელი მხატვრულობით გადმოსცემს ხატოვან ფრაზებს. მაგალითად:

➤ *როცა ვირი ხეზე ავა* (არასოდეს)

When pigs fly (Br.)

Когда рак свистнет и рыба запоет (Рус.)

Balık kavağa çıkınca (Tur.)

➤ *მზე და მთვარე ამოსდის (ვინმეზე)* (ძალიან უყვარს)

To think the world of somebody (Br.)

Души не чаять, Не надыхаться (Рус.)

Birini sonsuz sevmek (Tur.)

➤ *ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი* (ულამაზესი)

A picture of beauty (Br.)

Хороша как день (Рус.)

Bir içim su (Tur.)

გარდა ამ ტიპის იდიომებისა, ცხადია, არსებობს იდიომთა სხვა ხაზი. ერთი მოსაზრებით, თუ ენაში არსებობს ნასესხები სიტყვები, კომპოზიტების კალკები და გრამატიკული კონსტრუქციები, დასაშვებია ხატოვან გამოთქმათა მოდელის არსებობაც.

საყოველთაოდ ცნობილია ე.წ. „ინტერნაციონალური“ ხასიათის იდიომები. ბიბლიიდან: *ხელი დაიბანა, მეშვიდე ცა, ქვიშაზე აგებს*. მითოლოგიიდან: *აქილევსის ქუსლი, დამოკლეს მახვილი, ნოეს კიდობანი*. ისტორიიდან და ლიტერატურიდან: *ამერიკის აღმოჩენა, ჩინური კედელი, რუბიკონის გადალახვა* [თაყაიშვილი, 1961:106-107].

თანამედროვე და კლასიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია მონათესავე და არამონათესავე ენებიდან შესული ლექსემებით ფორმირებული იდიომები, რომელთა პირველადი წარმომავლობის გარკვევა სადავოა. ამ მხრივ არც ქართულია გამონაკლისი. საკმაოდ ბევრია რუსული, თურქული, არაბული, სპარსული ენებიდან შემოსული სიტყვები, რომლებიც ქართულ ენაში ისე დამკვიდრდა, რომ მისი არაქართულობა ბევრისთვის დაუჯერებელია. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ზოგჯერ ხდება ასეთი სიტყვების სახეცვლილება, ხმარებიდან ამოვარდნა, მაგრამ მათ „მცველად“ რჩება იდიომი [თაყაიშვილი, 1961:53]. ამგვარ იდიომებს ნეკროტიზმებსაც უწოდებენ. მათი კომპონენტები ენაში დამოუკიდებელ ლექსემებად არ გამოიყენება [ცეცხლაძე, 2015:10-11].

- *იხტიბარს არ იტებს // გულს არ იტებს* – იხტიბარი (არაბ. *بخير*) – გამოცდილი, მოხერხებული.
- *თადარიგის დაჭერა* – წინასწარ მომზადება. თაჰდირ (არაბ. *تحضير*) – არაბულად მომზადებას ნიშნავს.
- *იაღლიშად მოსვლა* – შეცდომის დაშვება. იანლიში (თურქ. *yanlış*) – შეცდომა.

- **აბრუს არ იტებს** – გაჭირვებას არ იმჩნევს, გულს არ იტებს, არ ეპუება. ა. თაყაიშვილის მიხედვით, აბრუ სპარსულიდან შემოსული სიტყვაა და ნიშნავს პირის წყალს, პატიოსნებას, სახელს, ავტორიტეტს [თაყაიშვილი, 1961:55]. **სხვა განმარტებით**, აბრუ (სპარს. ابرو) სპარსულად ნიშნავს წარბს, რაც, შესაძლოა, ძველად იყო სიმბოლო სინდისისა და პატიოსნების (შდრ.: ძველ საქართველოში ულვაშისა და ნამუსის გაიგივება).

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იდიომის უთარგმნელობის ნიშანი აბსოლუტური არაა. იდიომი, რომელიც ერის ადათ-წესებს ეხება, წმინდა ნაციონალურია, ვერ გადაითარგმნება. იგივე ეხება ლექსიკურ არქაიზმებს და ენის საერთო გრამატიკული ნორმებიდან გადახვეულ შენაზარდებს. თარგმანს ემორჩილება ხატოვანი იდიომები, რომლებშიც „გაწყვეტილი არაა კავშირი მეტაფორიზაციის საფუძველსა და შედეგს შორის“ [თაყაიშვილი, 1961:109].

იდიომის სტრუქტურაში არ არის განსაზღვრული სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა, შესაბამისად, იდიომები შეიძლება დაეყოს ერთ-, ორ-, სამ- და ა.შ. წევრიან ფრაზეოლოგიზმებად. უფრო მრავლად გვხვდება ორ- და სამკომპონენტიანი იდიომები.

ორწევრიანი იდიომები:

- **თედოზე წამოწოლა** – უსაქმურობა. თურქულში ამ მნიშვნელობით გამოიყენება – *Anasından doğduğuna pişman* (ნანობს, რომ დაიბადა).
- **ბეწვზე ჰკიდია** – საფრთხეშია. თურქ.: *Ateş bacayı sarmak* (საკვამურის ცეცხლში გახვევა)
- **გულზე გასკდომა** – ძალიან გაჯავრება თურქ.: *Ateş püskürmek* (ცეცხლის ფრქვევა)

სამწევრიანი იდიომები:

- **ასი თოკიდან გამომძვრალი** – ბევრ ქარცეცხლში გამოვლილი. თურქ.: *Altından kalkmak* (ძირიდან წამოდგომა)
- **გულის ბუდიდან ამოვარდნა** – აღელვება. თურქ.: *Kalbi yerinden oynamak* (გულის საგულედან ამოვარდნა); *Etekleri tutuşmak* (კალთების აალება).

- **ორ ცეცხლშუა ჩავარდნა** – გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნა. თურქულში გვხვდება იგივე იდიომი: *iki ateş arasında kalmak*. ასევე, საინტერესოა – *Dört yanı deniz kesilmek* (ოთხივ მხრივ ზღვის მოჭრა)

ოთხწევრიანი იდიომები:

- **გულში ჯოჯობეთის ცეცხლის ტრიალი** – მწუხარება, მღელვარება
- **დანის ღორის კუდზე გადატება** – საქმის დასრულებისას გაფუჭება
- **ენა მხარზე აქვს გადაკიდებული** – ბევრი ლაპარაკი იცის
- **ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა** – არეულობის გამოყენება თავის სასარგებლოდ.

ხუთწევრიანი იდიომები:

- **თითებიდან ზეთი და ერბო მოწვეთს** – მდიდარი, შეძლებული, რომელსაც უშრომელად მისდის ყველაფერი.
- **თავში ქვა და მუცელში სამართებელი** – როცა ვინმეზე ძალიან გაჯავრებული ხარ, მას ყველაფერ ცუდს უსურვებ.

გრამატიკული თავისებურებების მიხედვით, გამოიყოფა სახელური (ნომინაციური) და ზმნური (პრედიკატული) იდიომური გამოთქმები. ქართულში იდიომები, უმრავლეს შემთხვევაში, ზმნურია, მათი დიდი ნაწილი კი – ორკომპონენტია. მაგალითად:

- **ყელში ამოუვიდა** – მობეზრდა.
- **ცარიელზე დარჩა** – ყველაფერი დაკარგა.
- **სამარისკენ იყურება** – მალე მოკვდება, მისი დღეები დათვლილია;
- **დრო მოჭამა** – დაბერდა, დაძველდა.

შედარებით ნაკლებია სახელური ანუ სუბსტანტიური იდიომები: **ფეხის ალაგი** – საპირფარეშო; **შენს პირს შეაქარი** – გაიხარე, იცოცხლე; **ზღვაში წვეთი** – სულ ცოტა, სულ მცირე; **ცხრა მთას იქით** – ძალიან შორს; **კუს ნაბიჯით** – ზღაზვნით, ძალიან ნელა და სხვა.

ქართულში კიდევ უფრო ნაკლებია ზმნისართული, ანუ ადვერბული (ადვერბიალური) იდიომები: *თავზე საყრელი – ძალიან ბევრი, უხვად; წრეს გადასული – უზომო, უნორმო, გადაჭარბებული* და სხვა (ამ საკითხს, ქვევით, შესაბამის ადგილას, კიდევ მივუბრუნდებით).

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, რომ ქართული იდიომის სტრუქტურა მრავალფეროვანია როგორც კომპონენტების რაოდენობის, მათში ძირითადი მაწარმოებლის, მაიდიომებელი ბირთვის კავშირით მეტყველების სხვადასხვა ნაწილთან, ისე სხვა ენებზე (ამ შემთხვევაში თურქულ ენაზე) პირდაპირი გადასვლის შესაძლებლობის გარკვეული დონით, ორიგინალური მხატვრული ფორმებით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული ენის ლექსიკური ფონდის სიმდიდრესა და იდიომების, ერთგვარად აქსიომად ქცეულ უთარგმნელობის პრინციპს.

რაც შეეხება ქართულსა და თურქულში ფორმითა და შინაარსით მსგავსი იდიომების, ე. წ. უნივერსალების არსებობას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეულია ორივე ენაში დამოუკიდებლად მათი აღმოცენებით, ან კიდევ საუკუნეთა მანძილზე თანაცხოვრების შედეგად შექმნილი სოციოკულტურული გარემოს ზეგავლენით. აქვე შეუძლებელია იმის გამორიცხვაც, რომ შედარებით მარტივი იდიომური ფორმები ამ ენებში გაჩენილიყო პირდაპირი თარგმნის გზითაც.

§ 2. თურქულ იდიომთა სტრუქტურა

როგორც აღვნიშნეთ, თურქულში ფრაზეოლოგიზმი და იდიომი ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნული არაა. სიტყვა *deyim*-ის ქვეშ იგულისხმება ყველა ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც ანდაზა-აფორიზმისგან განსხვავებულია. საინტერესოა, რომ ქართულისგან (და ზოგადად მიღებულისგან) განსხვავებით, თურქულში აქა-იქ ვხვდებით ერთსიტყვიან იდიომებსაც, უფრო სწორად, ზოგიერთები ცალკეულ შედგენილ სიტყვებს ასეთებად მიიჩნევენ, თუმცა, თურქ მკვლევართა უმრავლესობა, როგორც წესი, იდიომად განიხილავს სულ მცირე ორი სიტყვის კომბინაციას.

მკვლევარმა აჰმედ თურან სინანმა შეისწავლა 17 ათასზე მეტი ფრაზეოლოგიზმი თუ იდიომი და დააჯგუფა ლექსემათა რაოდენობის მიხედვით. აღიარებული პრაქტიკიდან გამომდინარე, იგი მინიმუმ 2-სიტყვიანი იდიომური გამოთქმით იწყებს და 9-სიტყვიანით ამთავრებს. მისი დაკვირვებით:

ორსიტყვიანი იდიომები თურქულში საერთო რაოდენობის 63%-ია.

სამსიტყვიანი – 23%-მდე.

ოთხსიტყვიანი – 9%.

ხუთსიტყვიანი – 2,5%.

ექვს, შვიდ, რვა და ცხრა სიტყვიანი იდიომების რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა [Sinan, 2001: 95-96].

თურქული ორწევრიანი იდიომები შეიძლება იყოს როგორც სახელების, ისე სახელისა და ზმნის (სახელზმნის) კომბინაცია:

- *Aç gözlü* (თვალმშიერი) – ხარბი, გაუმადარი.
- *Meşe odunu* (მუხის შემა) – უხეში, ხისტავა, გაუთლელი.
- *Sapsız balta* (უტარო ნაჯახი) – უმწეო, უქომაგო, უპატრონო.
- *Çenesini yorar* (ყბას ილლის) – ამაოდ, ტყუილუბრალოდ ლაპარაკობს.
- *Hesap sorar* (ანგარიშს მოჰკითხავს) – პასუხს აგებინებს.

სამ- და მეტწევრიანი იდიომები უპირატესად ზმნურია:

- *Ağzını bıçak açmaz* (დანა პირს არ უხსნის) – ცუდ ხასიათზეა, კრიჭაშეკრულია.
- *Baş başa verdiler* (თავი თავს მისცეს) – ერთმანეთს დაეხმარნენ, მხარი აუბეს, მხარში ამოუდგნენ. შდრ. ქართულში: *მხარი მხარს მისცეს*.
- *Burnunun ucunu görmez* (თავისი ცხვირის წვერს ვერ ხედავს) – მთვრალია, გაღებშილია, ერთი ორად ეჩვენება.
- *Dokuz parça oluyor* (ცხრა ნაწილად იქცევა) – ბევრ საქმეს აკეთებს, ყველაფერს ასწრებს. იგივეა, რაც ქართ. *ათასად იჭრება*.
- *Dünyaya kazık kaktı* (ამ ქვეყანაზე პალო დაარჭო) – დიდხანს იცოცხლა. შდრ. ქართულში: *ცას გამოეკერა*.
- *Ekmeğine yağ sürer* (მის პურზე კარაქს უსვამს) – დაუფიქრებლად, წინასწარი განზრახვის გარეშე სხვისთვის სარგებელი მოაქვს. შდრ. ქართულში: *წყალს სხვის წისქვილზე ასხამს*.

ოთხ- და მეტწევრიანი იდიომები უფრო დიდი პროცენტით ზმნურია და შეიძლება წინადადების ფორმითაც შეგვხვდეს.

ოთხკომპონენტური იდიომები:

- *Ağzına vur lokmasını al* (პირში ჩაართყი, ლუკმა წაართვი) – უენოა, საწყალია. თავში რომ ჩაართყა, ხმას არ ამოიღებს, შდრ. ქართულში: *დაბალი ღობე*.
- *Başına devlet kuşu kondu* – მოულოდნელ წარმატებას მიაღწია, შდრ. ქართულში: *ბედმა გაუღიმა, დუმაში გაუგორდა*.
- *Bin dereden suyu getirir* (ათასი წყაროდან მოაქვს წყალი) – რაღას არ იმიზეზებს. შდრ. ქართულში: *ღობე-ყორეს ედება*.
- *Bir dikili ağacı yok* (ერთი დარგული ხე არ გააჩნია) – ლატაკია. შდრ. ქართულში: *თითზე გადასახვევი ძაფიც არ გააჩნია*.

ხუთკომპონენტური იდიომები:

- *Adam içine çıkacak yüzü kalmadı* – ხალხში გამოსაჩენი პირი არ დარჩა. თავი შეირცხვინა, სამარცხვინო საქმე ჩაიდინა. სირცხვილი ჭამა.

- *alçak dağları ben yarattım demek* (პატარა მთები მე შევქმენიო) – ამპარტავნობს, ქედმაღლობს. *მე ვარ და ჩემი ნაზადიო.*
- *Anem beni bir kere doğurdu* (დედამ ერთხელ გამაჩინა) – დასალუპი თავი არ მაქვს, თავი კი არ მომძულეზია.
- *Cami yıkılmış ama mihrap yerinde* (მეჩეთი დანგრეულა, მაგრამ მიჰრაბი (მეჩეთის ნიშა) ადგილზეა) – კვლავ ლამაზია, წლებმა ვერაფერი დააკლო, კვლავ თვალს იტაცებს.
- *Dokuz dereden on su getirir* (ცხრა მდინარიდან ათ წყალს მოიტანს) – ძალიან მოხერხებულია, შეუძლებელს აკეთებს. ქვას გახეთქავს, ტყავში გაძვრება. შდრ. ქართულში: *ქვას წვენს დაადენს.*

ექვსკომპონენტური იდიომები:

- *Hangi taş katıysa başını ona vur* (რომელი ქვაც უფრო მაგარია, თავი იმას ახალე) – როგორც გინდა, ისე მოიქეცი. შდრ. ქართულში: *თავში ქვა გიხლია.*
- *Kedi gibi dört ayak üstüne düşer* (კატასავით ოთხ ფეხზე ეცემა) – ყოველთვის უვნებელი რჩება. შდრ. ქართულში: *წყლიდან მშრალად გამოდის.*
- *At görür aksar, su görür susar* (ცხენს დაინახავს, კოჭლობს, წყალს დაინახავს – სწყურია) – ხარბი ადამიანი, ყველაფერზე თვალი რჩება.
- *Elini sıcak sudan soğuk suya sokmuyor* (ხელს ცხელი წყლიდან ცივ წყალში არ ჩაყოფს) – უსაქმურია, არაფერს აკეთებს. შდრ. ქართულში: *თითს თითზე არ აკარებს.*

ქართული იდიომის სტრუქტურის განხილვისას ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ სამ სპეციფიკურ მახასიათებელზე: 1. სიტყვათა რიგითობის ურღვევობა; 2. სიტყვათა ჩანაცვლების დაუშვებლობა; 3. იდიომის რედუქცია-გავრცობის შეუძლებლობა. როგორი ვითარებაა ამ მხრივ თურქულში?

ქართულისგან განსხვავებით, თურქულ იდიომებში, განსაკუთრებით, ორსიტყვიან კონსტრუქციებში, ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, სიტყვათა რიგი, ძირითადად, არ იცვლება, მაგალითად:

➤ *Vaktini öldürmek* (დროის მოკვლა) – არაფრის კეთება. ამ შესიტყვებაში სიტყვათა ადგილების შეცვლა შეუძლებელია, რადგან იკარგება არა მარტო იდიომური გაგება, არამედ ირღვევა თურქული ენის გრამატიკის ნორმა და პრინციპი. ეს ეხება არა მარტო ზმნურ იდიომებს. სიტყვათა წყობის მუდმივობა ურღვევია სახელურ იდიომებშიც. მაგალითად:

- *Sabahın köründe* (დილის ბინდი) – ძალიან ადრე, გათენებამდე.
- *Çarşamba pazarı* (ოთხშაბათის ბაზარი) – ღია, ქაოსური სივრცე, ადგილი.
- *Başına buyruk* (საკუთრი თავის მბრძანებელი) – მოურიდებელი, თავნება, თავკერძა.
- *Boğaz Kavgası* (ყელის ბრძოლა) – სარჩო-საბადებლისთვის, ცხოვრებისთვის ბრძოლა და წვალება.

ამავე დროს, გვაქვს შემთხვევები, როცა უფრო მრავალსიტყვიან კონსტრუქციებში სიტყვათა რიგითობის დარღვევა შესაძლებელია და არ იწვევს იდიომური მნიშვნელობის დაკარგვას. პროფ. ვ. ჰათიბოღლუს აზრით, ფორმის თვალსაზრისით იდიომების მთავარი მახასიათებელი უღლების სუფიქსებია [Hatiboğlu, 1972: 49]. განვიხილოთ შესაბამისი მაგალითები:

- *“Ağzından çıkanı kulağı duymamak”* (შენი პირიდან გამოსული ყურით არ მოისმინება) – ჩარჩოებს მიღმა გასვლა, მოსაუბრის გასაღიზიანებლად და მდგომარეობიდან გამოსაყვანად ცუდი და შეუფერებელი სიტყვების გამოყენება.
- *Ağzınızdan (1) çıkanları (2) kulağınız (3) duyuyor (4) mu sizin?*
- თქვენი პირიდან გამოსული ყურებს ესმის თქვენსას?
- *Kulağınız (3) duyuyor (4) mu ağzınızdan (1) çıkanları (2) ?*
- თქვენს ყურებს ესმის თქვენი პირიდან გამოსული?
- *Ağzınızdan (1) çıkanları (2) duymayacak (4) kadar sağır mı oldu kulağınız (3) ?*
- თქვენი პირიდან გამოსული არ ესმის თქვენს ყურებს?

- *İçine kurt düşmek* (შიგნით ჭიის ჩადრომა/ჩასახლება) – დაეჭვება, ეჭვი იმაში, რომ მას ზიანი მიადგება.
- *Bunlar resmen içimize (1) kurt (2) düşürmeye (3) çalışıyor.*
- ესენი უდავოდ ჩვენში ჭიის ჩასახლებას ცდილობენ (ესენი უდავოდ ჩვენს დაზარალებას ცდილობენ).
- *Sonunda öyle bir kurt (2) düşürdüler (3) ki içimize (1)...* [Çevik, 2006: 48-49].
- ბოლოს ისეთი ჭია ჩაგვისახლეს რომ... (ბოლოს ისე დაგვაზარალეს, რომ...)

როგორც აღვნიშნეთ, იდიომი მყარი სტერეოტიპული გამონათქვამია, რომელშიც სიტყვათა ჩანაცვლება დაუშვებელია, თუმცა ქართული უშვებს გამონაკლისს. როგორი ვითარებაა ამ მხრივ თურქულში? ო. აქსოის აზრით, იდიომის სიტყვების შეცვლა სხვა სიტყვებით, ასევე, სინტაქსის დარღვევა შეუძლებელია, თუნდაც იმავე გაგებით [Aksoy, 1988: 38]. ამ საკითხზე იგივე მოსაზრება აქვს იუსუფ ზია ბაჰადინლის. მისი აზრით, იდიომებს გააჩნიათ ღრმა ფესვები და ამიტომ მათი გამოყენებისას არ უნდა დავამახინჯოთ ისინი [Bahadınli, 1971: 5]. თავის მხრივ, ვ. ჰათიფოღლუ აცხადებს, რომ იდიომების სტერეოტიპული მახასიათებელი უფრო მოქნილია და მიუხედავად იმისა, რომ იდიომები მყარი შენაერთებია, სიტყვები შეიძლება შეიცვალოს. მან ხაზი გაუსვა, რომ ამის მიზეზი არის ის, რომ ზოგიერთ სიტყვას იდიომებში შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული უღლება [ballı, 2019: 37].

იდიომებში ლექსემათა ჩანაცვლების შესაძლებლობაზე მიუთითებს ა. სინანიც, რასაც ავტორი ენის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, განვითარებას უკავშირებს. იგი ამ სიტყვაცვლადი კატეგორიის იდიომებს სამ ნაწილად ყოფს:

1. იდიომები, რომლებშიც ცვლილია პირველი სიტყვა. მაგალითად:

- *Anadan//Allah' tan sıska, ne yapsın muska.* იდიომური მნიშვნელობა: უუნარო ადამიანთან ძალისხმევაც უშედეგოა.
- *Kadın/ avrat ağızlı* (ქალივით მოლაპარაკე) – სექსისტური, დამამცირებელი გამონათქვამია – ჭორიკანა მამაკაცი.

- *Kazık/ baston yutmuş gibi* (ყავარჯენგადაყლაპულივით). გამოიყენება ზედმეტად გამართულად მოსიარულე ადამიანთან მიმართებით. შდრ. ქართულში: *სარგადაყლაპული*.

2. იდიომები, რომლებშიც ცვლადია ბოლო სიტყვა. მაგალითად:

- *Bir kıyamettir gitmek/ kopmak* (მეორედ მოსვლა). იდიომური მნიშვნელობა: ძალიან ბევრი ხმაური, აურზაური.
- *Bülbül gibi konuşmak/ konuşturmak, okumak, ötmek, söylemek* (ბულბულის ხმით მოსაუბრე, მაგალობელი, მთქმელი). იდიომური მნიშვნელობა: ტკბილმოუბარი
- *Çarkına okumak/ etmek, yapmak* – გაფუჭება, მწყობრიდან გამოყვანა, ზიანის მიყენება
- *Curcunaya çevirmek/ döndürmek, vermek, kalkmak* – ხმაურისა და აურზაურის ატეხვა [მამულია, 2006; Deyimler sözlüğü].

3. იდიომები, რომლებშიც შუაში სიტყვა იცვლება სინონიმური, ან მსგავსი ტიპის თუ ერთი ჯგუფის (მაგ. სომატური) და მნიშვნელობის სიტყვებით. მაგალითად: *arkasına-ardına* (უკან-ზურგში), *ağzını-gözünü* (პირი-თვალი), *ayağını-bacağını* (ფეხი-ფეხი), *başını-sakalını* (თავი-წვერი), *cehenneme-ateşe* (ჯოჯობეთი-ცეცხლი), *göbeğine-karnına* (მუცელი-კუჭი), *oğlana-çocuğa* (შვილი-ბავშვი), *şüphesi-kuşkusu* (ვარაუდი-ეჭვი)... [Sinan, 2009:2005-2008].

რაც შეეხება რედუქცია-გავრცობის შემთხვევებს, თურქულშიც გვაქვს ამის მაგალითები:

- *Anadan (yeni) doğmuşa döndü* (ახალ დაბადებულს დაემსგავსა) – ყოველგვარი უსიამოვნებისგან, ავადმყოფობისა და ტკივილისგან გათავისუფლდა, შვებით ამოისუნთქა. ქართული შესატყვისია: *ხელახლა დაიბადა*.
- *(Üstünden) ağır bir yük kalktı* ((ზემოდან) მძიმე ტვირთი მოშორდა) – ეშველა, ამოისუნთქა. ქართული შესატყვისია – *გულიდან ლოდი მოშორდა*.
- *Başını (ortaya) koyar* (თავი დადო) – ყოველ ღონეს იხმარს, გადაჰყვება, გადააკვდება. ქართული შესატყვისიც იგივეა: *თავი გადასდო, თავი გაწირა* [მამულია, 2006].

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ სამივე შემთხვევაში ამოსავალია გავრცობილი ფორმა და დროთა განმავლობაში მოხდა მისი რედუქცირება.

თურქული იდიომების დიდი ნაწილი შესიტყვების ფორმისაა. მათ უმრავლესობაში სახელისა და ზმნის კომბინაციაა (მრავლად გვხვდება მასდარის ფორმით - mak, -mek). მაგალითად:

- **göz koymak** (თვალის დადება) – ვინმეს ან რაიმეს დაუფლების, აღების სურვილი, მოწონება, მოხიბლვა. იგივე სიტყვათშეთანხმება იმავე მნიშვნელობით გამოიყენება ქართულშიც.
- **kulak kesilmek** (ყურის მოჭრა) – ყურადღებით, მთელი გულისყურით მოსმენა. ქართული შესატყვისია: **სმენად იქცა**.
- **Vadesi gelmek** – (ვადის, დროის მოსვლა) – სიცოცხლის დასრულება, გარდაცვალება;
- **Ağzı açık kaldı** (პირი ღია დარჩა) – ძალიან გაუკვირდა, გაოცდა. ქართველები იმავე მნიშვნელობით სწორედ ამ იდიომს ვიყენებთ და არც თუ ისე იშვიათად.

ზმნური იდიომების გვერდით არც ისე მრავლად გვხვდება სახელური იდიომებიც. მაგალითად:

- **Uçsuz bucaksız** – **უსაზღვროდ დიდი, ფართო**
- **Ayağının tozuyla** (თავისი ფეხის მტვრით) – მაშინვე, დაუყოვნებლივ. **ქართული შესატყვისია: სულის მოუთქმელად**.
- **ayak takımı** (ფეხის მოსახვევი) – აღნიშნავს უსარგებლო, არაკეთილსინდისიერ ადამიანს.
- **Ağız tadı** (**პირის გემო**) – სისუფთავის, წესრიგის, სითბოს ან კომფორტის მდგომარეობა ოჯახში ან ნებისმიერ საზოგადოებაში (ანუ გემრიელი ყოფა). ქართულში გვაქვს გამოთქმა – **პირის გემო იცის**, რაც ჭამის მოყვარულს ნიშნავს.

მცირეა თურქული ზმნისართული იდიომების რიცხვიც:

- **Ağız bozuk** (პირდ. გაფუჭებული პირი) – ყიამყრალი, უხამსი.

- *Dirsek çürütmüş* (იდაყვაცვეთილი) – განსწავლული, ნაკითხი. ქართულში ანალოგიური მნიშვნელობით ვიყენებთ გამოთქმას – *წიგნის ჭია*, რომელიც გვხვდება თურქულშიც – *Kitap kurdu*.
- *Ayaklı kütüphane* (მოსიარულე ბიბლიოთეკა) – ძალიან ნაკითხი, ყველაფრის მცოდნე, განათლებული. ქართულში მისი შესაბამისი იდიომებია: *მოსიარულე // ცოცხალი ენციკლოპედია, უგზო-უკვლოდ განათლებული*.

აქვე, საინტერესოა, რომ თურქულ იდიომებში მრავლად გვხვდება გაორმაგება, ანუ მოვლენა, როცა ერთი და იგივე სიტყვა სრულად, უმეტეს შემთხვევაში – ნაწილობრივ მეორდება. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი სიტყვები პირდაპირ არ ითარგმნება, რაც იმის საფუძველია, რომ ასეთი შესიტყვება იდიომად არ ჩავთვალოთ, მაგრამ რაკი თურქ მკვლევართა უმრავლესობა მათ იდიომებად მიიჩნევს, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითის მოტანა:

- *abur cubur* – არეულ-დარეული, დომხალივით. გამოიყენება, უსარგებლო საკვებთან მიმართებით;
- *Abuk sabuk konulmak* – მოუფიქრებელი, დაულაგებელი, უაზრო საუბარი;
- *eften püften* – მალფუჭებადი, ყალბი, დამპალი;
- *Dobra dobra söylemek* – პირდაპირ და ღიად ლაპარაკი;
- *patır kütür* – ხმაურით, ძლიერად, სწრაფად [*Deyimler sözlüğü*].

თურქულში ცოტაა, მაგრამ მაინც გვხვდება იდიომები წინადადების ფორმატში. მაგალითად:

- *Dostlar alışverişte görsün* (მეგობრებმა ვაჭრობაში ნახონ) – იტყვიან სიტუაციაში, მისი მიზანია საქმის კეთების იმიტაცია და არა საქმის კეთება.
- *Atı alan Üsküdari geçti* (ის ვინც ცხენი წაიყვანა, უსკუდარს გაცდა) – ნიშნავს საუკეთესო შანსის ხელიდან გაშვებას. ამ იდიომის შესახებ ზემოთ ვრცლად გვექონდა საუბარი.
- *Yorgan gitti, kavga bitti* (საბანი გაქრა, ბრძოლა დასრულდა) – ჩხუბისა და უკმაყოფილების მიზეზი აღარ არსებობს.

- *Hangi rüzgar attı?* (რომელმა ქარმა გადმოგაგდო?) – საიდან გაჩნდი? ქართულში იგივე იდიომი მხოლოდ დადებითი კონოტაციით, მონატრების მნიშვნელობით გამოიყენება, თურქულში კი უარყოფითი მნიშვნელობაც აქვს: *აქ რატომ მოხვედი, აქ რა გესაქმება?*

ამრიგად, ქართულისგან განსხვავებით, თურქულ იდიომებში, ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, სიტყვათა რიგი პრაქტიკულად არ იცვლება, თუმცა იდიომებში ლექსემათა ჩანაცვლება შესაძლებელია, რაც ენის, როგორც სოციალური ინსტიტუტის განვითარებას უკავშირდება. თურქულში გამოიყოფა იდიომები, რომლებშიც ცვლილია პირველი და ბოლო სიტყვები. გვხვდება შუაში სიტყვების ჩანაცვლების შემთხვევებიც. რაც შეეხება რედუქცია-გავრცობის შემთხვევებს, თურქულშიც ამის მაგალითი მრავლადაა.

§ 3. ქართულ და თურქულ იდიომთა მორფოსინტაქსური ბუნება და შეპირისპირებითი ანალიზი

როგორც ცნობილია, გამოთქმის იდიომურობას განაპირობებს მისი მორფოსინტაქსური თავისებურებები, რაც თვალსაჩინოა უფრო ზმნურ იდიომებში. მართალია, ქართული და თურქული ენების გრამატიკული წყობა, სინტაქსური ბუნება განსხვავებულია, ქართული ზმნისთვის დამახასიათებელი ყველა გრამატიკული კატეგორია არ იძებნება თურქულში, მაგრამ მათი პარალელური ანალიზი საინტერესო ვარიაციებს გვიჩვენებს. თანაც, ასეთი შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ იდიომთა კროსლინგვისტური თავისებურებები და უცხოურ ენაზე (ამ შემთხვევაში თურქულზე) ტრანსფორმაციის შესაძლებლობები.

იდიომის მორფოსინტაქსური ანალიზისას საკვლევ მასალად გამოვიყენეთ, ძირითადად, ორ- და სამკომპონენტური შესიტყვებები ალ. ონიანისა [1966] და ე. მამულიას [2006] ლექსიკონებიდან და ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზიდან [<http://idioms.tsu.ge>]. ასევე, ბაჰადინლის [1971], ფუსქულ-ლუოლლუს [1995] და სხვა მასალებიდან [<https://www.dilbilgisi.net /deyimler-sozlugu/>]. აღსანიშნავია, რომ სამკომპონენტური იდიომები ხშირ შემთხვევაში ორკომპონენტურ ზმნურ ან სახელურ იდიომებს ემყარება და მათ გავრცობილ ვარიანტს წარმოადგენს. სამკომპონენტური იდიომები, ძირითადად, ზმნურია, ორკომპონენტური კი არსებობს ზმნურიც და სახელურიც.

ქართულ ორკომპონენტურ სახელურ იდიომებში ვხვდებით როგორც მხოლოდ არსებითი სახელების კომბინაციას, ისე არსებითი სახელის კომბინაციას ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელებთან. ეს უკანასკნელი რაოდენობრივი თვალსაზრისით აშკარად ჩამოუვარდებიან პირველ ორს. უმეტეს შემთხვევაში, ენისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის გათვალისწინებით, კომპონენტები გვევლინებიან მსაზღვრელ-საზღვრულის როლში. საზღვრული, რა თქმა უნდა, არსებითი სახელია სახელობით ბრუნვაში, მსაზღვრელი კი – არსებითი სახელის შემთხვევაში, ძირითადად, ნათესაობით ბრუნვაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევაში სიტყვათა რიგითობის დარღვევა ან ჩანაცვლება არ არის გამორიცხული.

არსებითი სახელი განსაზღვრავს სხვა კომპონენტებს და მათგან კონკრეტულ გრამატიკულ ფორმას ითხოვს. შედარებით იშვიათია ისეთი მაგალითები, სადაც წამყვან კომპონენტს ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი ან სხვა მეტყველების ნაწილები წარმოადგენენ [წიგნაძე, 2019: 120].

ა. არსებითი სახელების შემცველი ორკომპონენტიანი იდიომები:

- *ქვეყნის თვალი* – ძალიან კარგი, ყველას მოსაწონი და სათაყვანებელი.
- *ჯოჯობეთის მამზალა* – უმნო, შეუხედავი.
- *ნახშირი კედელს // ჩხირი კედელს* – როგორც იქნა, მადლობა ღმერთს, გვეღირსა.
- *ადამის ჟამის // ადამის ხნის* – ძალზე მოხუცი, ძველი

სახელური იდიომები საკმაოდ დიდ ჯგუფს შეადგენს თურქულშიც. მათი უმრავლესობა ორკომპონენტიანია, არსებითი სახელების კომბინაცია, რომელთაგან ერთი მსაზღვრელი, მეორე კი საზღვრულია. თურქულში საზღვრული აუცილებლად მოსდევს მსაზღვრელს. რიგითობა არ ირღვევა არც იდიომებში. ამასთან, ერთი ჯგუფის თურქულ სახელურ იდიომებში (არსებითი სახელი + არსებითი სახელი) მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშია, ანუ წარმოდგენილია ფუძის სახით, საზღვრული კი წარმოდგენილია III პირის კუთვნილებითი სუფიქსით (II იზაფეთი), მეორე ჯგუფის იდიომებში კი, რომლებიც უფრო მრავლად გვხვდება, მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია, საზღვრულს კი დართული აქვს მესამე პირის კუთვნილებითი სუფიქსი (III იზაფეთი). აღსანიშნავია, რომ იდიომებში პრაქტიკულად არ გვხვდება I იზაფეთის კონსტრუქცია, ანუ როცა მსაზღვრელიცა და საზღვრულიც სახელობით ბრუნვაშია.

II იზაფეთის კონსტრუქციის სახელური იდიომები:

- *Cennet öküz-ü* (სამოთხის ხარი) – სუფთა გულის მქონე, მაგრამ სულელი ადამიანი. -ü არის III პირის კუთვნილებითი სუფიქსი.
- *Çingene düğün-ü* (ბოშათა ქორწილი) – ფერად-ფერადი, ჭრელი.
- *Gece kuş-u* (ღამის ჩიტი) – ღამით გართობის მოყვარული ადამიანი.

III იზაფეთის კონსტრუქციის სახელური იდიომები:

- *Kalb-im-in köşe-si* (ჩემი გულის კუთხე-კუნჭული) – ითქმება ძალიან ძვირფას და საყვარელ ადამიანზე. -im არის პირველი პირის კუთვნილებითი სუფიქსი, -in – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, -si – III პირის კუთვნილებითი სუფიქსი.
- *Sabah-in kör-ü* (დილის სიბრმავე) – ძალიან ადრე, გათენებამდე.
- *Mal-in göz-ü* (საქონლის თვალი) – საზიზღარი და სახიფათო, გარყვნილი [Kavukçu, 2018: 16-34].

თუკი მსაზღვრელი ზედსართავი სახელია, ასეთ შემთხვევაში გამოთქმაში იგი პრეპოზიციურია, ანუ უსწრებს საზღვრულს.

ბ. არსებითი და ზედსართავი სახელების კომბინაცია იდიომებში:

- *ბრმა იარაღი* – ვისიმე ნებასურვილის (ჩვეულებრივ, არაკეთილსინდისიერის) შეუგნებლად შემსრულებელი.
- *დაბალი ღობე* – სუსტი, ადვილად დასაჩაგრი ადამიანი.
- *ცხელ გულზე* – რაიმე გრძნობის ან აფექტის დროს (აღელვების, განრისხების, აღტაცების, ნდომის...).

თურქულ ორკომპონენტთან იდიომებში ასევე გვხვდება ზედსართავისა და არსებითის კომბინაცია სწორედ ამ თანმიმდევრობით. ზედსართავი სახელი, ბუნებრივია, მსაზღვრელია, არსებითი – საზღვრული. გვხვდება როგორც სუფიქსიანი, ისე უსუფიქსო ფორმები:

- *Geniş yürek(li)* (ფართო გული(ანი) – არ ავლენს მღელვარებას და აზარტს, არ ღელავს, მიესალმება მოვლენებს.
- *Kuru kalabalık* (მშრალი ხალხმრავლობა) – უსარგებლო, გაფუჭებული.

თურქულში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ორი ზედსართავის კომბინაციით მიღებული იდიომები. მაგალითად:

- *İnceden inceye* (წვრილ-წვრილად) – საფუძვლიანად, დაწვრილმანებით, მცირე დეტალებამდე.

მსაზღვრელის პოზიციაში რიცხვითი სახელი შეიძლება იყოს როგორც რაოდენობითი, ისე რიგობითი და წილობითი. მსაზღვრელი ამ შემთხვევაშიც პრეპოზიციურია.

გ. არსებითი და რიცხვითი სახელების კომბინაცია იდიომებში:

- *ერთ ამბავშია* – ცელქობს, ძალზე ხმაურობს.
- *ერთი მუჭა* – ძალიან მცირე, ცოტა.
- *მეცხრე ცაზეა // მეშვიდე ცაზეა* – ძალიან ბედნიერია

საინტერესოა, რომ ქართულში გვაქვს რამდენიმე ორკომპონენტური იდიომა, რომელშიც ორივე კომპონენტი რიცხვითი სახელია. მაგ.: *ათასში ერთი* – იშვიათი. გვაქვს ასევე რიცხვითი და ზედსართავი სახელის კომბინაცია: *კარგი ერთი!* – გეყოფა, საკმარისია! *ერთი ციდა // ერთი ციციქნა* – ძალიან პატარა.

თურქულში შედარებით ნაკლებია რიცხვითი სახელისა და არსებითი სახელის კომბინაცია იდიომებში. როგორც წესი, რიცხვითი სახელი უსწრებს არსებითს:

- *Dokuz babalı* (ცხრა მამის მქონე) – ბავშვი, რომლის მამის ვინაობა გაურკვეველია.
- *Yedi mahalle* (შვიდი უბანი) – ყველა, მთელი გარემო.
- *Dört duvar arası* (ოთხ კედელს შორის) – სახლში, ჩაკეტილ სივრცეში.

თუმცა, გვაქვს გამონაკლისიც: *arada bir* (დროში ერთი) – იშვიათად. იგივეა, რაც ქართულში – *ათასში ერთხელ*.

სახელურ იდიომურ გამოთქმებში მსაზღვრელად გვხვდება მხოლოდ ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელი

- *ამ სოფლის მიტოვება* – საერო ცხოვრებაზე უარის თქმა.
- *შენს პირს შაქარი!* – გაიხარე! იცოცხლე! ნეტა მართლა ასე იყოს, როგორც თქვი! (ეტყვიან კარგი ამბის მოქმელს).

ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის კონსტრუქცია თურქულ იდიომებში:

- *Sizlere ömür* (თქვენებს სიცოცხლე) – ადამიანი, ვისზეც ვსაუბრობდით, გარდაიცვალა.

➤ **Ona göre hava hoş** (მისი აზრით კარგი ამინდია) – ეს სიტუაცია მას არ ანაღვლებს.

რაც შეეხება ზმნურ იდიომებს, აქ საკვანძო სიტყვა, რომელსაც ერგებიან გამონათქვამის სხვა კომპონენტები და იღებენ მის შესაბამის გრამატიკულ კატეგორიას, რათქმა უნდა, ზმნაა. ქართული ზმნა კი საკმაოდ რთულ და ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილს წარმოადგენს, რომელთანაც დაკავშირებულია ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა: კონტაქტი (შუალობითი, უშუალო), გვარი (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალო), ქცევა (სათავისო, სასხვისო, საარვისო), ასპექტი (სრული, უსრული), კილო (თხრობითი, ბრძანებითი), გარდამავლობა და დრო.

ქართულ ზმნურ გამონათქვამებში ყველაზე ჭარბადაა ორკომპონენტიანი იდიომები. ზმნასთან კომბინაციაში გვხვდება როგორც არსებითი სახელი (უმრავლესობა), ისე ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელები. ორკომპონენტიან იდიომებში ძირითადად დაცულია სიტყვათა თანმიმდევრობა, დამახასიათებელი ქართული ენის გრამატიკული წყობისთვის, ანუ ზმნა გვევლინება მეორე კომპონენტად, თუმცა არსებობს ისეთი იდიომური გამონათქვამებიც, სადაც ზმნა-პრედიკატი თავშია, მაგალითად, *ააბრუნა წისქვილი* – დაიწყო დაუსრულებელი საუბარი; *დაჰკრავს ფეხს* და სხვა. მკვლევარ ი. ლობჯანიძის მიხედვით, შებრუნებული კონსტრუქციის ზმნური გამონათქვამები ქართულში ერთ პროცენტსაც არ შეადგენს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქართულში სიტყვათა რიგი არც ისე თავისუფალია, რომ თვით ენის ტენდენცია და, შესაბამისად, ტრადიციაც განაპირობებს ზმნური კომპონენტის ბოლოში მოქცევას, განსაკუთრებით, მოკლე და მოდალობით ნეიტრალურ თხრობით წინადადებაში [ლობჯანიძე, 2012:54].

ზმნურ იდიომებში ზმნა გვევლინება როგორც მარტივი, ისე შედგენილი შემასმენლის სახით. ხშირია ინვერსიის შემთხვევები, როცა ქვემდებარე და დამატება – სუბიექტ-ობიექტი მონაცვლეობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინვერსია ქართული ენის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ეს უფრო თვალსაჩინოა გრძნობისა და ქონაყოლის გამომხატველ გარდამავალ ზმნურ კონსტრუქციებში [იქვე, 2012:57-58].

საინტერესოა, რა გრამატიკულ კატეგორიებს ავლენს ზმნა იდიომში და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი. ზოგადად ცნობილია, რომ ზმნა მართავს სახელს

ბრუნვაში, ხოლო სახელი მართავს ზმნას პირში. ქართულში გარდამავალი ზმნის სუბიექტი – ქვემდებარე ბრუნვაცვალებადია: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ქვემდებარის ბრუნვებია. ამასთან, ქართულში ბრუნვებს სინტაქსური ფუნქციები გააჩნიათ. სწორედ ბრუნვებით იქმნება სინტაქსური კონსტრუქციები [კიკვაძე, 2014: 86].

- *ცხვირი ჩამოუშვა* – მოიწყინა, დაღონდა.
- *ცივმა ოფლმა დაასხა* – შეშინდა, შეძრწუნდა.
- *ცეცხლს აფრქვევს* – ბრაზობს, გაცეცხლებულია, გამშაგებულია, გააფთრებულია.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ ქართული ზმნური იდიომური გამოთქმების უმრავლესობა არ წარმოადგენს მყარ, გაქვავებულ კონსტრუქციას და ახასიათებს ფორმაცვალებადობა, რაც გამოწვეულია თავად ზმნის თავისებურებით. მაგალითად: *წელში გამართვა* – მოღონიერება, გაძლიერება, მდგომარეობის გამოსწორება. ეს იდიომი, რომელიც შესაბამის ლექსიკონებში სწორედ ამ ფორმით, სახელისა და სახელზმნის კომბინაციის სახით გვხვდება, ყოფით ცხოვრებაში ლამის ყველა სერიისა და მწკრივის, თუ პირის ზმნურ კონსტრუქციას ირგებს, მაგრამ არ კარგავს იდიომურ მნიშვნელობას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ მას პირდაპირი მნიშვნელობაც ჰქონდეს შენარჩუნებული:

- ნელ-ნელა *წელში ვიმართები*.
- ხელს თუ შემიწყობ, მალე *წელში გავიმართები*.
- როგორც ამბობენ, შარშანს მერე *წელში გამართულა*.
- ნეტა მქონდეს შესაძლებლობა და ეს ოჯახი *წელში გამემართოს* და სხვ.

იდიომების ყველაზე დიდი ჯგუფი თურქულშიც ზმნურია. მათ შორის უმრავლესობა არსებითი სახელისა და ზმნის კომბინაციაა. ლექსიკონებში ასეთი ტიპის გამოთქმები, ძირითადად მასდარის -mak/-mek ფორმით გვხვდება, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში ასე უცვლელად გამოიყენება. სწორედაც, პირიქით. ასეთ კონსტრუქციაში ზმნა ხშირად ცვალებადია დროის მიხედვით, სახელი კი დაირთავს შესაბამისი პირის ნიშნებს. ასეთმა იდიომებმა შეიძლება მოირგოს კითხვითი და უარყოფითი ფორმებიც. მაგალითად:

- **Arkadan vurmak** (ზურგიდან დარტყმა) – შინაურისგან ფარული, მტრული მოქმედება, მუხანათობა, ღალატი (მდრ. ქართ.: **ზურგში დანის ჩაცემა**). ამ კონსტრუქციის იდიომურობა არ ირღვევა სხვადასხვა დროის წარმოებისას: “Onun beni **arkamdan vuracağı** hiç aklıma gelmezdi“ (ზურგში თუ ჩამარტყამდა, ვერასდროს ვიფიქრებდი); „Dostlarım hiçbir zaman beni **arkamdan vurmaz**“ (ჩემი მეგობრები არასოდეს მიღალატებენ); Ben kimseyi **arkadan vuracak** bir şey yapmadım (მე არავისთვის მიღალატია) და სხვა.

თუმცა ყველა იდიომთან მიმართებით ეს პრინციპი არ მოქმედებს. არსებობს შემთხვევები, როცა არსებითი სახელის ბრუნვის ნიშანი ან კუთვნილებითი სუფიქსი იდიომს სხვა შინაარსის მატარებელ იდიომად აქცევს. მაგალითად:

- **Baş-a çıkmak** (თავზე გასვლა) – ეს არის გამოთქმა, რომელიც ნიშნავს საკუთარი ძალების უპირატესობის დამტკიცებას, რაღაცის გაკეთების შესაძლებლობას; დაძლევა, თავის გართმევა. Bu işlerle **baş-a çıkmak** için cesur ve kabiliyetli olmak gerekir (ამ საქმის მოგვარებას გამბედაობა და უნარი სჭირდება).
- **Baş-ın-a çıkmak** (თავს გასვლა) – სხვისი მოთმინებითა და სიახლოვით ბოროტად სარგებლობა; ჭირვეულობა, გაკადნიერება. გამოიყენება უპირატესად ბავშვების მიმართ: O çocuk babasının **başına çıkar**, yine istediği oyuncacı aldırır (ის ბავშვი მამამისს თავზე წამოაჯდება, ისევ აყიდინებს სასურველ სათამაშოს). ანალოგიური გამოთქმა გვაქვს ქართულშიც – თავზე წამოჯდომა.
- **Baş-tan çıkmak** (თავიდან გასვლა) – გაფუჭება, წახდომა, ხელიდან წასვლა, გზას აცდენა. Kızı **baştan çıkmış** diyorlar (ამბობენ, ეს გოგო გზას აცდენილაო).

მართალია, იდიომი მყარი, ფორმაუცვლელი გამონათქვამია, მაგრამ ზემოთ ჩვენ სიტყვების ჩანაცვლების შესაძლებლობაზე მივუთითებდით, მათ შორის თურქულშიც. როგორც ირკვევა, ზოგიერთ შემთხვევაში, სინონიმური ან მნიშვნელობით ახლოს მდგომი სიტყვების ჩანაცვლება გამოთქმას ახალ იდიომურ მნიშვნელობას სძენს. მაგალითად:

- **baş-ı çekmek** (თავის გაწევა) – ნებისმიერ საქმეში წინ წასვლა, ლიდერობა. Bu galibiyetin **başını çektiği** için övgüyü hak ediyor (ის იმსახურებს დიდებას ამ გამარჯვების ხელმძღვანელობისათვის).

- *kafayı çekmek* (თავის გაწევა) – ალკოჰოლური სასმელების მიღება. *Kafa çekmek için kendisine yandaş arıyordu* (დასალევად თანამოაზრეს ეძებდა).

თურქულში იდიომური მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს არა მარტო ჩანაცვლების, არამედ გავრცობა/რედუცირების შემთხვევებშიც:

- *Arka çıkmak* – დაცვა, მიმხრობა, მხარდაჭერა (შდრ. ქართულში ზურგის მიცემა). *Babası arka çıkmasaydı onu bir güzel dövecekti* (მამა რომ არ დახმარებოდა, ის მას კარგად სცემდა).
- *Arka kapıdan çıkmak* (უკანა კარიდან გასვლა) – ჩუმად წასვლა, როცა იქ თავს უხერხულად ან უსარგებლოდ გრძნობ; გაპარვა. *Övünüp durma, bilgine bakılırsa sen o okulun arka kapısından çıkmışsın* (ნუ ტრაბახობთ, თქვენი ცოდნის მიხედვით, სკოლის უკანა კარებიდან გასულხართ).

მივუბრუნდეთ ისევ ქართულ იდიომებს, რომელთა შორის ცოტაა ზმნისა და ზედსართავი სახელების კონსტრუქცია, სადაც ეს უკანასკნელი გვხვდება პირდაპირი დამატების, ან გარემოების სახით. სინტაქსური თვალსაზრისით გარემოებაა ზმნი-ზედა ზმნასთან შეწყობილ იდიომურ გამოთქმებში.

- *შორს დაიჭირა* – არ დაეთანხმა, ცივი უარი უთხრა, ახლოს არ გაიკარა.

- *უკანმოუხედავად წავიდა* – მიატოვა, გაეცალა

კიდევ უფრო მცირეა ზმნისა და რიცხვითი სახელის კომბინაცია, რომელშიც რიცხვითი სახელი წარმოადგენს ვითარების გარემოებას. გვხვდება როგორც რაოდენობითი, ისე რიგობითი რიცხვითი სახელებიც.

- *ერთი ყოფა დააწია* – შავი დღე აყარა, გაუჯავრდა, დატუქსა.

- *მეორედ დაიბადა* – რაიმე კარგის, მეტისმეტად სასიამოვნოს, გამაბედნიერებელის შემთხვევა, ძალიან გახარება, აღტაცება

შედარებით მრავლად გვხვდება ზმნისა და ნაცვალსახელის (პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი) კონსტრუქცია.

- *თქვენი ჭირი წაიღო* – მოკვდა, ჩააზარა სული უფალს, აღარ არსებობს.

- *რა თავში იხლის* – რად გამოადგება.

აქვე, მიზანშეწონილია აღინიშნოს სახელწმინდური იდიომების სიმრავლე ქართულში. სახელწმინა იდიომებში წარმოდგენილია როგორც მასდარის (საწყისის), ისე მიმდებარის ფორმით. პირველს, რომელიც უფრო მრავლად გვხვდება, ახასიათებს როგორც ზმნის, ისე არსებითი სახელის კატეგორიები, მეორეს კი – ზმნისა და ზედსართავი სახელისა. ასეთ ერთეულებში ზმნა არ გვხვდება (შეიძლება ითქვას, მისი ფუნქციითაა დატვირთული სახელწმინა), სახელი კი, ძირითადად, ნათესაობით ბრუნვაში დგას. სინტაქსური თვალსაზრისით, სახელწმინეები წინადადებაში შეიძლება ასრულებდეს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტისა და დამატების როლს. მათ ახასიათებთ არაერთი ზმნური კატეგორია, როგორცაა: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კაუზატივი [ლობჯანიძე, 2012: 80].

- საწყისის შემცველი იდიომები: *სისხლის აღება, მუხის დაცემა, ხელის აღება, თავზე დასმა* და სხვა.
- მიმდებარის შემცველი იდიომები: *ენად გაკრეფილი, მიწასთან გასწორებული, ღვთის პირიდან გადავარდნილი* და სხვა.

საინტერესოა, რომ ცალკეულ სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ლექსიკონებში, იდიომურ გამოთქმებში შემავალი პირიანი ზმნა ხშირად მასდარის ფორმით გვხვდება, რაც, ვფიქრობთ, ერთგვარად ასუსტებს მოსაზრებას იდიომის, როგორც მყარი, ფორმაუცვლელი გამონათქვამის შესახებ და ადასტურებს ქართული ზმნის მოქნილობას არა მხოლოდ წინადადებაში, არამედ იდიომურ გამოთქმებში.

ზემოთ ჩვენ ძირითადად ორკომპონენტური იდიომებზე გავამახვილეთ ყურადღება. აღსანიშნავია, რომ სამკომპონენტური იდიომების წევრთა შორის მიმართებას, ერთ შემთხვევაში, განაპირობებს მასში შემავალი ორკომპონენტური იდიომის ქცევა, სხვა შემთხვევაში – ცალკეული ლექსემის მორფოსინტაქსური ნიშან-თვისებები. სამწევრიანი იდიომებში გვხვდება როგორც ზმნისა და სახელების (ორი არსებითი (1), ზედსართავი და არსებითი (2), ნაცვალსახელი და არსებითი (3) კომბინაცია, ასევე, სახელწმინისა და სახელების ნაზავი (4). რა თქმა უნდა, ზმნას უჭირავს წამყვანი პოზიცია. არსებითი სახელების შემთხვევაში პირველი ელემენტი ნათესაობით ბრუნვა-

შია, მეორე – მიცემითში ან სახელობითში, რასაც განაპირობებს ზმნის გარდამავლობა და პირი.

- *სული კბილით უჭირავს* – ძლივს ითმენს, ძლივს იკავებს თავს; ცუდ დღეშია, სიკვდილის პირზეა მისული.
- *შავმა კატამ გაირბინა* – ურთიერთობის გაფუჭება, უთანხმოების ჩამოვარდნა (ვინმეს შორის), გადაკიდება
- *საკუთარ ქეიფზე დააჭენებს* – მეტისმეტად თავგასულია, მისთვის წესი და რიგი არ არსებობს, დაუდებარია.
- *ძაღლის ფეხის გამობმა* – ბევრი სიარული, წანწალი.

როგორც აღინიშნა, ზმნურ იდიომურ გამოთქმებში ზმნას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია და იგი მართავს სხვა კომპონენტებს. საინტერესოა, ზმნის კატეგორიის, ამ შემთხვევაში, ქცევის ცვლილება რამდენად ახდენს იდიომურ მნიშვნელობაზე გავლენას. როგორც ცნობილია, ქცევა, რომელიც გულისხმობს, თუ ვის ეკუთვნის მოქმედება, ძირითადად, სამი სახისაა: სათავისო (სასუბიექტო), სასხვისო (საობიექტო) და საარვისო (ნეიტრალური). ყველა ზმნა ყველა ქცევის ფორმით არ გვხვდება. ასევეა იდიომშიც, ზოგიერთი ზმნა ქცევის სამივე ფორმას გვიჩვენებს, ზოგიერთი მხოლოდ ერთი რომელიმე ფორმით იჩენს თავს.

- *ყურთასმენის წაღება* – ბევრი ლაპარაკით, ყბედობით თავის მობეზრება. აღნიშნული იდიომი მხოლოდ საარვისო ქცევის ფორმით გვხვდება (გაუგებარი სიტყვათმეთანხმება იქნება „ყურთასმენა წამიღო“, ან „ყურთასმენა წაუღო“).
- *რწყილს ატყავებს* – ყველაფერში სარგებელს ეძებს. ამ შემთხვევაშიც მხოლოდ საარვისო ფორმაა დასაშვები იდიომში. „რწყილს ატყავებს“, ან „რწყილს უტყავებს“ მოკლებულია იდიომურ მნიშვნელობას.
- *თავს იტებს* – თავგამოდებით ცდილობს, წვალობს; ძალიან ბევრს ფიქრობს (რაიმე ძნელად გადასაწყვეტ საკითხზე), თავს იმტვრევს. ეს იდიომი მხოლოდ სათავისო ქცევის ფორმით გვხვდება. სასხვისო ფორმა – „თავს უტებს“ – უკარგავს მას იდიომურ მნიშვნელობას და მხოლოდ სიტყვასიტყვით გაგებას უტოვებს.

- *ყელში ამოსვლა* – მობეზრება, მოყირჭება. ეს იდიომი სამივე ქცევის ფორმით გვხვდება: *ყელში ამომივიდა, ყელში ამოვიდა, ყელში ამოუვიდა*. რა თქმა უნდა, იდიომური მნიშვნელობა არც იცვლება და არც იკარგება.
- *სამარეს უთხრის* – ღალატობს, საფრთხეს უმზადებს, მახეს უგებს. ეს იდიომი წარმოდგენილი სახით სასხვისო ქცევის სემანტიკისაა, მაგრამ სათავისო ქცევის ფორმითაც გვხვდება – *სამარეს ითხრის*, საარვისო ფორმაში კი – *სამარეს თხრის* – ჩვეულებრივ შესიტყვებად იქცევა.

ახლა გავარკვიოთ ასპექტის (სრული და უსრული) ფუნქციური დატვირთვა იდიომში. თანამედროვე ქართულში სრული ასპექტი იწარმოება ზმნისწინის დართვით და გარკვეულად დამოკიდებულია დროის კატეგორიაზე: აწმყოში მდგომი ზმნები ყველა უსრული ასპექტისაა, წარსული და მომავლის ფორმის ზმნები კი ორივე ასპექტში გვხვდება. აქვე გასათვალისწინებელია ქართულ ენაში უასპექტო ზმნების არსებობა და ცალკეული გამონაკლისი, როცა ზმნა არ დაირთავს ზმნისწინს, ანაც მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმით გვხვდება.

როგორც ირკვევა, ორკომპონენტიან იდიომებში სჭარბობს გა- ზმნისწინი. ამასთან, ზმნისწინების ვარიაცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოქმედებს იდიომის მნიშვნელობაზე და უკარგავს მას იდიომურობას, ზოგჯერ კი უცვლის იდიომურ მნიშვნელობას. მაგალითად:

- *ფარ-ხმლის დაყრა* – დამორჩილება, დანებება, წინააღმდეგობის შეწყვეტა. ამ შემთხვევაში ზმნისწინის შეცვლა იწვევს იდიომური მნიშვნელობის დაკარგვას და აზრის გაგება მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობითაა შესაძლებელი: *ფარ-ხმლის გადაყრა // გადმოყრა* და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ იდიომებზეც: *ფეხების გაჭიმვა, ყბაში ჩავარდნა, თავის გართმევა, ლაგამის ამოღება, ხელის დადება* და მრავალი სხვა.
- *წელში გატება* – დაასუსტა, დააუძლურა. უმუშევრობამ *წელში გატება* – უმუშევრობამ დააუძლურა. ამ იდიომში გა- ზმნისწინის გადა- ზმნისწინით ჩანაცვლებით ვიღებთ ახალ იდიომს: *წელში გადატება* – სასტიკად სცემა, მიბეგვა.

მართალია, კონკრეტული ზმნა შეიძლება შეგვხვდეს სრული და უსრული ასპექტის ფორმით, მაგრამ იდიომის შემადგენლობაში ასპექტობრივი წყვილის შექმნის მცდელობა მათი ნაწილისათვის იდიომურობის დაკარგვის ტოლფასია [ლობჯანიძე, 2012: 140-141]. ანუ, უმრავლეს შემთხვევაში, უსრულასპექტიან ზმნურ იდიომს არ ეძებნება იმავე ლექსიკური შემადგენლობისა და იდიომური გაგების სრულასპექტიანი ფორმა და პირიქით, სრულასპექტიანი ზმნური იდიომის პარალელურად არ არსებობს უსრული ასპექტის მქონე ეკვივალენტი. მაგალითად:

- **ჭურში ზის** – ჩამორჩენილია, უვიცია, უმეცარია. ამ იდიომის ზმნისწინიანი, ანუ სრულასპექტიანი ზმნური ფორმა მოკლებულია იდიომურობას. მაგალითად, “ჭურში ჩაჯდა”, ან “ჭურში დაჯდა” შეიძლება გავიგოთ მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით.
- **ერთ წერტილზე გაიყინა** – მოძრაობა, წინსვლა-განვითარება შეჩერდა. აღნიშნულ სრულასპექტიან ზმნურ იდიომს უსრულასპექტიანი ფორმა, რომელსაც იდიომური გაგება ექნება შენარჩუნებული, არ ეძებნება.

პარალელურად, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ასპექტობრივი წყვილებიც, მაგ.:

- **მალა დგას (ვინმეზე, რამეზე)** – უკეთესია, მეტის შემძლეა, უფრო განვითარებულია (უსრ. ასპ.).
- **მალა დადგა (ვინმეზე, რამეზე)** – აჯობა, მეტი შეძლო (სრ. ასპ.).

ახლა განვიხილოთ უარყოფითი ნაწილაკის შემცველი ზმნური იდიომები, რომელთა რაოდენობა ქართულში არც ისე ცოტაა. მათი უმრავლესობა, როგორც მოსალოდნელია, უარყოფითი, ნეგატიური კონოტაციის მქონეა, თუმცა არის დადებითის გამომხატველი ვარიანტებიც:

- **ავ თვალს არ ენახება** – მეტად კარგი, მშვენიერი რამაა (უფრო ლამაზ ქალზე ითქმის).
- **არც მწვადი დაწვა, არც შამფური** – ისე მოხერხებულად (ემმაკურად) გააკეთა საქმე, როგორც ერთ მხარეს არ ავნო, არც მეორეს, არავის აწყენინა.

ჩვენი დაკვირვებით, ასეთი ტიპის იდიომებში სწორედ უარყოფითი ნაწილაკია მთავარი მაიდიომებელი კომპონენტი, რადგან მის გარეშე გამოთქმა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვეულებრივ შესიტყვებად იქცევა. მაგალითად:

- *ქვა ქვაზე არ დატოვა* – გაანადგურა, მოსპო, დაანგრია, ნაცარტუტად აქცია, მიწასთან გაასწორა (შდრ.: ქვა ქვაზე დატოვა).
- *თავს მაღლა არ იღებს* – გულმოდგინედ, ბეჯითად, თავაუღებლად მუშაობს (შდრ.: თავს მაღლა იღებს).

დასასრულ, ჩვენ მიერ შესწავლილმა სპეციალურმა ლიტერატურამ, ქართული და თურქული იდიომების მორფოსინტაქსურ ბუნებაზე დაკვირვებამ, საკითხზე სამეცნიერო წრეებში გამოთქმული მოსაზრებების შეჯერებამ და ჩვენმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ორივე ენაში ჭარბობს ზმნური იდიომები, სახელების კომბინაციით (მათ შორის სახელზმნებიც) შედგენილი იდიომები წარმოადგენენ პირველად, უფრო მყარ და სტერეოტიპულ გამონათქვამებს, რომლებიც თანდათან, ცოცხალ მეტყველებაში „მოვიდნენ მოძრაობაში“, რის შედეგადაც მივიღეთ ზმნური იდიომები მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

თავი III. იდიომთა სემასიოლოგიური ანალიზი. თანამედროვე იდიომები

§ 1. იდიომთა კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია საგანთა, მოვლენათა და ა.შ. რაიმე ნიშნით დაჯგუფებას გულისხმობს. ლექსიკოლოგიაში, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, არ არსებობს უნივერსალური კლასიფიკაციის ისეთი სისტემა, რომელიც ყველას ესადაგება და ყველაზე კარგ დიფერენცირებას გვთავაზობს. იდიომებთან დაკავშირებით არსებობს კლასიფიკაციის სხვადასხვა სახე თუ მეთოდი, მაგალითად: ანბანური, ლექსიკური, ქრონოლოგიური, გეოგრაფიული, თემატური და სხვა.

ვფიქრობთ, ამათგან ყველაზე სწორი და გამართლებული შეიძლება იყოს იდიომთა სისტემატიზაცია ლექსიკური თვალსაზრისით, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ რა სიტყვა მეორდება იდიომურ გამოთქმაში. ამ ნიშნის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ასეთ სიტყვათა დიდი ჯგუფები, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანია სომატური (ადამიანის სხეულის ნაწილების სახელების შემცველი) იდიომები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ იდიომებში სხეულის ცალკეული ნაწილი ძირითადად ერთსა და იმავე გრძნობებსა თუ თვისებებს უკავშირდება.

განვიხილოთ ამ ტიპის იდიომები და მათი შესატყვისი თურქული ვარიანტები:

- **შუბლის გახსნა** – გამხიარულება, კარგ ხასიათზე დადგომა. თურქ.: *Alnı açık yüzü ak* (მისი შუბლი გახსნილია, სახე – თეთრი).
- **შუბლის ძარღვის გაწყვეტა** – უსირცხვილოდ, უნამუსოდ მოქცევა. თურქული ფორმის – *Alnının damarı çatlamak* – პირდაპირი მნიშვნელობა, ასევე, შუბლის ძარღვის გაწყვეტას ნიშნავს, თუმცა საინტერესოა, რომ იდიომურ გააზრებაში მას ქართულის შესატყვისი მნიშვნელობა არ გააჩნია. ის გამოიყენება წარმატების მისაღწევად ბევრი მუშაობის, მუყაითი შრომის მნიშვნელობით.
- **ტვინის გამოლაყება** – გამოტვინება, გამოშტერება, გონების დაჩლუნგება. თურქულში ანალოგიურ სიტუაციაში იყენებენ იმავე სიტყვათმეხამებას: *Beyni bulanmak (uyuşmak)*.

- *ტვინის წაღება* – შეწუხება, თავის მობეზრება, გულის გაწყალება. თურქულში გვაქვს: *Beyin yıkamak* (ტვინის გარეცხვა).
- *გონების ამღვრევა* – აღელვება, აღშფოთება, შავ ფიაქრებში გახვევა. თურქულში ანალოგიურ სიტუაციისას გამოიყენება: *Aklı karışmak* (ტვინის არევა).
- *გონების დაკარგვა* – დაბნევა, არევა, თავგზის ახნევა. თურქულში გვაქვს: *Aklı başında olmamak* (თავში ჭკუის არქონა).
- *გონს მოგება/გონს მოსვლა* – მიხვედრა (რისამე), გამორკვევა, ცნობიერების დაბრუნება. თურქულში გვაქვს: *Aklı başına gelmek* (თავში ჭკუის მოსვლა).
- *ჭკუის კოლოფი* – ჭკვიანი ადამიანი; თურქულში იგივეა *Akıl kutusu* (ჭკუის კოლოფი) – ნიჭიერი, განათლებული.
- *ჭკუის სწავლება* – რომელიმე საკითხთან დაკავშირებით რჩევის მიცემა. თურქულში იგივეა: *Akıl öğretmek / vermek* (ჭკუის სწავლება, ჭკუის მიცემა).
- *ცხვირის აწევა* – უკადრისობა, ამპარტავნობა, მედიდურობა, კუდაბზიკობა. თურქულში იმავე მნიშვნელობით გვხვდება: *Burnu büyümek* (ცხვირის გაზრდა). ამპარტავნობასა და კუდაბზიკობას გამოხატავს ასევე შემდეგი თურქული იდიომი: *Burnu havada* (ცხვირი ჰაერში).
- *ცხვირის ჩაყოფა* – რაც შენი საქმე არ არის, იმის გამორკვევა, იმით დაინტერესება. თურქულშიც იგივე კონსტრუქციაა: *Burnunu sokmak (bir şeye)*.
- *ყურების აცქვეტა // ყურების დაცქვეტა* – ყურადღების გამახვილება, სმენად გადაქცევა. ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება თურქულში იდიომები: *Kulağını açmak* (ყურის გაღება, გახსნა), *Kulağını bükmek* (ყურების დაგრეხა).
- *ყურების გამობერთყვა* – ფხიზლად, ყურადღებით მოქცევა, მიხვედრა, შეგნება, გაგება.
- *ყური არ ათხოვა* – ყურადღება არ მიაქცია, ანგარიში არ გაუწია, არ მოუსმინა. თურქულში აღნიშნული მნიშვნელობით გამოიყენება – *Kulak asmamak* (ყურის არ დაკიდება, დამვრენა).

აქვე განვიხილოთ ქართულში საკმაოდ გავრცელებული იდიომი: *ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა* – ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, ანგარიში არ გაუწია,

არად ჩააგდო. ამ იდიომის ანტონიმური მნიშვნელობის მატარებელია თურქულ ენაში ყველასთვის ცნობილი იდიომა: *Kulağına küpe olsun* (საყურედ გქონდეს) – უკვე მიღებული გამოცდილების, გაკვეთილის კარგად დამახსოვრება.

- *ყელზე დაადგება* – ვითომდა ავნებს, აწყენს, ზედმეტი იქნება მისთვის. თურქულში იგივე კონსტრუქცია განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება: *Boğazına basmak* (ყელზე დადგომა) – ვინმესთვის საქმის ძალით გაკეთებინება, დაძალევა.
- *ყელის გაშრობა* – მოწყურება. თურქულში პირდაპირი თარგმანიც და იდიომის მნიშვნელობაც ემთხვევა. *Boğazı kurumak* (ყელის გაშრობა).
- *ენის წაგდება // ენის წაგრძელება* – ბევრი, ზედმეტი და თავხედური ლაპარაკი. ანალოგიური იდიომა თურქულშიც გვაქვს. *Dil uzatmak* (ენის გაგრძელება, დაგრძელება), *Dili uzun* (ენა გრძელი).
- *ენის დაბმა* – გაჩუმება, დამუნჯება, ხმის ვერ ამოღება. ანალოგიურია თურქული შესატყვისი ფორმითაც და შინაარსითაც – *Dili tutulmak* – (ენის გაშეშება),
- *ენის წვერზე (ენაზე) ადგას (რამე)* – იცის, საცაა მოაგონდება, მაგრამ ჯერ ვერ მოუგონებია. თურქულში ენის წვერზე მოსვლა, მოდგომა – *Dilinin ucuna gelmek* – ნიშნავს სათქმელის გადაფიქრებას სწორედ მაშინ, როდესაც უნდა ეთქვა. მეორე მნიშვნელობით კი – სათქმელი გაიხსენა, მაგრამ ისევ დაავიწყდა.
- *ენაზე (პირზე) აკერია (ვინმე, რამე)* – წარამარა ახსენებს (ვინმეს, რამეს), მუდმივად ლაპარაკობს (ვინმეზე, რამეზე). ანალოგიური შინაარსის მატარებელია შემდეგი თურქული იდიომა: *Dillerde dolaşmak* (ენად გაკრეფილი).
- *სისხლი სწყურია* – ვისიმე მოკვლა, სისხლის დაღვრა სურს. თურქულში პირდაპირი თარგმანით და იდიომური მნიშვნელობითაც ანალოგიური შესიტყვება გვაქვს: *Kana susamak* (სისხლის მოწყურება), ვინმეს მოკვლის სურვილი, გამუდმებით ამ აზრით ცხოვრება.
- *სისხლის თავში ავარდნა* – გაბრაზება, აღშფოთება, გაშმაგება, შეშინება, შეძრწუნება. თურქულშიც იგივეა: *Kan başına sıçramak (beynine çıkmak)* – (სისხლის თავში (ტვინში) ავარდნა, ასვლა).

- **სისხლი უდუღს** – ძალ-ღონით სავსეა, ენერგიულია, მკვირცხლია. შდრ.: **Kanı kaynamak** (სისხლის დუღილი) – 1. მოძრავი, მოუსვენარი; 2. გიყვარდეს ვინმე მთელი არსით, მას ძალიან ახლობლად თვლიდე.
- **სისხლის აღება** – შურისძიება, მკვლელობისთვის სამაგიეროს გადახდა. შდრ.: **Kaniyla ödemek** (სისხლით გადახდა) ჩადენილი დანაშაულის, სასჯელის სიცოცხლით გადახდა.
- **გულში გავლება** (რისამე) – გაფიქრება, აზრად მოსვლა, განზრახვა (რისამე). თურქულში: **Gönülden geçirmek** (გულში გატარება) – რაღაცის გაკეთების ფიქრი, ამის დიდი სურვილი.
- **გულის დაწვა** – წყენა, გულის ტკენა, გულის დაწყვეტა. თურქულშიც ანალოგიური ფორმითა და შინაარსით გვხვდება – **Yüreği yanmak**, ოღონდ მეორე მნიშვნელობით განსაცდელში ყოფნასაც ნიშნავს.
- **გულის მონადირება** – ნაწყენი პირის კარგი ქმედებით გახარება. თურქულში: **Gönül almak**: 1. გაბრაზებული, განაწყენებული პირისთვის კარგი სიტყვებითა და ქმედებით თავიდან კმაყოფილების მინიჭება.

ფლორონიმული (მცენარეთა სახელების შემცველი) იდიომები:

როგორც ქართულში, ისე თურქულში იდიომთა ერთ დიდ ჯგუფს ქმნის ფლორონიმული იდიომები. ამ ჯგუფის ძირითადი ლექსებია: **დაფნა, ეკალი, ვარდი, ია, ტყემალი, კაკალი...**

- **დაფნის გვირგვინის დადგმა** – დიდებით, შარავანდედით შემოსვა. თურქულში ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება შემდეგი იდიომი: **Baş tacı etmek (birini)** – თავზე გვირგვინის დადება – ვინმეს დაფასება, დიდი პატივი.
- **ეკლებზე ზის** – მოუსვენრადაა, მოთმინება არ ჰყოფნის. თურქულში პირდაპირი თარგმანითაც და იდიომური მნიშვნელობითაც გვაქვს ანალოგიური: **Diken üstünde oturmak** (ეკალზე ჯდომა). **ეკლიანი გზა** – გაჭირვება, ცხოვრების ძნელი გზა. ეკალი უარყოფით, ნეგატიურ ამბავს უკავშირდება, ამიტომაც რთულ პერიოდს, პრობლემურ ვითარებას გამოხატავს ეს იდიომიც.

- **გულზე ვარდის გადაფენა** – გახარება, აღფრთოვანება, სიამოვნების განცდა. ვარდი მშვენიერების, სილამაზის და სიყვარულის სიმბოლოა, ამიტომაც მას დადებითი ემოციების გამოსახატად იყენებენ. გამონაკლისი არც თურქული ენაა, ვარდს სილამაზის, სიხარულის და ნეტარების სიმბოლოდ იყენებენ. **Güllük gülistanlık** (როზარიუმი, ვარდნარი, მიწიერი სამოთხე.) – უპრობლემო, მხიარული, ბარაქიანი და მშვიდი ადგილი.
- **ია-ვარდს უფენს** – ალერსიანად, ტკბილად ექცევა, თავს ევლება.
- **ტყემალზე ზის** – არაფერი გაეგება, არაფერი იცის (რისამე შესახებ). ამ შინაარსის გამოსახატად თურქულში იყენებენ გამოთქმებს: **Kara cahil** (შავი უმეცარი).
- **თავზე კაკლის მტვრევა** – არაფრად მიჩნევა, აბუჩად აგდება, დაჩაგვრა, დამცირება. შდრ.: **Hor görmek (bakmak)** - ათვალწუნება.

2020 წელს ფიტონიმებით მოტივირებული ქართულ-ფრანგული იდიომების კვლევას მიეძღვნა მკვლევარ სოფიო კახიძის დისერტაცია, რომელშიც საინტერესო მსჯელობაა მცენარეთა სახელების შემცველი გამოთქმების არსებულ კლასიფიკაციაზე, ასეთი იდიომების ისტორიასა და ეროვნულ სპეციფიკაზე. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ, სხვათა შორის, აქ გვხვდება ერთსიტყვიანი გამოთქმები – **განი-ორწყლება** და **ლეღვია** – იდიომთა ჩამონათვალში [კახიძე, 2020: 61, 65]. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სხვაგანაც გვხვდება მსგავსი მონოლექსემური გამოთქმები, მეცნიერულ წრეებში მიღებული და ჩვენ მიერ გაზიარებული განმარტების გათვალისწინებით, ცალკე აღებულ სიტყვას იდიომად ვერ განვიხილავთ.

ზოონიმური (ცხოველთა სახელების შემცველი) იდიომები:

- **გველის ხვრელში გაძრომა** – მიზნის (უმთავრესად სამარცხვინოს, ბოროტის) მისალწევად ყოველი ღონის ხმარება.
- **ვირის ბაგაზე დაბმა** – შერცხვენა, თავს ლაფის დასხმა.
- **მგლის მუხლის მობმა** – მარდად, დაულალავად სიარული.
- **მგლის ყურის გამობმა** – განგებ წაყრუება, ბამბის დაცობა.
- **ჩიტსაც (ბუზსაც) ვერ აუფრენს** – ვერაფერს უზამს, ვერაფერს დააკლებს.

- *დათეური სამსახურის გაწევა* – სარგებლობის ნაცვლად ზიანის მოტანა.
- *ვირზე (ჯორზე) შეჯდომა* – გაჯიუტება, გაკერპება, სიბრიყვით შეცდომის დამ-
ვება.
- *თავი კუდს ვერ მოიბრუნებს* – სივიწროვეა, გასანძრევი ადგილი არ არის.
- *კუს ნაბიჯით* – ძლიერ ნელა, ზღაზვნით.
- *ყვავი ჩხიკვის მამიდა* – ვითომდა ნათესავი, ძალიან შორეული ნათესავი.
- *შავი კატის გარბენა* (ვისიმე შუა) – ურთიერთობის გაფუჭება, უთანხმოების ჩა-
მოვარდნა (ვინმეს შორის), გადაკიდება. იდიომი მომდინარეობს ცრუ რწმენი-
დან, თითქოს კატის მიერ წინიდან გზის გადაჭრა უბედურების, უსიამოვნების
მომასწავებელია.
- *ძალდი გარეთ არ გაიგდება* – ძალიან სიცივეა, ცუდი ამინდია.
- *ძალდი პატრონს ვერა სცნობს* – არეულობაა, უწესრიგობაა, უთავბოლობაა.
- *ძალდის ფეხის გამობმა* – ბევრი სიარული, წანწალი.
- *ძალდის ყბის გამობმა* – გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა.

ცალკე გამოვყოფთ ნუმერაციულ (რიცხვი სახელების შემცველი) იდიომებს:

ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმების კვლევას, ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში მიუძღვნა თავისი დისერტაცია ნ. ზაალიშვილმა. მისი დაკვირვებით, ქართულ ენაში მხოლოდ რიცხვითი სახელით „ერთი“ დაფიქსირებულია 100 ფრაზეოლოგიური ერ-
თეული [ზაალიშვილი, 2018]; ბუნებრივია, მათში ვხვდებით იდიომებსაც. ჩვენთვის საინტერესო გამოთქმებში რიცხვითი სახელები, გარდა პირდაპირი მნიშვნელობე-
ბისა, განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობითაც გვხვდება:

- *ერთ პირზე დგომა* – შეთანხმებულად მოქმედება;
- *ერთ ჭერქვეშ დაგვიხველებია* – ერთად გვიცხოვრია.
- *ერთი თავი მაქვს* – მარტოხელა ვარ.
- *ორი პარასკევი არ დარჩენია* – ძალიან მოხუცია, ასაკშია.
- *ორი ფეხის გადადგმაზე* – აქვე, ახლოს.
- *ორი შოლტი ტყავი აადრო* – ძალზე სცემა.

- *ოთხში ამოღება* – სასტიკად ცემა.
- *ოთხი თვალით ყურება* – ძალიან დაკვირვება.
- *ხუთი თითით იცის* – ზედმიწევნით იცის.

„სამი“ და „შვიდი“ ქართულში საკრალური რიცხვებია, თუმცა, მათი შემცველი იდიომები არც ისე ბევრია:

- *შვიდი პარასკევი აქვს დღეში* – ცვალებადი ხასიათი აქვს.
- *მეშვიდე ცას ეწია* – ძალიან გაუხარდა.
- *ცხრა ენა გამოიბა* – ყბედობს, ბევრს ლაპარაკობს.
- *ცხრა მთას იქით* – უსაზღვრო სიშორე, ძალზე შორს.

რიცხვ „ცამეტის“ მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის განსაკუთრებული იყო. ის, ძირითადად, უბედურების მომტანად ითვლებოდა. რიცხვი ცამეტი საბედისწეროდ ითვლება, რადგან ეს იუდას რიცხვია (ქრისტე, 12 მოწაფე და იუდა). ამ რიცხვს მრავალი ცრურწმენა უკავშირდება. აშშ-ს ბევრ სასტუმროში არ არსებობს არც მეცამეტე სართული და არც მეცამეტე ოთახი, თვითმფრინავებში არ არის ამ ნუმერაციის სავარძლები. საფრანგეთის მსხვილ ქალაქებში სახლებს, რომლებსაც რიგითობით ნომერი ცამეტი შეესაბამებათ, აღნიშნავენ „12 B-ს“. დიასახლისები გაურბიან სუფრის ცამეტ პერსონაზე გაშლას [ცეცხლაძე, 2018:65]. თუმცა, ქართულ გამოთქმაში *„მეცამეტე გოჭი“*, მიუხედავად იმისა, რომ მეტიჩარას მნიშვნელობით გამოიყენება, მთლად ისეთი უარყოფითი სემანტიკა არ იგრძნობა, რადგან იგი აღებულია არა იმ „ავბედითი“ ცამეტიდან, არამედ რეალური ცხოვრებიდან: ჯიშთან ღორს ერთდროულად მხოლოდ 12 გოჭის გამოკვება შეუძლია, რადგან 12 ძუძუ აქვს. აქედან გამომდინარე, *„მეცამეტე გოჭი“*, ერთგვარი სიბრალულის განცდას ტოვებს, რაც საკვების გარეშე დარჩენილ გოჭს უკავშირდება.

- *ათასად გაჭრა* – ბევრი საქმისათვის ხელის მოკიდება;
- *ათასში ერთხელ* – იშვიათად...

რა თქმა უნდა, შესაძლებელია სხვა, უფრო მცირე, ჯგუფების გამოყოფა, მაგალითად, ფულის, ადგილის, წყლისა და წყალსაცავების და სხვათა შემცველი იდიომები,

რომლებიც მეტნაკლებად არის შესწავლილი. საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ თურქულში?

თურქულშიც მრავლადაა ნუმერაციული იდიომები. ყველაზე ხშირად ამ ტიპის იდიომებში გვხვდება 'bir' (ერთი), რაც არაა გასაკვირი, რადგან 'bir' – განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელიცაა [კვანტალიანი, ჯანაშია, 1999:48]. აქ ხშირია ისეთი იდიომური გამოთქმები, რომლებშიც ერთად გვხვდება რიცხვითი სახელები – ერთი და ორი (bir, iki). ზოგიერთ მათგანს აშკარად ეტყობა ეთნიკური კვალი.

- *ağzına bir kemik atmak* (ვინმესთვის ძვლის გადაგდება) – მცირე სარგებლით ვინმეს გაჩუმება.
- *bir çuval inciri berbat etmek* (ერთი ტომარა ლეღვის განადგურება) – არასწორი და უადგილო მოქმედებით გაუმჯობესებისკენ მიმავალი სტუაციის გაფუჭება.
- *bir dikili ağacı olmamak* (ერთი დარგული ხის არ ქონა) – დატაკი, უქონელი.
- *bir taşla iki kuş vurmak* (ერთი ქვით ორი ჩიტის მოკვლა) – მოხერხებული, ერთი მოქმედებით რამდენიმე სასურველი შედეგის მიღება. შდრ.: *ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერა*.
- *iki ateş arasında kalmak* (ორ ცეცხლს შუა დარჩენა) – გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნა. იგივე იდიომი გვაქვს ქართულშიც.
- *iki cami arasında kalmış beynamaz* (ორ მეჩეთს შორის ლოცვის გარეშე დარჩენა) – იტყვიან ისეთ ადამიანზე, ვისაც უჭირს გადაწყვეტილების მიღება, ვინც მერყეობს თუ რომელ გზას დაადგეს.
- *işi üç nalla bir ata kalmak* (საქმე სამ ნალიან ცხენს დარჩენა) – გამოიყენება მათ მიმართ, ვინც უმნიშვნელო შესაძლებლობის მიღებისას დიდ საქმეებზე ოცნებობს.
- *Dört duvar arası* (ოთხ კედელს შორის) – სახლში, ჩაკეტილ სივრცეში.
- *bildiğini yedi mahalle bilmez* (შვიდმა უბანმა არ იცის ის, რაც შენ იცი) – იტყვიან ცბიერ, ბევრის მცოდნე ადამიანზე.
- *yedi kubbeli hamam kurmak* (შვიდ გუმბათოვანი აბანოს აშენება) – ოცნების კომპის აგება.

- *dokuz ayın çarşambası bir araya gelmek* (ცხრა თვის ოთხშაბათი ერთად მოუწია) – გამოიყენება ბევრი საქმის ერთად მოზღვავებისას.
- *dokuz körün bir değneği* (ცხრა ბრმის ერთი ხელჯოხი) – ბევრი ადამიანის ერთადერთი დამხმარე, მხარდამჭერი
- *bin can ile* (ათასი სულით) – მთელი მონდომებით, გულითა და სულით. შდრ.: *ერთი სული მაქვს.*

თითოეულ კულტურას აქვს სამყაროს საკუთარი სურათი, რომელშიც ფერს დიდი დატვირთვა აქვს. განსხვავებულია მათში ძირითად ფერთა რაოდენობა. ბუნებრივია, ბევრია საერთოც, რამაც ასახვა ჰპოვა შესაბამის იდიომებშიც.

განვიხილოთ **ფერთა აღმნიშვნელი** იდიომური გამონათქვამები:

თეთრი ფერი სიწმინდისა და უმანკოების სინონიმია ბევრ ენაში, მათ შორის ქართულსა და თურქულშიც. რაც შეეხება იდიომებს, ქართულში **თეთრი** საპირისპირო მნიშვნელობითაც გვხვდება:

- *შავის გათეთრება* – თავის გამართლება, დანაშაულის გაბათილება.
- *თეთრი კბილების გამოჩენა* – ფარისევლობა, მოჩვენებითობაა;
- *ak yüze* (თეთრი სახით) – სუფთა სინდისით;
- *alnı açık yüzü ak* (სუფთა შუბლით და თეთრი სახით) – უმანკო, კრისტალურად პატიოსანი;
- *beyaza çıkmak* (თეთრად/სუფთად გამოსვლა) – საკუთარი უბრალოების, უდანაშაულობის დამტკიცება;

საინტერესოა, რომ ასეთ კონსტრუქციებში თურქულში ხშირადაა გამოყენებული სახე, რადგანაც თურქისთვის სულის სარკე სახეა, რასაც კარგად ადასტურებს თურქული ანდაზა – *yüz kalbin aynasıdır* (სახე გულის სარკეა).

თეთრ ფერს თურქულში, აქვს დადებითი, პოზიტიური მნიშვნელობა და ამ კუთხითაც უპირისპირდება **შავს**, რომელიც გამოიყენება ნეგატიურ კონტექსტში:

- *Kara yüzlü* (შავი სახით) – უპატიოსნო, უსირცხვილო;
- *tencere dibin kara* (შენი ქვაბის ძირი შავია) – იტყვიან ადამიანზე, ვინც სხვის ნაკლს ამჩნებს, საკუთარს კი ვერა;

➤ *kara bulut gibi* (შავი ღრუბელივით) – იტყვიან პირქუშ ადამიანზე.

შავი ფერი სიმბოლურად უბედურებას, ტანჯვა-წვალებას უკავშირდება ქართულში. აქ უხვადაა ამ სემანტიკის იდიომები:

➤ *შავი დღის დაყრა* – დატუქსვა, წვალება, მუქარა.

➤ *შავ დღეზე გაჩენილი* – უბედური.

ასეთი გამოთქმების გვერდით გვქვს: *შავი დედალივით გასუქება//შავი ქათამივით აშენება* – გამდიდრება, შოვნა, შეძენა.

წითელი თურქებისთვის წმინდა, მაგიური ფერია, რომელსაც გააჩნია დიდი ცხოვრებისეული ძალა. წითელი დროშაც თავისუფლებისთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა. ლურჯსაც და ცისფერსაც თურქულში დადებითი მნიშვნელობა აქვს. თურქებს სჯერათ, რომ ლურჯი თვალი მათ უბედურებისაგან იცავს.

➤ *mavi boncuk dağıtmak* (ლურჯი მძივების დარიგება) – ბევრი ადამიანისადმი სიყვარულის გამოვლენა.

➤ *kırmızı dipli mumla davet etmek* (წითელძირიანი სანთლით მოპატიჟება) – ვინმეს მისვლაზე დაჟინებით თხოვნა, ხვეწნა. საინტერესოა ჩვენებურთა მეტყველებაში დადასტურებული ამ იდიომის ვარიაცია: *ყირმიზი მუმებით დაპატიჟება: ყირმიზ მუმებითნა ვპაიჯო თუ?* (არაბ. mum – სანთელი) – რა თავპატიჟი გამოიღო, საგანგებო დაპატიჟება რად უნდა?! [ცეცხლაძე, 2018:67].

ზევით ჩვენ განვიხილეთ ქართული სომატური იდიომები და შევეცადეთ მოგვეძებნა თურქული ანალოგი. ისევე როგორც ქართულში, თურქულშიც ძალიან ბევრია ასეთი გამოთქმები. როგორც ირკვევა, ადამიანის სხეულის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული იდიომები თურქულში გამოხატავენ გარკვეულ გრძნობებს თუ თვისებებს. მაგალითად:

გულის შემცველი იდიომები უპირატესად გამოხატავენ სიხარულს, მწუხარებას, დეპრესიას, გმირობას, ვაჟკაცობას, შიშს...

მუხლი თურქულში უფრო ძალასა და ძლიერებასთან და მათ ანტონიმურ გაგებასთანაა დაკავშირებული.

თვალი – სიყვარული, სიხარული, დაფასება, შური.

ღვიძლი და ფილტვი – სიყვარული, მსხვერპლად ყოფნა.

ცხვირი და მკერდი – სიამაყე, ამპარტავნება, ეგოიზმი.

წარბი და ქუთუთო – ადამიანის სულიერი ძალა, კარგი ან ცუდი განწყობა [Özkan, 2003: 135-157].

როგორც ქართულში, თურქულშიც ბევრია ფლორო-ზოონიმური იდიომები. ზოგიერთი მათგანი სიტყვასიტყვით მეორდება ქართულში და სხვა ენებშიც. როცა ამგვარ შემთხვევებთან, ანუ ე. წ. უნივერსალიებთან გვაქვს ხოლმე შეხება, ბუნებრივად უკანა რიგში გადადის იდიომის უთარგმნელობის პრინციპი და გვიწევს იმის აღიარება, რომ ცალკეულ შემთხვევაში დასაშვებია იდიომის პირდაპირ თარგმნა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხატოვან იდიომებთან მიმართებით ასეთ რამეს უშვებს ა. თაყაიშვილი) მისი იდიომური მნიშვნელობის შენარჩუნებით. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში რთულია იმის განსაზღვრა, თუ რომელ ენაში შეიძინა პირველად იდიომური მნიშვნელობა ამ ტიპის გამონათქვამებმა. მაგ.: *Çetin ceviz* (კერკეტი კაკალი) – რთული, ძლიერი მოწინააღმდეგე. ქართულში ამავე მნიშვნელობით ზუსტად იგივე სიტყვათშეთანხმება გვაქვს – *კერკეტი კაკალი*. ასევე რუსულშიც: *крепкий орешек*, ინგლისურშიც: *A hard nut to crack*. რა თქმა უნდა, აქ სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება (იხილეთ ქვემოთ), მაგრამ ეს ერთი მაგალითიც საკმარისია იდიომის უთარგმნელობის პრინციპისათვის საფუძვლის შესარყევად.

განვიხილოთ ზოგიერთი ფლორონიმული და ზოონიმური იდიომი, რომლებიც მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება თურქულ ენაში:

- *Armudun sapı var, üzümün çöpü var demek* (მსხალს ღერო აქვს, ყურძენს კიდევ წიპწაო) – უმიზეზოდ დაწუნება, შარზე ყოფნა. მისი შესატყვისი ქართულშიც გვახს: *მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო*.
- *Armut piş, ağzıma düş* (მსხალო დამწიფდი, პირში ჩამივარდი) – ზარმაცი, უქნარა, სხვისი ხელის შემყურე. ქართულში მისი შესატყვისია: *სხვისი ბარგი. მგონი ზუსტი შესატყვისი არის ქართულში, ნახე ცეცხლაძესთან*.

- *Çam yarması* (ფიჭვის ნაჭერი) – დიდტანიანი ადამიანი, ზორბა. ფიჭვი ამ კონტექსტში არ უნდა იყოს შემთხვევითი. ძველ თურქულ მითოლოგიაში ფიჭვი სხვა ხეებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდება. ერთ-ერთის მიხედვით, სწორედ უზარმაზარი ფიჭვის ხის ქვეშ გაჩნდნენ პირველი ადამიანები, რომლებმაც სხვადასხვა რასებს ჩაუყარეს საფუძველი.
- *İncir çekirdeğini doldurmaz* (ლელვის თესლს არ აავსებს). ალბათ, არც ისე რთულია გამოიცნო მისი იდიომური მნიშვნელობა – უმნიშვნელო, ძალიან მცირე. ლელვს ხომ მართლაც ძალიან პაწაწინა თესლი აქვს. ქართ.: *ერთი ბეწო, ბეწვისოდენა*.
- *Kabak tadı vermek* (კვახის გემოს მიცემა) – დაღონება, მოწყენა, ხასიათის გაფუჭება. იდიომი დაკავშირებულია ერთ თურქულ გადმოცემასთან, რომლის მიხედვით სტუმრად მისულ მეგობარს მუნწი მასპინძელი ყოველდღე კვახისგან დამზადებულ კერძს სთავაზობდა, რამაც მას გემოც დააკარგვინა, მოთმინებაც და გუნება-განწყობილებაც.
- *Mantar gibi yerden bitmek* (სოკოსავით ამოდის (მრავლდება) – სწრაფად, უცაბედად გამრავლება. იგივე იდიომი იმავე მნიშვნელობით გვაქვს ქართულშიც.
- *Atı alan Üsküdar'ı geçti* (ის ვინც ცხენი წაიყვანა, უსკუდარს გასცდა). ამ იდიომის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი. ქართულში მისი შესატყვისია: *ჩაიღულის წყალი დაღია // უყარე კაკალი*.
- *Atı eşkin, kılıcı keskin* (მისი ცხენი ამბიციურია, ხმალი მკვეთრი) – ყველა თვალსაზრისით ძლიერი, შეუძლია გააკეთოს ის, რაც სურს. შდრ.: *გორგასლის ხმალი*.
- *Attan inip eşeğe binmek* (ცხენიდან ვირზე გადაჯდომა) – პირობების, მდგომარეობის გაუარესება. შდრ.: *ბედაურიდან ჩამოვხტი, ვირზე შევჯექიო*. როგორც თურქულში, ისე ქართულში ცხენი სიმდიდრის, მაღალი სოციალური მდგომარეობის, ვირი კი სიჯიუტის, სიღარიბის და დაბალი სოციალური სტატუსის სიმბოლოა.
- *Fare deliği bin para* (თაგვის სორო ათას ფულად) – მშიშარა, მხდალი. შდრ.: *თაგვის სოროში შეძვრება*.

- *Dananın kuyruğu kopmak* (ხბოს კუდის მოგლეჯა) – სიტუაციის გამწვავება, მოსალოდნელი მძიმე შედეგის დადგომა.
- *Eski kurt* (ბებერი მგელი) – გამოცდილი, ბევრის მნახველი, საქმის უბადლო მცოდნე ადამიანი. ქართულში დაახლოებით ანალოგიური შინაარსისაა: *ბებერი ხარის რქაც ხნავსო*.
- *Eşek kadar olmak* (ვირისხელა გახდომა) – გაზრდა, ამაღლება. როგორც ჩანს, ვირს თურქულში, ზემოაღნიშნულს გარდა, სხვა დატვირთვაც გააჩნია.
- *Kedi gibi dört ayak üstüne düşmek* (კატასავით ოთხ ფეხზე დაცემა) – მძიმე სიტუაციიდან უდანაკარგოდ გამოსვლა, ყოველთვის უვნებლად დარჩენა. ქართულში ამის შესაბამისია: *წყლიდან მშრალად გამოსვლა*.
- *Kedi olalı bir fare tuttu* (დაიჭირა თაგვი, როგორც კატამ) – პირველად მოახერხა ის, რასაც მისგან არ მოელოდნენ, ბევრი იმუშავა.
- *Süt dökmüş kedi gibi* (როგორც კატა, რომელმაც რძე დაღვარა) – იგი გამოიყენება იმ ადამიანის მდგომარეობის აღსაწერად, რომელსაც დაშვებული შეცდომის გამო რცხვენია, ეშინია და ყოყმანობს.
- *Öküz öldü, ortaklık bozuldu* (ხარი მოკვდა, პარტნიორობა დასრულდა) – სიახლოვის საფუძველი გაქრა, აღარ არსებობს.
- *Tavşan yürekli* (კურდღლის გულიანი) – მშიშარა, მორცხვი, გაუბედავი. ქართულში გვაქვს: *კურდღელივით მშიშარა*.

მკვლევარმა ჯიჰად დუნდარმა შეისწავლა წყალთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები/იდიომები თურქულში. მოძიებული 88 ერთეული მან რამდენიმე კატეგორიად დაჰყო და გააკეთა საბოლოო დასკვნა, რომ თურქულში წყლის შემცველ იდიომთა ნახევარზე მეტს ცუდი/უარყოფითი მნიშვნელობა გააჩნია და კარგი/დადებითი გაგება მათ შორის მხოლოდ მეოთხედს აქვს [Dündar, 2020: 3-10].

- *Havanda su dövmek* (სანაყში წყლის ნაყვა) – უსარგებლო რისამე კეთება, უაზრო, ფუჭი შრომა. ქართულში გვაქვს რედუცირებული ფორმა: *წყლის ნაყვა*.
- *Suya salmak* (წყალში მიშვება/ჩაშვება) – უსარგებლოდ ხარჯვა/დაკარგვა. ქართულში გვაქვს სინონიმური ფორმა: *წყალში გადაყრა*.

- *Saman altından su yürütmek* (თივის ქვეშ წყლის გაყვანა) – ფარულად, სხვადასხვა ხრიკით სიტუაციის არევა.
- *Bir içim su* (ერთი ყლუპი წყალი) – ძალიან ლამაზი, მომხიბვლელი. შდრ.: *კალმით ნახატი, ავ თვალს არ დაენახება, ვარდივით გაფურჩქნილი.*

აქვე უნდა ითქვას, რომ ჰიდრონიმური იდიომები, როგორც ორწევრიანი, ისე მრავალწევრიანი, ხშირია ასევე სალიტერატურო ქართულშიც და სხვა ქართველურ ენებშიც (ზანურსა და სვანურშიც) [გიგლემიანი, 2006; მეშიშიძე, 2015]. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ წყალი, ერთი მხრივ სიცოცხლესთან, ენერგიასთან, ნათლისღებასთან ასოცირდება, მეორე მხრივ, კი – წყალდიდობა-წარღვნასთან. ამდენად, ნეგატიური შინაარსის მქონე წყალთან დაკავშირებული იდიომების მრავლად არსებობა ზოგადად არაა გასაკვირი. საინტერესო ისაა, რომ ასეთი იდიომების ნაწილი როგორც ლექსიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით მსგავსია ქართულსა და თურქულში ენებში, მაგალითად:

- *Su götürmez // წყალი არ გაუვა* – ნამდვილია, უდავოა, უქვევლია.
- *Suya salmak // წყალში გადაყრა* – უსარგებლოდ დაკარგვა, დაღუპვა; არდაფასება (ამაგისა, სიკეთისა...). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს იდიომი თურქულში უფრო ფულის უსარგებლო ხარჯვასთან დაკავშირებით იხმარება.
- *Suyu bulandırmak // წყლის ამღვრევა* – განზრახ შფოთვის, არეულობის გამოწვევა, მდგომარეობის გამწვავება.

საინტერესო კლასიფიკაცია შემოგვთავაზეს თურქმა მკვლევრებმა ბ. ონანმა და ჰ. ოზჩაქმაქმა, რომლებმაც თურქული იდიომები დააჯგუფეს *ლაპარაკის, მოსმენის, წერისა და კითხვის კონცეპტების* მიხედვით. მათ ხუთი სხვადასხვა წყაროდან მოიპიეს და შეკრიბეს 526 ასეთი იდიომი. განაწილების აღნიშნულმა პრინციპმა აჩვენა შემდეგი სურათი:

ლაპარაკის (საუბარი, თქმა, კამათი და მისთ.) შემცველი იდიომები – 423 ერთეული (80,42%).

მოსმენის (გაგონება, მიყურადება და მისთ.) შემცველი იდიომები – 57 ერთეული (10,84%).

წერასთან დაკავშირებული იდიომები – 38 ერთეული (7,22%).

კითხვასთან დაკავშირებული იდიომები – 8 ერთეული (1,52%) [Onan, 2014].

რა თქმა უნდა, ამ ულევ საბადოში სხვა ბევრი კონცეპტის, კლასიფიკაციის სისტემის შემოთავაზებაა შესაძლებელი, მაგრამ გარკვეული დასკვნის გაკეთება აქ უკვე წარმოდგენილი მასალიდანაც შეიძლება. როგორც ირკვევა, ქართული და თურქული იდიომები საინტერესო კავშირებს გვიჩვენებს, ცალკეულ შემთხვევაში იდიომები და მათით გამოხატული აზრი მეორდება სიტყვასიტყვით. ლექსიკური თვალსაზრისით იდიომთა კლასიფიკაცია ნათლად აჩვენებს როგორც ქართული, ისე თურქული იდიომების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას.

§ 2. კონცეპტები ქართულ და თურქულ იდიომებში

ენა ეროვნული და კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მარკერია. უდავოა, რომ ენები და კულტურები მრავალფეროვანია. არც ერთი ენა ზუსტად არ ითარგმნება მეორე ენაზე. სამყარო, რომელიც მუდმივად ერთნაირად გვეძლევა, სხვადასხვაგვარად აღიქმება სხვადასხვა ენის მატარებელთა მიერ. ყოველი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს ორგანიზაციის და აღქმის გარკვეულ საშუალებას. მასში არსებული შეხედულებები ყალიბდება ერთგვარ სისტემად, ერთგვარ კოლექტიურ ფილოსოფიად, რომელიც საზიაროა მთელი ჯგუფისათვის. მოცემული ენისთვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხი ნაწილობრივ უნივერსალური და ნაწილობრივ თავისებურია. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეები ოდნავ განსხვავებულად უყურებენ სამყაროს, თავის ენობრივ პრიზმაში ატარებენ მას [ამირეჯიბი, <http://www.icgl.org/links.html>].

ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვლადია დროსა და სივრცეში. იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით. თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზითაა შესაძლებელი ადამიანის კონცეპტუალურ სფეროში შეღწევა რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში. კონცეპტი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან იდეალიზირებულ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ენობრივ, კულტურულ, მენტალურ და კოგნიტურ ელემენტებს [შარაშენიძე, 2018:2-3].

კონცეპტის, როგორც ლინგვოკულტურული ერთეულის შექმნას უზრუნველყოფს ადამიანის ცოდნის, გამოცდილებისა და დაკვირვების უნარი, გატარებული რეტროსპექტული აზროვნებისა და ეროვნული ცნობიერების პრიზმაში. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია იდიომებში არსებულ კონცეპტებზე, რასაც მხოლოდ ბოლო პერიოდში არაერთი კვლევა მიეძღვნა ჩვენში [ბერიაშვილი, 2016; თაბუაშვილი, 2016; ზაალიშვილი, 2018; ლაგვილავა, 2018 და სხვა]. სწორედ მათში ჩანს ხალხის ისტორიისა და კულტურის კავშირი, სადაც ასახულია ხალხის ძირითადი მოღვაწეობით განპირობებული სოციალური გამოცდილება.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ქართული ენის იდიომებისა და ან-დაზების ფონდების მონაცემთა ბაზაში, იდიომებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურასა და, ზოგადად, ჩვენს ლექსიკაში არსებულ იდიომურ გამოთქმათა მარაგმა შესაძლებლობა მოგვცა ქართულ იდიომთა სტრუქტურაში გამოგვეყო **ზომა-წონის, დროისა და სივრცის სემანტიკის** შემცველი იდიომური გამოთქმები, რომელთა კონცეპტუალური ანალიზი არსად შეგვხვედრია.

ამა თუ იმ ენის მატარებელთა მსოფლადქმის სპეციფიკას ასახავს კონცეპტთა, როგორც სემანტიკურ ერთეულთა ერთობლიობა, რომელიც ქმნის კონცეპტუალურ სფეროს. სწორედ ეს სფერო შეესაბამება მენტალობას, როგორც სამყაროს ხედვის საშუალებას. რაც შეეხება მენტალიტეტს, რომელიც ერის კოგნიტიურ, ემოციურ და ქცევით სტერეოტიპთა სიმრავლედ განიხილება, მის სფეროში შედის ეთნიკური სპეციფიკით ნიშანდებული კონცეპტები [მასლოვა 2001:49; ომიადე, 2010]. ჩვენს მიერ შერჩეული კონცეპტები უფრო უნივერსალურ კონცეპტთა ჯგუფს მიეკუთვნება, ვიდრე ეროვნული ნიშნით მარკირებულს. ამავე დროს მათ გააჩნიათ აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხი, მსგავსად ისეთი მეტაფიზიკური კონცეპტებისა, როგორცაა, მაგალითად, სიყვარული, ჭეშმარიტება, ბედნიერება, თავისუფლება და მიემართებიან სულიერ ღირებულებათა „უხილავ სამყაროს“ [ომიადე, 2010]. თუმცა, მიუხედავად ამისა, გარკვეული მენტალური ნიშნების დანახვა მათში მაინც შესაძლებელია.

რა არის დრო და როგორ მიემართება სივრცეს? დრო სწრაფმავალია, არ აქვს საზღვრები და ჩარჩოები, არ ვიცით, სად იწყება ან სად მთავრდება. ქართველი ფიზიკოსის, მაქს პლანკის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის გია დვალის აზრით, დრო არის პარამეტრი რეალობის აღსაწერად. ადამიანები საკუთარ თავს აღვიქვამთ სივრცესა და დროში, შესაბამისად, ჩვენი გრძნობითი ორგანოები აღიქვამს სამ სივრცით განზომილებას: სიგრძეს, სიგანესა და სიმაღლეს. ჩვენ შეგვიძლია ვიმოდრაოთ წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, ზევით და ქვევით, სხვა განზომილება, წესით, არ არის. თუმცა, სხვადასხვა ვარაუდით არსებობს კიდევ მეოთხე განზომილება, რომელიც არის დრო [<https://www.doctrina.ge/ra-aris-dro>]. ბუნებრივია, დრო და სივრცე ჩვენ გვაინტერესებს როგორც ფიზიკური, თუ გნებავთ ფილოსოფიური კატეგორია,

მაგრამ არა მისი სიღრმისეული კვლევის თვალსაზრისით, არამედ იმ კუთხით, თუ როგორაა გააზრებული ის ქართულ იდიომებში.

განვიხილოთ კონცეპტი „დრო“ ქართულ იდიომურ გამოთქმებში. გასაგებია, რომ ერთი და საკმაოდ დიდი ჯგუფი ამ სემანტიკის შემცველი იდიომებისა ფორმირებულია დროსთან დაკავშირებული სიტყვებით: დღე, დრო, ჟამი, გუშინ, დღეს, ხვალ და ა.შ., თუმცა, როგორც წესი, არ მეორდება იდიომურ მნიშვნელობაში. მაგალითად:

- *ალილო და ხვალეო* – ამასაც მალე ვნახავთ, ესეც მალე გამოჩნდება (ალილო ძველისძველი სიმღერაა, რომელსაც შობის წინა ღამეს მისალოცად კარდაკარ სიარულის დროს ასრულებდნენ).
- *როდინობის კვირაში* – არასოდეს.

ამ ტიპის ლექსემებს სემანტიკური მნიშვნელობის გვერდით გააჩნიათ გრამატიკული კატეგორიებიც. ავიღოთ ლექსემა *დღე* – არსებითი სახელი. გვხვდება როგორც მხოლობითი, ასევე, მრავლობითი რიცხვის ფორმით. ის ქართულ იდიომებში სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და დაირთავს თანდებულებს. იდიომში იგი, ძირითადად, საზღვრული წევრის როლს ასრულებს. მაგალითად:

- *განკითხვის დღის დადგომა // განკითხვის დღის მოსვლა* – შავი დღის, დანაშაულზე პასუხისმგებლობის დროის დადგომა.
- *გრძელი დღე არა აქვს // დიდი დღე არა აქვს* – დიდხანს ვერ იცოცხლებს, მალე მოეღება ბოლო.
- *დღე და ღამის გასწორება // დღე-ღამის გასწორება* – ძალიან ბევრი, გამუდმებული შრომა.
- *დიდი დღე არ აქვს // გრძელი დღე არ აქვს* – დიდხანს ვერ იარსებებს, ხანმოკლეა.
- *დღეები დათვლილია (ვისიმე, რისამე)* – (ვისიმე, რისამე) აღსასრული მოახლოებულია, მალე მოკვდება, დიდხანს ვერ იცოცხლებს (ვინმე).
- *დღითი დღე* – განუწყვეტლივ, თანდათანობით, სულ უფრო მეტად, დღიდან დღემდე.

- *თავის დღეში* – არასდროს, ვერასდროს; მუდამ, ყოველთვის.
- *შავი დღე* – უბედურების, გაჭირვების დრო.

ახლა განვიხილოთ ლექსემა **დრო** იდიომურ გამოთქმებში. გვხვდება მხოლოდ-ბითი რიცხვის ფორმით, სახელობით და ნათესაობით ბრუნვაში. მაგალითად:

- *დროის მოჭბ* – არსებობის დროის დასრულება, ცხოვრების გზის ბოლომდე გავლა; დაბერება, დაძველება, თანამედროვეობისათვის შეუფერებელი გახდომა. აქედანაა ფორმირებული – *დრო მოჭამ* და მისი გავრცობილი ფორმა – *თავისი დრო მოჭამ* – დაძველდა, დრო გაუვიდა, ცხოვრების გზა გაიარა.
- *დრო იხელთა* – ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა.
- *დროს გატარება* – გართობა, ქეიფი, ლხინი.
- *დროს მოკვლა* – საქმის უქონლობის დროს როგორმე გართობა და დროის ისე გატარება.

თანამედროვე ქართულ მეტყველებაში ხმარებიდან თითქმის ამოღებულია დროის აღმნიშვნელი სიტყვები – *ჟამი და ყავლი*, თუმცა, გვხვდება ამ ლექსემებით ფორმირებულ იდიომებში:

- *ადამის ჟამიდან* – უხსოვარი დროიდან.
- *ადამის ჟამის // ადამის ხნის* – ძველის-ძველი, დიდი ხნის, ძალზე მოხუცი; ძველებური.
- *ჟამი დარეკავს* – დრო დადგება.
- *ყავლის/ვადის გასვლა* – მოძველება, ფასის დაკარგვა.

ქართულ ცოცხალ მეტყველებაში არანაკლები რაოდენობის ისეთი იდიომებიც გვხვდება, რომელთა ლექსიკურ შემადგენლობაში „დრო“ არ იკვეთება, მაგრამ გამოთქმას დროის გაგება აქვს. საინტერესოა, რომ ამ კატეგორიის იდიომებში სომატური და ზოონიმური კომპონენტი სჭარბობს. მაგალითად:

სომატური:

- *თავზე თმა არ შეშრობია* – ძალიან პატარაა, ბავშვია.

- *რძე არ შეშრობია პირზე// ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია* – ძალიან პატარაა (ასაკით), ძალიან ახალგაზრდაა, ბავშვია, გამოუცდელია, გუშინდელი ღლაპია.
- *თვალის დახამხამებაში* – უცბად, სწრაფად, მყის, ელვის სისწრაფით.
- *თვალსა და ხელს შუა // ხელსა და ხელს შორის* – უეცრად, შეუმჩნევლად, მოულოდნელად.
- *მოკლე ფეხები აქვს (რამეს)* – დიდხანს ვერ გაძლებს, მალე მოისპობა.
- *სისხლის უკანასკნელ წვეთამდე* – სანამ ცოცხალია, სიკვდილამდე, ვიდრე ძალღონე შესწევს.

ზოონიმური:

- *კუს ნაბიჯით* – ძლიერ ნელა, ზღაზვნით.
- *როცა ბაყაყს კბილი ამოუვა* – არასოდეს.
- *როცა ვირი ხეზე ავა* – დიდი ხნის შემდეგ, არასოდეს.

სხვადასხვა:

- *არც აცივა, არც აცხელა* – სწრაფად, ანაზღად, დაუყოვნებლივ ჩაიდინა (რამე).
- *ბევრმა წყალმა ჩაიარა* (რისამე შემდეგ) – დიდი დრო გავიდა (რისამე შემდეგ).
- *კუბოს/სამარის/საფლავის კარამდე* – სიკვდილამდე, მთელი სიცოცხლის/ცხოვრების მანძილზე
- *ერთი კალმის მოსმით* – მოკლედ და სხარტად, უცებ, ერთბაშად.

რაც შეეხება „სივრცეს“, მისი გამოხატვა იდიომებით ნაკლებად გვხვდება, თუმცა, რამდენიმე მაგალითის მოყვანა მაინც შეიძლება:

- *თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებს* – სივიწროვეა, გასანძრევი ადგილი არ არის
- *ცხრა მთას იქით* – ძალიან შორს.
- *კამარის შეკვრა* – მაღლა ახტომა და შორს დაშვება; ფრენით ნახევარწრის გაკეთება.
- *დედამიწის ზურგზე* – მთელ ქვეყანაზე, მსოფლიოში.

დროსა და სივრცესთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული კატეგორიებია **ზომა** და **წონა**. როგორც ირკვევა, ქართულში პირველის სემანტიკის შემცველი იდიომები სჭარბობს. გვხვდება როგორც სახელური, ისე ზმნური იდიომები:

- **დედამიწას არ ასცილებია** – ძალიან პატარაა, ტუჩებზე რძე არ შემრობია.
- **დულს და გადმოდის** – უხვადაა, ბლომად არის (ქონება, სიკეთე...), სიცოცხლით სავსეა (ცხოვრება).
- **ერთი სიტყვით** – მოკლედ, მოკლედ რომ ვთქვათ.
- **ერთი მუჭა** – ძლიერ ცოტა, პატარა.
- **ერთი ციდა** – პაწაწა, პაწაწკინტელა, ერთი ბეწვა.
- **ზღვაში წვეთი** – ძალიან ცოტა (რამესთან შედარებით).
- **თავზე საყრელი** – ძალიან ბევრი, უხვად.
- **თავზე გადასდის (რამე)** – ბევრი აქვს, უხვად აქვს, თავზე საყრელი აქვს.
- **იოტის ოდენა** – ძალიან პატარა, სულ მცირე, ერთი ბეწვი.
- **იოტის ოდენად** – ოდნავ, სულ ცოტათი.
- **წრეს გადასვლა** – გადაჭარბება, ზომიერების ფარგლებიდან გამოსვლა, საზღვარს გადასვლა.
- **წრეს გადასული** – გადაჭარბებული, საზღვარს გადასული.

ახლა განვიხილოთ დროის სემანტიკის მქონე თურქული იდიომები. აქაც დროის გამოხატვა ხდება როგორც დროსთან დაკავშირებული ლექსემების, ისე განსხვავებული სიტყვების გამოყენებით, რომელთა შორის ჭარბობს სომატური და ნაწილობრივ გაორმაგებული ელემენტები. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, არც ჩაითვალოს იდიომად, თუმცა, რაკი ზოგან ასეთად მიიჩნევა, საჭიროდ მივიჩნიეთ რამდენიმე მაგალითის მოყვანა.

სიტყვა **'zaman'**-ით (დრო) ფორმირებული იდიომები (ზოგჯერ სიტყვა **'zaman'**-ს ცვლის მისი სინონიმები – **'vakit'** და **'vade'**):

- **Zaman/vakit kazanmak** (დროის მოგება) – ვინმეს გართობით, ყურადღების გადატანით შენთვის საჭირო დროის გაგრძელება.

- *Zaman almak* (დროის წართმევა) – დროის გაგრძელება, გახანგრძლივება.
- *Zamanı avlamak* (დროის მონადირება) – ხელსაყრელი დროის პოვნა.
- *Kaç zamandır* (რამდენი ხანია) – დიდი ხანია.
- *Zaman ile yarışmak* (დროსთან შეჯიბრი) – სწრაფი მოქმედება, რეაგირება.
- *kaçmaktan kovalamaya vakti olmamak* (დევნის დროის არ ქონა) – მნიშვნელოვანი საქმის გამო სხვა საქმისთვის თავის ვერ გართმევა.
- *Vakit öldürmek* (დროის მოკვლა) – დროის უსარგებლოდ გატარება.
- *Vadesi gelmek* (ვადის, დროის მოსვლა) – სიცოცხლის დასრულება, გარდაცვალება.
- *vaktini şaşmamak* – ყველაფრის დროულად გაკეთება.

ლექსემა '**bugün**' იდიომურ გამოთქმებში:

- *Bugünden tezi yok* (დღეიდან არაუგვიანეს) – ახლავე, მყისიერად, პირველივე შემთხვევაში.
- *Bugünlük yarınlik* (დღევანდელიობა ხვალინდელი დღე) – გამოიყენება ძალიან ძალე მოსახდენ ამბავთან მიმართებით.
- *Bugün yarın* (დღეს ხვალ) – ერთ ორ დღეში.
- *ha bugün ha yarın* (ჰა დღეს ჰა ხვალ) – საცაა, მოკლე ხანში.
- *dün bir, bugün iki* (გუშინ ერთი, დღეს ორი) – გამოიყენება საქმის დაწყებიდან მცირე დროის გასვლის აღსანიშნავად.
- *bugün git, yarın gel* (დღეს წადი, ხვალ მოდი) – გამოიყენება არასასურველი საქმის თავიდან აცილების მნიშვნელობით.

სიტყვა '**sabah**' იდიომურ გამოთქმებში:

- *Sabahın köründe* (დილის ბინდისას) – ძალიან ადრე, ჯერ კიდევ ბინდისას, გათენებამდე. „*Sabahın köründen beri yoldayız*“ (სისხამ დილიდან გზაში ვართ).
- *akşam ahıra sabah çayıra* (სადამოს თავლაში, დილით მდელოზე) – არაფრის მაქნისი, უსაქმური. გამოიყენება იმ ადამიანთა მიმართ, ვინც არაფერზე ზრუნავს გარდა ჭამისა და ძილისა.

- *akşamdan kavur, sabaha savur* (სალამოს მოხალე, დილით გაანიავე) – 1. გამოიყენება მფლანგველი ადამიანების მიმართ; 2) გამოიყენება უპირო ადამიანების მისამართით, ვინც არ ასრულებს სიტყვას.
- *(biriyle) selamı sabahı kesmek* (ვინმესთვის საღმის შეწყვეტა) – ყველანაირი ურთიერთობის დასრულება. Onunla tamamıyla *selamı sabahı kestim* – მასთან საერთოდ გავწყვიტე ურთიერთობა.

დროის აღმნიშვნელი სხვადასხვა ლექსემებით ფორმირებული იდიომები:

- *Er geç* – ადრე თუ გვიან, ყოველთვის, აუცილებლად. „Ne zaman olsa, mutlaka." *Er geç* onu bulacağım“ (ადრე თუ გვიან მას ვიპოვი).
- *Ne güne duruyor?* (რომელი დღისთვის?) – ახლა თუ არ გააკეთებს, აბა როდის?
- *yumurtadan daha dün çıkmış* (ჯერ კიდევ გუშინ გამოჩეკილი) – გამოიყენება "პედანტური გულუბრყვილობის" მნიშვნელობით.
- *Elini çabuk tutmak* (ხელის სწრაფად დაჭერა) – სწრაფი მოქმედება, სიჩქარე. „*Elinizi çabuk tutup* şu kömürü yağmura yakalanmadan taşıyalım“ (სწრაფად გავიტანოთ ეს ნახშირი, სანამ წვიმაში დასველებულა).

ახლა განვიხილოთ ის თურქული იდიომები, რომლის შემადგენელ კომპონენტებზე არ გვევლინებიან დროის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ გამოთქმას დროის გაგება გააჩნია:

- *Ağır aksak* (მძიმე კოჭლობა) – ძალიან ნელა. "Her zaman işleri *ağır aksak* yapıyorsunuz (ყოველთვის საქმეს ძალიან ნელა ასრულებ). იგივე აზრს გამოხატავს: *Ağırdan almak* – ნელა, აუჩქარებლად.
- *Ağır elli* (მძიმე ხელის მქონე) – 1. საქმის ნელა მკეთებელი 2. მტკივნეული დარტყმის პატრონი. ქართულში ეს გამოთქმა მეორე მნიშვნელობით გამოიყენება.
- *Bir ayağı çukurda olmak* (ერთი ფეხით ორმოში ყოფნა) – ძალიან ბებერი, ცხოვრების ბოლო წლებში ყოფნა. "Dedemin *bir ayağı çukurda*, onu üzmemin artık." (ბაბუაჩემს ერთი ფეხი ორმოს უდგას, აღარ გაანაწყენო). გასაგებია, რომ აქ სამარე იგულისხმება. ქართულში პირდაპირ ასეთი ფორმა გვაქვს: *ცალი ფეხით სამარეში ყოფნა/დგომა*).

- *Bir ayak önce (evvel)* (ერთი ნაბიჯით ადრე) – ძალიან სწრაფად, რაც შეიძლება მალე, სასწრაფოდ. "Bu iş, **bir ayak önce** yapılacak bir iştir" (ეს საქმე ძალიან სწრაფად გასაკეთებელია.).
- *Dara getirmek* (ჩიხში შეყვანა) – ჩქარა, დროის დაუკარგავად. "Biraz erken kalkalım da **dara getirmeden** yapalım işi" (ცოტა ადრე გავიდეთ და დროის დაუკარგავად გავაკეთოთ ეს საქმე).
- *Eli değmemek* (ხელის არ ხლება) – რაიმე საქმის საკეთებლად დროის არ ქონა „Odanı temizlemeye **elim değmiyor**“ (შენი ოთახის დასასუფთავებლად დრო არ მყოფნის).
- *Göz açıp kapayıncaya kadar* (თვალის დახამხამებაში) – ძალიან სწრაფად, მოკლე დროში. „O işi **göz açıp kapayıncaya kadar** yaparız" (იმ საქმეს თვალის დახამხამებაში გავაკეთებთ).
- *Kaşla göz arasında* (წარბსა და თვალს შორის) – ძალიან სწრაფად, სხვისგან შეუმჩნევლად უმოკლეს დროში. „**Kaşla göz arasında** kapıverdi mendili“ (*თვალის დახამხამებაში* გამოსტაცა ცხვირსახოცი).
- *Neden sonra* (რის შემდეგ) – გარკვეული ხნის შემდეგ, მას შემდეგ რაც ყველაფერი მორჩა, დიდი ხნის შემდეგ. „**Neden sonra** babam da geldi“ (გარკვეული ხნის შემდეგ მამაჩემიც მოვიდა).
- *Öteden beri* (გალმიდან მოყოლებული) – საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, უხსოვარი დრიდან. „**Öteden beri** sevmem ben onu“ (დიდი ხანია არ მიყვარს იგი).
- *Su gibi akmak* (წყალივით მიედინება) – 1. დროის სწრაფად გასვლა 2. ფულის უხვად ხარჯვა. ქართულში იგივე გამოთქმა უფრო მეორე მნიშვნელობით გამოიყენება.
- *Ayak üstü (üzeri)* (ფეხზე) – 1. მოკლე დროში, საჩქაროდ; 2. ფეხზე დგომით.
- *İşi ağırdan almak* (საქმისადმი სერიოზული მიდგომა) – აუჩქარებლად, უნიათოდ. „Söyle onlara, **iş i ağırdan almasınlar**, müşteriler mal bekliyor“ (მათ უთხარი, უნიათოდ ნუ იქცევიან, მომხმარებლები საქონელს ელოდებიან).
- *Kelle götürür gibi* – ზედმეტი აჩქარებით, ძალიან სწრაფად, სირბილით.

- *Telâşa düşmek* (შფოთვა) – აღელვება, აჩქარება.
- *Tez canlı* – ნაჩქარევად მოუთმენლად, ლოდინის გარეშე. "Bu kadar *tez canlı* olma!" (ასეთი მოუთმენელი ნუ იქნები!).
- *Sıcağı sıcağına* (ცხელ-ცხელი) – სწრაფად, შემთხვევიდან მალევე, დაუყოვნებლივ. „*Sıcağı sıcağına* gidip onları barıştırmayı düşündü“ (სასწრაფოდ წავიდა და მათი შერიგება იფიქრა).
- *Palas pandıras*. – სწრაფად, მომზადების გარეშე, დაუყოვნებლივ. „*Palas pandıras* evden çıkmak zorunda kaldık“ (სასწრაფოდ სახლიდან გასვლა მომიხდა).
- *Apar topar* – კისრისტეხით, მოუმზადებლად. „Treni kaçırdım korkusuyla *apar topar* evden ayrıldım“ (მატარებლის გასვლის შიშით სახლიდან კისრისტეხით გავარდი).
- *Tipiş tipiş yürümek* (მძიმე სიარული) – სწრაფი სიარული მოკლე ნაბიჯებით.

როგორც ვხედავთ, თურქულში სიჩქარის-სისწრაფის სემანტიკის შემცველი ძალიან ბევრი იდიომია, რასაც მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, შეიძლება ლოგიკური ახსნაც მოვუძებნოთ: სწორედ ასეთი სწრაფი მოქმედებებით, მოუთმენლობით მიაღწიეს თურქულმა ტომებმა დიდ წარმატებას და საკმაოდ ვრცელ არეალს დაეპატრონენ, განსაკუთრებით შუა და მცირე აზიაში.

ზომა-წონის აღმნიშვნელი თურქული იდიომები:

- *Devede kulak* (აქლემში ყური) – მთლიანთან შედარებით პაწაწინა ნაწილი, ძალიან ცოტა. „Onun yaptığı iş *devede kulak* kalır“ (*მისი გაკეთებული საქმე მცირეა, უმნიშვნელოა*).
- *Eşek kadar* (ვირივით, ვირისხელა) – დიდი, მსუქანი, ძალიან განვითარებული. „*Eşek kadar* oldu, ama hiç söz dinlemiyor“ (*ძალიან გაიზარდა, მაგრამ საერთოდ არაფერი ესმის*).
- *Ölçüyü kaçırmak* (ზომის გაქცევა) – ზომიერების დაკარგვა, გადამეტება. „*Sofraya* her oturduğunda *ölçüyü kaçıır*“ (სუფრაზე ყოველთვის კარგავს ზომიერებას).
- *Mahşer midillisi* (აპოკალიფსის პონი) – ტანმორჩილი, მაცდური ადამიანი.

- *İncir çekirdeğini doldurmaz* (ლეღვის თესლს არ აავსებს) – უმნიშვნელო, ძალიან მცირე.
- *avuç içi kadar (მუჭისოდენა)* – ძალიან პატარა, ვიწრო (ადგილი).

დამოწმებული ემპირიული მასალის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ დრო-სივრცისა და ზომა-წონის სემანტიკის შემცველი გამოთქმები, იდიომთა ჯგუფებს შორის რაოდენობრივად შეიძლება მოწინავე არა, მაგრამ არც უკანასკნელ პოზიციებს იჭერს. ასეთი ტიპის იდიომები საინტერესო გადასაკავშირებს გვიჩვენებს ქართულსა და თურქულში, თუმცა უმრავლესობა მაინც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ჩანს.

§ 3. უნივერსალიები ქართულსა და თურქულში

ენისა და მისი მატარებელი ხალხის ეროვნული და კულტურული ღირებულებები, აზროვნების თავისებურებები ყველაზე ნათლად აისახება ხალხურ გამოთქმებში, ანდაზებში და მათ შორის, იდიომებშიც. ქართულ და თურქულ იდიომებს და სხვა ფრაზეოლოგიზმებს, მათ ლინგვოკულტურულ ასპექტებს, თარგმანის შესაძლებლობებს, ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაში არსებულ გამოთქმებს არაერთი მკვლევარი შეეხო: ე. მამულია, მ. კიკვაძე, ლ. თანდილავა, ნ. ცეცხლამე, მ. ხახუტაიშვილი, ლ. ჭყონია და სხვ. საინტერესოა, რომ ხალხები, რომელთაც აქვთ სრულიად განსხვავებული ენები, ეთნიკური ცნობიერებები და კულტურები, ზოგჯერ გარემომცველ სამყაროს და მოვლენებს აღიქვამენ ერთნაირად, ხშირად იყენებენ კონცეპტუალური აზროვნების ერთსა და იმავე სისტემას, ანუ ისინი ქმნიან აზროვნების სტერეოტიპულ მოდელებს, რომლებიც ემყარება სამყაროს შემეცნების პროცესში მიღებულ გამოცდილებას [Tandilava, Khakhutaishvili, 2016: 767].

ენის საშუალებით საზოგადოების წევრები გადმოვცემთ აზრს, ინფორმაციას, ვამყარებთ კომუნიკაციას. ენა იმდენად ცოცხალი ორგანიზმია, რომ მასში სიტყვები ან გამოთქმები შეიძლება სიტუაციურად შეიცვალოს, სხვა ენიდან შევიდეს, დამკვიდრდეს, შემდეგ ხმარებიდან გაქრეს და ისევ დაბრუნდეს. ყველა ეს ეტაპი, საფეხური განსაკუთრებით ჩანს ენის ყველაზე ცოცხალ, ორგანულ ნაწილში – იდიომში. სწორედ ამიტომ, უცხო ენის შესწავლისას დიდ სირთულეს მათი შეთვისება წარმოადგენს.

ენების საერთო და განმასხვავებელი თვისებების ძიებით ადრიდანვე დაინტერესდნენ. ლინგვისტური უნივერსალიების კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა XX საუკუნის შუა წლებში. ლინგვისტური უნივერსალიები ენებს შორის არსებულ მსგავსებას გვიჩვენებს. სხვადასხვა ენა ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა ხარისხის მსგავსებას გამოხატავს, რაც შეიძლება მომდინარეობდეს ენათა საერთო, ერთი წინარე ენის არსებობით, ან ენათა მეზობლობით. გეოგარფიული სიახლოვის გამო, ენაში შეიძლება თავისუფლად შევიდეს მეორე ენისთვის დამახასიათებელი თვისებები. ასევე, მსგავსებას იწვევს ზოგადი ლინგვისტური კანონზომიერებანი.

ზემოთ, იდიომების კლასიფიკაციაზე საუბრისას, მივანიშნეთ ქართულსა და თურქულში ფორმითა და შინაარსით მსგავსი იდიომების გარკვეული რაოდენობით არსებობაზე. კიდევ რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? ვფიქრობთ, აზროვნების სწორედ ზემოაღნიშნული მოდელის გათვალისწინებით არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ერთნაირი შემადგენლობისა და მნიშვნელობის იდიომები, გარკვეულ ფიზიკურ თუ სხვა სახის მახასიათებლებზე დაყრდნობით, ცალკეულ ენაში, რაღაც დოზით, დამოუკიდებლად აღმოცენებულიყო. გასათვალისწინებელია, ასევე, საუკუნეთა მანძილზე მეზობლობით შექმნილი სოციოკულტურული გარემოს ზეგავლენა და პირდაპირი თარგმნის შესაძლებლობაც.

ისეთ შემთხვევაში, როცა ცალკეული იდიომის ნასესხობაზეა საუბარი, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რომელი ენიდან რომელზე წარიმართა ეს პროცესი? რა თქმა უნდა, დროის გადასახედიდან ძალიან რთულია ამის გარკვევა, მაგრამ რაკი ენამ და მისმა მატარებელმა ხალხმა მიიღო და გაითავისა, იგი შეიძლება უკვე იმ კულტურის ნაწილადაც მივიჩნიოთ.

ქვემოთ, შედარებითი (კომპარატივისტული) მეთოდის გამოყენებით, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ქართულსა და თურქულში დადასტურებული უნივერსალური იდიომები, მოგვეცვა რაც შეიძლება მეტი ერთეული და გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა ამ ორი ერისათვის საერთო იდიომურ ბაზაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ჭარბობს სომატური იდიომები. ეს იდიომები დავაჯგუფეთ კონცეპტების მიხედვით:

გონება:

- *გონება აერია – akli karıştı* – დაიბნა, გაოცდა.
- *გონებაში გაივლო – aklından geçirdi* – გაიფიქრა.
- *გონებიდან ამოუვარდა – aklından çıktı* – დაავიწყდა.

გული:

- *გულიდან ამოიღებს – gönlünden çıkarır* – დაივიწყებს, შეიძულეხს.
- *გულმა გაუწია – gönlü çektii* – სურვილი აღედრა, მოეწონა.
- *გულს გაუტეხს – gönlünü kırar* – აწყენინებს.

- *გულს მოიგებს – kalbını kazanır* – მიიმხრობს, გადაიბირებს, თავის სასარგებლოდ განაწყობს.

პირი:

- *პირზე კლიტე დაადო – ağzına kilit vurdu* – გააჩუმა, ხმა არ ამოაღებინა.
- *პირი იცვალა – ağzını değiştirdi* – პირობა დაარღვია.
- *პირი ღია დარჩა – ağzı açık kaldı* – გაოცდა, გაკვირვებული დარჩა.
- *პირი შეკრეს – ağız birliği ettiler* – ერთად, შეთანხმებულად იმოქმედეს.
- *პირიდან თაფლი გადმოსდის – ağzından bal akar* – ტკბილმოუბარია, სასიამოვნოდ ლაპარაკობს.
- *პირიდან ლუკმას აცლის – ağzından lokması alır* – უსახსროდ ტოვებს, არაფერს უტოვებს.
- *პირიდან ნერწყვი მოსდის – ağzından salya akıyor* – (რისამე) დიდი სურვილი აქვს.
- *პირის გემო იცის – ağzının tadını bilir* – გემრიელ საჭმელებს კარგად არჩევს.
- *პირღია დატოვა – ağzını açık bıraktı* – განაცვიფრა, გააოცა, გააკვირვა.
- *პირში შესცქერის – ağzına bakıyor* – მისი სიტყვებისა სჯერა, მის ნებასურვილებს ასრულებს.
- *ხალხში გამოსაჩენი (გამოსასვლელი) პირი არ შერჩა – adam içine çıkacak yüzü kalmadı* – თავი შეირცხვინა, სირცხვილი ჭამა, სამარცხვინო საქმე დაემართა.
- *დანა პირს არ უხსნის – ağzını bıçak açmaz* – ცუდ ხასიათზეა, გაჯავრებულია.

ენა:

- *ენა გადაყლაპა – dilini yuttu* – გაჩუმიდა, დამუნჯდა.
- *ენა წაიგრძელა – dilini uzattı* – ზედმეტი ილაპარაკა, იყბედა.
- *ენით აღუწერელი – diller ile tabir olunmaz* – სათქმელად ძნელი, გამოუთქმელი, საოცარი, დაუჯერებელი.
- *ენის წვერზე ადგას – dilinin ucunda oluyor* – იცის, მაგრამ არ აგონდება.

თავი:

- *თავზე გადასდის – Baştan aşar* – ბევრი აქვს.
- *თავზე დაისვა – başına çıkardı* – გაათამამა, გაანებივრა, თავის ნებაზე მიუშვა.
- *თავის მოსაფხანი დრო არ აქვს – başını kaşımaya vakti yok* – ძალიან დაკავებულია.
- *თავის ტყავში არ ეტევა – derisine sığmaz* – ამპარტავნობს, ამაყობს, ყოყოჩობს.
- *თავს არ იღებს – başını kaldırmaz* – შეუსვენებლად შრომობს.
- *თავდაყირა დადგა – altüst oldu* – (ყველაფერი) აირ-დაირია.

თვალი:

- *თვალები გადაუტრიალდა – gözleri döndü* – გაბრაზდა, განრისხდა.
- *თვალი დაადგა – gözlerini dikti* – ხელში ჩაგდება მოინდომა.
- *თვალები უბრწყინავს – gözleri parlar* – ხარობს, თავს ბედნიერად გრძნობს.
- *თვალი აეხილა – gözü açıldı* – მიხვდა, გაერკვია.
- *თვალი გაახილე – gözünü aç* – მიხვდი, გამოფხიზლდი, გაიღვიძე!
- *თვალი გზაზე რჩება – gözü yolda kalır* – დიდხანს მოუთმენლად ელოდება.
- *თვალიდან არ შორდება – gözünün önünden gitmez* – ვერ ივიწყებს.
- *თვალის დაუხამხამებლად – göz kırpmadan* – ყოველგვარი ფიქრის გარეშე, უყოყმანოდ.
- *თვალში ეჩხირება – göze batar* – არ მოსწონს.
- *თვალში მოსდის – göze gelir* – მოსწონს.
- *მის თვალში გაიზარდა – gözünde büyüdü* – უფრო მეტად მოეწონა, თანდათან უფრო მოეწონა.
- *ცუდი თვალით იყურება – fena gözle bakar* – ბოროტი განზრახვა აქვს.

ხელი:

- *ხელი აღმართა – elini kaldırdı* – სცემა.
- *ხელი ხელს მისცეს – el ele verdiler* – ერთმანეთს დაეხმარნენ.
- *ხელი ჯიბეზე იკრა – elini cebine attı* – ფული ამოიღო.

- ხელიდან გამოგვეცალა – *elimizden gitti* – მოკვდა.
- ხელიდან წავიდა – *elden gitti* – დაილუპა, დაიკარგა, გაფუჭდა.
- ხელიდან ხელში გადადის – *elden ele dolaşır* – დიდ ინტერესს იწვევს, მოწონებამია.
- ხელს ადებს – *elini koyar* – დამნაშავედ ცნობს, ადანაშაულებს, ამხელს.
- ხელს იღებს – *elini çeker* – უარს ამბობს.
- ხელში აიღო – *eline aldı* – რისამე კეთება თვითონ იტვირთა.
- ხელში შესცქერის – *eline bakar* – სხვის იმედზეა.
- ოთხი ხელით ეჭიდება – *dört elle sarılır* – საქმეს მონდომებით აკეთებს.

ფეხი:

- ფეხები გაფშოკა – *ayaklarını dikti* – მოკვდა.
- ფეხები დააწყდა – *bacakları koptu* – დაიღალა (დგომით, სიარულით), დაიქანცა.
- ფეხებში ჩაუვარდა – *ayağına düştü* – ეხვეწა, ემუდარა.
- ფეხზე წამოდგა – *ayağa kalktı* – მომაგრდა, მოღონიერდა, მოძლიერდა.
- ფეხი მიაჭირა – *ayağını diredi* – გაჯიუტდა, გაკერპდა.
- ფეხის დასადგმელი ადგილი არაა – *ayağı basacak yer yok* – ბევრი ხალხია, ტევა აღარაა, ჭედვია.
- ფეხს ითრევს – *ayaklarını sürer* – განგებ იგვიანებს, წასვლა ეზარება.
- მიწაზე ფეხს არ აკარებს – *ayaklarını yere basmıyor* – ძალიან გახარებულია.

ხელ-ფეხი:

- ხელ-ფეხი შეკრული აქვს – *eli ayağı bağlıdır* – თავისუფლად ვერ მოქმედებს, შეზღუდულია, შევიწრობებულია.
- ხელ-ფეხი წაერთვა – *eli ayağı boşandı* – (ძლიერი განცდისგან) შეშინდა, გაოგნდა.

ცხვირი:

- ცხვირს იბზუებს – *burnunu kıvrır* – არ მოსწონს.

მუხლი:

- *მუხლები მოეკვეთა – dizleri kesildi* – ფეხზე დგომის (სიარულის) უნარი წაერთვა
- *მუხლი მოიყარა – diz çöktü* – დაიჩოქა, დანებდა.

კბილი:

- *კბილებს აღრჭიალებს – diş gıcırdatır* – იმუქრება, იქადნება.

ტუჩი:

- *ტუჩი მოიკვნია – dudak ısırıldı* – (საშიში მდგომარეობის გამო) შეშფოთდა, აღელდა.

შუბლი:

- *შუბლის ძარღვი გაუწყდა – alının damarı çatladı* – უსინდისოდ, უნამუსოდ მოიქცა. თურქულში ეს იდიომი სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება (წარმატების მისაღწევად) ბევრი იშრომა, იჯახირა.

ნერწყვი:

- *ნერწყვი მოუვიდა//პირწყალი მოადგა – ağzı sulandı* – ჭამის სურვილი აღედგა.

ზურგი:

- *ზურგი შეაქცია – arkasını çevirdi* – უარყო, განუდგა, მიატოვა.
- *ზურგში ჩაარტყა – arkasından vurdu* – უღალატა, გაიმეტა.
- *მაგარი ზურგი აქვს – arkası pek* – გავლენიანი მფარველი ან ძლიერი მოკავშირე ჰყავს.

ყბა:

- *მის ყბაში ჩავარდა – ağzına düştü* – გასაჭორი გახდა.

წელი:

- *წელში გადატეხა – belini kırdı* – მიზეგვა, ძლიერ სცემა. ამავე თურქული იდიომით აღინიშნება *წელში გატეხა* – დაასუსტა, დააუძლურა.

ჭიპი:

- *ჭიპს იწყვეტს – göbeğini çatlar* – მიზნის მისაღწევად ყველა ღონეს ხმარობს.

კალთა:

- *კალთებს უკოცნის – eteğini öper* – ელაქუცება, მლიქვნელობს, პირმოთნეობს.

ტვინი-ჭკუა:

- *ტვინი გაეხვრიტა – beyini delindi* – შეწუხდა, აფორიაქდა, მოსვენება დაეკარგა.
- *ტვინი გაუწყლდა – beyini sulandı* – გამოშტერდა, გამოჩერჩეტდა.
- *ჭკუა დაკარგა – aklını kaybetti* – გაგიჟდა, გადაირია, გასულელდა.

სული:

- *სული ეშმაკს მიჰყიდა – canını şeytana sattı* – გაბოროტდა, ავ გზას დაადგა.
- *სული მისდის – canı gider* – კვდება.
- *სული უმწარდება – canı acıyor* – ძლიერ ტკივილს განიცდის.
- *სული ყელში ამოსდის – canı boğazına gelir* – იტანჯება, წვალობს.
- *სულს ებრძვის – canına uğraşır* – სიკვდილის პირასაა, აგონიაშია.

სისხლი:

- *სისხლი სწყურია – kanına susar* – მისი მოკვლა უნდა.
- *სისხლი უდულს – kanı kaynar* – დაუდგრომელია, მოუსვენარია.
- *სისხლს უშრობს – kanını kurutur* – აწვალებს, ამწარებს, მოსვენებას არ აძლევს.

ძვალი-ტყავი:

- *ძვალი და ტყავი დარჩა – deri kemik kaldı* – ძალიან გახდა.
- *ტყავს გააძრობს – derisini soyar* – დასჯის, ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს.

სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებით შედგენილი იდიომები:

- *ათასში ერთხელ – binde bir* – ძალზე იშვიათად.
- *გასაღები მოუძებნა – anahtarı buldu* – ვითარებაში გაერკვა, მძიმე მდგომარეობას თავი დააღწია.
- *დღეებს ითვლის – günleri sayar* – სიკვდილის პირასაა.
- *ქვეყანა რომ დაიქცეს – dünya yıkılsa* – არაფრით, არავითარ შემთხვევაში.
- *ქვეყანა თავზე დაექცა (დაეშხო) – dünya başına yıkıldı* – დიდი უბედურება დაატყდა, დიდ განსაცდელში ჩავარდა.
- *კაცად აქცია – adam etti* – კარგად აღზარდა, გაწვრთნა, ცხოვრების გზაზე დააყენა. თურქულში ამ იდიომს სხვა მნიშვნელობაც აქვს: რაღაცას დაამსგავსა, გაა-

ლამაზა (შეკეთების შედეგად) ანუ გამოთქმა გამოიყენება როგორც ადამიანის, ისე რაიმე ადგილის თუ საგნის მიმართ.

- *ეკლებზე ზის – diken üstünden oturur* – მოუსვენრადაა, ფორიაქობს, ღელავს.
- *ორმოს უთხრის – Cukurunu kazar* – მტრობს, საფრთხეს უმზადებს.
- *ვირზე უკუღმა შესვამს – eşeğe ters bindirir* – შეარცხვენს, დაამცირებს, სახალხოდ სასაცილოდ აიგდებს.
- *იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის – bindiği dalı keser* – თავისი თავის მტერია.
- *მათ შორის შავმა კატამ გაირბინა – aralarından kara kedi geçti* – მათი ურთიერთობა გაფუჭდა.
- *მამაჩემი საფლავიდანაც რომ წამოდგეს – babam mezardan çıksa* – არაფრით, არავითარ შემთხვევაში.
- *მთებს აბრუნებს – dağları devirir* – ძნელ საქმეს წარმატებით დააგვირგვინებს, შეუძლებელს შეძლებს.
- *ნემსის ყუნწში ძვრება – iğne deliğine kaçar* – (მიზნის მისაღწევად) ყოველ ღონეს მიმართავს, არაფერს ერიდება.
- *სახლს ბოძი წაეკცა – evinin direği yıkıldı* – ოჯახი გაუნადგურდა.
- *სიბნელეში დარჩა – karanlığa kaldı* – ჩამორჩა, განვითარება შეწყვიტა.
- *სუნნი აუვიდა – kokusu çıktı* – (რაიმე საიდუმლო) გამჟღავნდა.
- *ტალახს ესვრის – çamuru atar* – არცხვენს, ამცირებს, ავტორიტეტს უფუჭებს.
- *ქალადაზე დარჩა – kağıt üzerinde kaldı* – არ შესრულდა.
- *ჩრდილს აყენებს – gölge düşürür* – (მის) ღირსებას, მნიშვნელობას ამცირებს.
- *ცამდე აჰყავს – göklere çıkarır* – აქებს, ადიდება, ხოტბას ასხამს.
- *ცეცხლზე ნავთს ასხამს – ateşe benzin döker* – მდგომარეობას უფრო ართულებს.
- *ცეცხლის ფასად - ateş pahasına* – ძალიან ძვირად.
- *ცეცხლს აფრქვევს – ateş püskürür* – განრისხებულია, გაცოფებულია.
- *ჯიბეს ივსებს – cebini doldurur* – მდიდრდება, ბევრ ფულს შოულობს.
- *ჰაერში დარჩა – havada kaldı* – ნათქვამი არ შესრულდა.

- *მძიმე ტვირთი მოშორდა – (Üstünden) ağır bir yuk kalktı* – ეშველა, ამოისუნთქა.
- *მღვრიე წყალში თევზს იჭერს – bulanık suda balığı avlar* – არეულობის დროს თავის სარგებელზე ფიქრობს.
- *სწორ გზაზე აყენებს – doğru yola koyar* – ეხმარება, ეშველება.
- *ერთი ამას დამიხედეთ! – hele şuna bak!* – ყოჩაღ, თურმე რა შესძლება!
- *ერთი მუჭა – bir avuç* – ძალზე მცირე, ცოტა.
- *ერთი წვეთი – bir damla* – ძალიან ცოტა, მცირედი.
- *ოთხ კედელში ჩაიკეტა – dört duvar arasında kapandı* – გარეთ არ გამოდის, გარე სამყაროს მოსწყდა.
- *ისე, როგორც ორჯერ ორი ოთხია – iki kere iki dört eder gibi* – აშკარაა, უეჭველია, ცხადია, უდავოა.
- *ცხრა თვე როგორ მოიცადე? – dikuz ay nasıl bekledin?* – რა მოუთმენელი ხარ? მოთმინება არ გყოფნის.
- *ღუმეში გააგორა – düşes attı* – უცებ დიდ წარმატებას მიაღწია.
- *რომელმა ქარმა გადმოაგდო? – hangi rüzgar attı?* – ასე მოულოდნელად საიდან გაჩნდა?
- *რომც გასკდეს და გაიგლიჯოს – çatlasa da patlasa da* – რაც არ უნდა დაემართოს, როგორი წინააღმდეგიც არ უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება ლექსიკური შემადგენლობითა და მნიშვნელობით ერთნაირი იდიომები, ანუ უნივერსალიები ქართულსა და თურქულში, თუმცა, უკვე მითითებული მასალა გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას იმ მდიდარ ლექსიკურ ფონდზე, რომლითაც ფორმირდება იდიომთა საერთო ბაზა. ფაქტია, რომ ამ ბაზაში წამყვანი ადგილი ისევ და ისევ სომატურ იდიომებს უჭირავს. სწორედ „სომას“ (ადამიანის სხეულის ნაწილები) აქტიური გამოყენება განაპირობებს ამ ტიპის უნივერსალიების გაჩენას.

§ 4. იდიომები თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში

საქართველოში 30 წელზე მეტია პოლიტიკური ცხოვრება დულს. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემიდან გამოსულებმა ერთიანად ამოვიღეთ ხმა და გვეხება თუ არ გვეხება, წარმოდგენა გავქვს თუ არა, აზრებს ვაფრქვევთ, ვაკრიტიკებთ ყველას და ყველაფერს. ფაქტია, საქართველოში პოლიტიკასა და ფეხბურთში ყველა „ერკვევა“, თანაც სხვაზე უკეთ.

2020 წლის დასაწყისიდან პოლიტიკურ ბატალიებს ახალი მოთამაშე შეემატა 19-ნომრიანი მაისურით. კოვიდპანდემიამ საზოგადოებრივი აქტივობა კი შეანელა, მაგრამ მუხტი ვერ ჩააქრო და როცა ოდნავ გასაქანი მოგვეცა, ისევ შევმახეთ ომახიანი მრავალხმიანი. ასეთ პაექრობაში, ჩვენში, განსაკუთრებით აზრის სისხარტე, სიტყვა-კაზმულობა, მჭევრმეტყველება ფასობს, ამიტომაც ჩვენთვის საინტერესო გამონათქვამები, მასმედიის საშუალებებში, არც თუ ისე იშვიათად გვხვდება.

ჩვენ შევკრიბეთ ბოლო პერიოდში პოლიტიკურ დისკურსში მეტ-ნაკლები სიხშირით გამოყენებული იდიომები, რომელთა შორის განახლებული ვარიანტებიც გვხვდება. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, დავინახოთ, რომ მათი უმრავლესობა უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, რაც, სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, არცაა გასაკვირი. არის თუ არა ნეგატივზე ორიენტირებული პოლიტიკა საზოგადოების დაკვეთა, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ფაქტია, ამ ეტაპზე იგი უფრო სარფიანად იყიდება. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ ცხოვრებას უფრო მეტად პოზიტიური ელფერი მიეცემა.

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, გამომდინარე ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესებიდან, სახელდახელოდ შეიქმნა ახალი იდიომები, ზოგიც კიდევ ძველი გააქტიურდა ან ახალი სიცოცხლე შეიძინა. ეს იდიომები ძირითადად ორ და სამწევრიანებია, უმეტესად სახელური და ზმნური შესიტყვებებით. ახალ იდიომთა გაჩენა უმეტესად ბოლო პერიოდში ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ გახმაურებულ მედიაციის პროცესს უკავშირდება. მხედველობაში გვაქვს სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიათა შეთანხმების დოკუმენტზე ერთობლივი მუშაობა, რომელიც რამდენჯერმე უშედეგოდ დამთავრდა. მხარეები ერთმანეთის მიმართ ბრალდებებს,

სხვათა შორის, იდიომების საშუალებითაც გამოხატავდნენ. ასე შეიქმნა რამდენიმე იდიომი, რომელთა სტრუქტურაშიც ძირითადად არსებითი სახელები გვხვდება, შედარებით მწირად – ზედსართავები და მიმღებები.

- *მაგიდის აყირავება* – მოლაპარაკებების ჩაშლა, ან ჩაშლის მცდელობა. „არ დავსხდებით ინდივიდუალურ მოლაპარაკებებზე, ეს არის *ამ მაგიდის აყირავება*“ – მ. ხაზარაძე [<https://netgazeti.ge/news/528215/>].
- *საცივში თავის ჩარგვა* – საახალწლო ეიფორიაში ყოფნა. „*თავი საცივში გქონდა* და ახლა რევოლუციურ სცენარზე საუბრობ, სასაცილოა“ – ნ. წილოსანი [<https://formulanews.ge/Phrase/44154>]. *საცივში გაქვთ თავი ჩაყოფილი თუ ამოყავით?!* – ნ. გვარაიას მიმართვა ოპოზიციას. *არასოდეს მქონია თავი საცივში* – ნ. ბურჯანაძე [https://www.youtube.com/watch?v=2_8L22-Xr4s].
- *ხელების გადაგრეხვით ლაპარაკი* – ძალის პოზიციებიდან საუბარი. „ოპოზიციას ჰქონდა მოლოდინი, რომ ბრიუსელი ხელისუფლებას *ხელების გადაგრეხვით დაუწყებდა ლაპარაკს*“ – გ. ხუხაშვილი [<https://www.interpressnews.ge/ka/article/646956>].
- *ავანსის გაცემა* – მინდობა, საკუთარი მომავლის დაკავშირება. „ადამიანები, ვინც ბოლო *ავანსი გასცა* მავანზე, განსაკუთრებით აგრესიულები იქნებიან“ – გ. ხუხაშვილი [<https://palitraneews.ge/>].
- *ხარკის გადახდა* – (ვისიმე, რისამე) გავლენით მოქმედება, ანგარიშის გაწევა. „მავანი გარკვეულწილად *ხარკს უხდის* ისევ თბილისში ჩაბუდებულ უკომპრომისო ქორებს“ – გ. ხუხაშვილი [<https://www.interpressnews.ge/ka/article/646956-gia-xuxashvili>].
- *პოლიტიკურ საფლავეში ჩაყოლა* – ბოლომდე მინდობა, მიყოლა. „სერიოზული საფრთხეა, რომ მავანი *„პოლიტიკურ საფლავეში“ ჩაყვეს* მავანს“ – თ. შარაშენიძე [<https://akhalitaoba.ge/?s>].
- *პოლიტიკურ სამარეს ითხრის* – საკუთარ თავს საფრთხეს უმზადებს, მახეს უგებს. „როცა ხელისუფლება ხალხს დასცინის, *პოლიტიკურ სამარეს ითხრის*“ – ნ. ბურჯანაძე [<https://formulanews.ge/39319>].

- *კუდის მოქნევა* – ერთხელ კიდევ წინანდებურად მოქცევა, ცუდი, არასასიამოვნო რამის ჩადენა. „ისინი პოლიტიკურ აგონიაში არიან, *კუდის მოქნევას* და მაგარბიჭობანას თამაშს აპირებენ“ – გ. ხუხაშვილი [<https://www.interpressnews.ge/ka/article/642820-gia-xuxashvili>].
- *სათითურებით თამაში* – შულერული თამაში, რომელშიც მეორე მხარე მუდმივად დამარცხებისთვისაა განწირული. ამ შემთხვევაში – მოტყუება: „ხალხთან *სათითურების თამაში* უნდა მორჩეს“ – მ. სააკაშვილი [<https://metronome.ge/story/243555>].
- *საპარლამენტო გულაგის აშენება*. გულაგის (Главное управление исправительно-трудовых лагерей и колоний) სახელით ცნობილია საბჭოთა სადამსჯელო სისტემის ნაწილი, სადაც პატიმრები სასჯელის მოხდასთან ერთად იძულებით ასრულებდნენ სხვადასხვა (როგორც წესი ფიზიკურ) სამუშაოს, ხშირად ძალიან ცუდ ან თითქმის გაუსაძლის პირობებში. შესაბამისად, გამოთქმა გულისხმობს ტოტალიტარულ სისტემაზე დაბრუნებას. „მავანი 21-ე საუკუნეში *„საპარლამენტო გულაგს“ აშენებს*“ – გ. ხუხაშვილი [<https://www.interpressnews.ge/ka/article/630828-gia-xuxashvili>].
- *ქარიშხალი ჭიქაში* – არაფრისგან დიდი ამბის, ხმაურის ატეხა. ეს იდიომი ახალი არ არის, მაგრამ ის გააქტიურდა. „ხდება *ქარიშხალი ჭიქაში*, თუმცა ვერავითარი გავლენა ვერ ექნება მთლიანობაში საარჩევნო გარემოს შეფასებაზე“ – ი. კობახიძე [<https://rustavi2.ge/ka/news/180534>].
- *ორკესტრირებული შეტევა* – ყველა მხრიდან შეთანხმებულად მოქმედება. „ამ მძიმე ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაში ჯანდაცვის სისტემაზე, ექიმებზე *ორკესტრირებული შეტევა* გაუმართლებელია“ – მ. მდინარაძე [<https://1tv.ge/news/>].
- *წითელი ხაზი // ხაზები* – გამოთქმა საერთაშორისო დიპლომატიაში უკვე ათწლეულებია დამკვიდრებული და ნიშნავს ზღვარს, რომლის დარღვევის შემთხვევაში მოწინააღმდეგის უსაფრთხოება არ იქნებოდა გარანტირებული. ბოლო პერიოდის ქართულ პოლიტიკაში ტერმინით აღნიშნავენ ამა თუ იმ პოლიტიკურ სუბიექტათვის მიუღებელ საკითხთა წრეს, ან თამაშის წესს. „*წითელი ხაზები*“ უნდა გაქრეს, სამუდგელი ძალა ჩვენთვის არ არსებობს“ – ბ.

ჯაფარიძე [<https://netgazeti.ge/news/391411/>]. “სამართლიანობა არის ერთადერთი წითელი ხაზი” – ი. კობახიძე [<https://netgazeti.ge/news/526530/>].

- **წითელი ნაჭრის ფრიალი** – გამოწვევა, გაღიზიანება. „პოლიტიკის კორიდაზე მუდმივად წითელ ნაჭერს აფრიალებენ – კონსენსუსის ძიების არანაირი პოტენციალი მხარეებს არ აქვთ“ – გ. ხუხაშვილი [<https://www.interpressnews.ge/ka/article/629292-gia-xuxashvili>].
- **სასარგებლო ბრიყვი // იდიოტი** – პირი, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად სხვის თამაშს თამაშობს, სხვის წისქვილზე ასხამს წყალს. „სასარგებლო იდიოტი“ მუდამ მოგვიწოდებს „პირდაპირი მოლაპარაკებებისკენ...“ [<https://www.ghn.ge/news/96785>]; „ეს არის აგრესიული კონფორმიზმის გამოვლინება, როდესაც არ გინდა აღიარო, რომ ვიღაცამ *“სასარგებლო ბრიყვად”* გამოგიყენა“ – გ. ხუხაშვილი [<http://newpost.ge/?newsid=251902>].
- **გადამწიფებული თინეიჯერი** – მუდმივად საკუთარი თავის უპირატესობის განცდა და საზოგადოებისათვის ჩვენება. “პოლიტიკოსები *გადამწიფებული თინეიჯერები* არიან, რომელთაც საკუთარი თავი სამყაროს ცენტრად მიაჩნიათ” – გ. ხუხაშვილი [<https://metronome.ge/story/tag/>].
- **პროვინციული სპექტაკლი** – ყავლგასული, ათასჯერ ნანახი. „ეს არის წინასაარჩევნო *პროვინციული სპექტაკლი*, დაბერებული მსახიობებით, წყაროსთავზე მცხოვრები რეჟისორით“ – გ. ხუხაშვილი [<https://unipress.ge/news/1884>].
- **კუნთებზე იყურება** – ურთიერთობების გარკვევა ძალისმიერი პოზიციებიდან. „ტონალობას რომ მოვუსმინეთ, ისევ ძალიან ხისტი იყო, კვლავ *კუნთებზე იყურება*“ – თ. ჩარკვიანი [<https://news.ge/tag/>].
- **სუფთა ფურცლიდან დაწყება** – წარსული ნეგატივისგან გათავისუფლება და ურთიერთობების ახალ კალაპოტში ჩაყენება. „მე მზად ვარ *სუფთა ფურცლიდან დავიწყო* და ჩემთან ერთად ყველას მოვუწოდებ“ – ს. ზურაბიშვილი [<https://sputnik-georgia.com/politics/20181206/243336712/>].
- **კოჭლი იხვი** (ამერ. *lame duck*) – ბანკროტი, გაკოტრებული; არჩევნებში დამარცხებული კანდიდატი, რომელიც თანამდებობაზე რჩება შემცვლელისთვის გა-

დაცემამდე; „*კოჭლი იხვი*“ მავანი ახლა უკვე ხელისუფლების ტვირთი და ოპოზიციის საჩუქარია“ – გ. ხუხაშვილი [<http://new.2020news.ge/item/18774->].

- *გაბერილი ბუშტი* – ძალიან მყიფე რეპუტაციის, სხვაზე დამოკიდებული. „მავანი პოლიტიკური არარაობაა, *გაბერილი ბუშტი*, რომელიც არსებობს იმიტომ, რომ მავანს უნდა“ – გ. ხუხაშვილი [<https://www.timer.ge/>].
- *ვერსალის ზავის მოლოდინი* – ვერსალის ზავით დასრულდა პირველი მსოფლიო ომი და საფუძველი ჩაეყარა ახალ მსოფლიო წესრიგს. შესაბამისად, აქ იგულისხმება წარმატებული მოლაპარაკებები, როგორც საწინდარი ახალი ურთიერთობებისა. „პოლიტიკური მოლაპარაკებები იწყება. გვაქვს *ვერსალის ზავის მოლოდინი*“ – ზ. ჯაფარიძე [<https://ptn.ge/tag/zurab-japharidze/>].
- *სიმართლისთვის თვალის გასწორება* – რეალობის გათვალისწინება, სტატუს კვოს მიღება. „ოპოზიციას *სიმართლისთვის თვალის გასწორება* არ უნდა“ – ი. ხვიჩია [<https://imedinews.ge/ge/politika/183953/>].
- *ყური აქვს მოდებული* – ძალიან ახლოს, ხმის მისაწვდენ მანძილზე. „ჩვენ მტერს *ყური აქვს მოდებული* და სადღაც შორს კი არა, აქვე, რამდენიმე ასეულ მეტრშია“ – მ. სააკაშვილი [<https://batumelebi.netgazeti.ge/news/5839/>].
- *სიღრმეში წასვლა* – დეტალური გარჩევა, გამოწვლილვით განხილვა. „უფრო *სიღრმეებში მოგვიწევს წასვლა*, სადაც უფრო რთულია შეთანხმება“ – ზ. ჯაფარიძე [<https://www.interpressnews.ge/ka/article/647232-zurab-japarize>].
- *ლეღვის ფოთოლი* – შეცდომების, დანაშაულის და ა.შ. მიჩქმალვა, დაფარვა. „ეს დაქსაქსული ოპოზიცია, რომლის ნაწილიც პარლამენტში შესვლის შემდეგ იქცა „ქართული ოცნების“ *ლეღვის ფოთლად*, ნაწილი კი საკუთარ სკამებს არის ჩაბლაუჭებული და სხვა მიზნები აღარც აქვს“ – ხ. ლაგაზიძე [<https://www.interpressnews.ge/ka/article/668140-kartuli-presis-mimoxilva-02082021>].

სულ ახლახანს ჩვენს მეტყველებაში დამკვიდრდა და, ალბათ, მეხსიერებას დიდხანს შემორჩება ისეთი შესიტყვებები, რომლებიც, მართალია, იდიომებს არ წარმოადგენენ, მაგრამ კარგად ასახავენ უახლეს წარსულში კოვიდ პანდემიით გამოწვეულ

ვითარებას ქვეყანაში და მათი ნაწილის რაღაც ფორმით შემდგომი იდიომიზაცია არა მარტო თავისუფლად შესაძლებელი, არამედ მოსალოდნელიცაა:

- ახალი კლასტერი.
- კონტაქტის კონტაქტი.
- თვითიზოლაციაში გადასვლა.
- კოვიდსალამი.
- საწოლოფონდის მობილიზაცია.
- ლოქდაუნის გამოცხადება.
- თერმოსკრინინგი და მრავალი სხვა...

ახლა განვიხილოთ თურქულ მედიასივრცეში დადასტურებული და თურქ სახელმწიფო მოხელეთა თუ სხვა პოლიტიკოსთა მხრიდან გამოყენებული იდიომები. როგორც აღმოჩნდა, ნეგატიური კონტექსტის შემცველი იდიომები არც მათთვისაა იშვიათობა.

- **Çamur atmak** (ტალახის სროლა. იგივე გამოთქმა, ანალოგიური იდიომური გაგებით, გვაქვს ქართულშიც) – ვინმეს შერცხვენა, გაშავება, სიბინძურის დაბრალება. “kimsenin karakteri **çamur atmak**“ (მავანის ხასიათის თვისება ტალახის სროლაა) – რ. თ. ერდოღანი [<https://www.cumhuriyet.com.tr/haber/11302>].
- **şehadet şerbeti içmek** (წამებულის შარბათის დალევა) – სამშობლოსათვის თავდადება, თავგანწირვა, გარდაცვალება. „Şehitlerimiz, **şehadet şerbetini yudumladıkları** o ana kadar sizlerin evlatlarınızdı“ (ჩვენი მოწამეები თქვენი შვილები იყვნენ იმ მომენტამდე, ვიდრე წამების შარბათს მიიღებდნენ) – რ. თ. ერდოღანი [<https://twitter.com/RT Erdogan/status/233656034802143232>].
- **İkili oynamak** (ორმაგი თამაში. ქართულში ამავე შინაარსით გვაქვს ასევე: *ორ სკამზე ჯდომა; ორსავე მხარეს კერვა*) – სარგებლის მიღების მიზნით ოპონენტების მხარდაჭერა, როგორც ერთის, ისე მეორესი. „Aramızda çok akıllılar var! Sürekli **“ikili oynayıp”** yakalanınca “aptala yatıyorlar“ (ჩვენს შორის ბევრი ჭკვიანია! მუდამ ორმაგ თამაშს თამაშობენ, მაგრამ როცა დაიჭერენ სულელად მოაქვთ

თავი) – პრეზიდენტ ერდოღანის მრჩეველი ი. ბულუთი [<https://www.star.com.tr/yazar/1319802/>].

- ***Etekleri zil çalmak*** (კალთების ზარის რეკვა) – ძალიან ბედნიერად, სწორ გზაზე ყოფნა. Olağanüstü bir canlanma, adeta ***etekleri zil çalma*** durumu var (არაჩვეულებრივი აღორძინება ხდება. თითქმის საყოველთაო ბედნიერების განცდაში ვართ) – დედასამშობლოს პარტიის თავმჯდომარე ე. მუმჯუ [<https://www.tbmm.gov.tr/develop/owa/p1=34548>].
- ***Ağzıyla Kuş Tutsa...*** (პირით ჩიტი რომც დაიჭიროს) – რაც არ უნდა მოინდომოს, რაც არ უნდა გააკეთოს, მაინც... (აქვს უარყოფითი გაგება). „***Ağzıyla kuş tutsa, bitti o iş***“ (რაც არ უნდა ქნას, დამთავრდა ის საქმე) – რ. თ. ერდოღანი [<https://www.milliyet.com.tr/siyaset/1850911>].
- ***ayaklar altında kalmak // ayaklar altında almak*** (ფეხქვეშ მოქცევა, გათელვა) – უგულებელყოფა, დარღვევა – „Biz her türlü milliyetçiliği, ***ayaklarının altına almış*** bir iktidarız“ (ჩვენ ვართ ძალა, რომელმაც ყოველგვარი ნაციონალიზმი უგულებელყო) – რ. თ. ერდოღანი [<https://www.hurriyet.com.tr/gundem/22621388>].
- ***El Pençe Divan Durmak*** (ბრჭყალებით დგომა) – გულზე ხელებდაკრეფილი დგომა (საპატივსაცემო პირის, ზემდგომის წინ). „***El Pençe Divan Duran*** Türkiye Yok“ (გულზე ხელებდაკრეფილი თურქეთი აღარ არსებობს – რ. თ. ერდოღანი [<https://www.haberler.com/10123576-haberi/>].
- ***El Üstünde Tutmak*** (ხელში დაჭერა) – მზრუნველობა. „Yaşlılarımızı ***el üstünde tutmak*** boynumuzun borcudur“ (ჩვენი მოვალეობაა, ვიზრუნოთ ჩვენს მოხუცებზე) – რ. ერდოღანი [https://www.youtube.com/watch?v=jw_2eATmNRg].
- ***Sahip Çıkmak*** (პატრონობა) – ვინმეს მოვლა და დაცვა. „Özal şehit edilmiştir, ne yazık ki ***sahip çıkamadık*** millet ve devlet olarak“ (ოზალი წამებული იყო, სამწუხაროდ, მას ვერ მოვუარეთ, როგორც ერმა და სახელმწიფომ) – ყოფილი მინისტრი ჰ.ჯ. გიუზელი [<https://www.dailymotion.com/video/x3x2c6f>].
- ***eteklerdeki taşlar dökmek*** (კალთებზე ქვების დაღვრა) – მანამდე გაუმხელელის თქმა, ყველაფრის ახსნა. ***Eteklerdeki taşlar dökülüyor!*** – 2019 წლის ადგილობრივი

არჩევნების წინ, ერთ-ერთი გაზეთში სტატიის სათაურად იყო გამოტანილი [<https://www.mersinhaberci.com/haber/16982/>].

- ***Pamuk ipliğine bağlı olmak*** (ბამბის ძაფით მიბმული) – ხანმოკლე, დროებითი გამოსავალი. Özgürlükler zaten ***pamuk ipliğine bağlı*** – 2016 წლის 16 მარტის გაზ. Cumhuriyet-ის სტატიის სათაური [www.cumhuriyet.com.tr/haber/499294].
- ***Kargayı bülbül diye satmak*** (ყვავის ბულბულად გაყიდვა) – ცუდის კარგად გასაღება, მოტყუება. "Halep yolunda deve izi saymayın, ***kargayı bülbül diye satmaya*** kalkmayın" (ნუ ითვლით ალეპოსკენ მიმავალი აქლემების ნაკვალევს, ნუ შეეცდებით ყვავის ბულბულად გაყიდვას) – ნაციონალისტური პარტიის თავმჯდომარე დ. ბაჰჩელი [<https://www.haberler.com/mhp-genel-baskani-devlet-bahceli-2-9288209-haberi/>].

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ იდიომების წარმოშობა-განახლება მუდმივი პროცესია და მისი ბიძგი და საფუძველი, მწვავე პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად, შეიძლება გახდეს ყოფითი ცხოვრების სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ასპექტებიც. რა თქმა უნდა, ყველა გამოთქმა იდიომად ვერ იქცევა, იდიომთა გამოყენების სიხშირეც არ იქნება ერთნაირი, ამას საზოგადოება თავად წყვეტს და არჩევს ისეთ „მარგალიტებს“, რომლებიც ყველაზე კარგად გამოხატავენ კონკრეტულ სიტუაციაში მის სულიერ მდგომარეობას.

დასკვნა

ქართული და თურქული იდიომების შესწავლამ, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის (როგორც ქართული, ისე უცხოური) გაცნობამ, ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი შემაჯამებელი დასკვნები:

- მიუხედავად იმისა, რომ იდიომთან მიმართებით არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი, უმრავლეს შემთხვევაში, მის მთავარ მახასიათებლად გვევლინება მინიმუმ ორწევრიანი შესიტყვების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც არ მიიღება მისი შემადგენელი კომპონენტების, მასში შემავალი ლექსემების მნიშვნელობათა მექანიკური ჯამით ანუ იდიომის იდიომად აღქმას უზრუნველყოფს არა მისი კომპონენტების ცალკეული, არამედ მთლიანის მნიშვნელობა, რომელიც არის მხატვრული აზროვნების შედეგი. შესაბამისად, იდიომები უნდა განვიხილოთ, როგორც ეროვნული ფენომენი, ერის სულიერი სამყაროს ერთგვარი სარკე.

- იდიომი არის ფრაზეოლოგიური ერთეული და ამ გაგებით, ეს სიტყვები სინონიმურია, მაგრამ ყველა ფრაზეოლოგიზმი არ არის იდიომი, რადგან ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა და მოიცავს სხვა ტიპის შესიტყვებებსაც, ანდაზა-აფორიზმებს და ა.შ. თუმცა, მაინც რთულია მათ შორის მკვეთრი საზღვრის გავლება, რადგან სიმყარე და გარკვეული იდიომატურობა ამ უკანასკნელსაც ახასიათებს. შეიძლება ითქვას, რომ იდიომი ესაა ფრაზეოლოგიზმი ვიწრო მნიშვნელობით.

- ენათმეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე შეიძლება გამოვკვეთოთ ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების მსგავსება-განმასხვავებელი ნიშნები. მათი საერთო, უპირველეს ყოვლისა, არის სემანტიკური დაუშლელობა. იდიომიცა და ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც ქმნის ერთ გაგებას და სიტყვის ეკვივალენტებია. ორივე მათგანს შეიძლება ჰქონდეს შესიტყვების ფორმა. ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც სინტაქსურად ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს. ორივეს აქვს მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა, ისინი მზა ფორმით არსებობენ ენაში, თუმცა გავრცობა შეუძლებელი არაა. საზიარო ნიშანია ასევე მეტაფორულობა, რაც

ექსპრესიულობის აუცილებელი პირობაა. გარდა აღნიშნულისა, ვფიქრობთ, იდიომებისათვის ნიშანდობლივია შესიტყვების განსაკუთრებულობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი ანალოგი სხვა ენებში არ იძებნება ანუ, იდიომი ეთნიკური ნიშნის მატარებელიცაა.

- იდიომს ფრაზეოლოგიზმთა სისტემაში აქვს თავისი განსაკუთრებული და გამოკვეთილი ადგილი, რაც ხასიათდება მისი სტრუქტურული სიმყარით, აზრის მეტაფორულობით, შესიტყვების მთლიანი მნიშვნელობის ფონზე ერთეულის მნიშვნელობის სრული დაკარგვით (რასაც, ზოგიერთ შემთხვევაში, განაპირობებს კონტექსტი), სიტყვათა ჩანაცვლებისა და პირდაპირი თარგმნის შეუძლებლობით, რაც გულისხმობს ძირითადად ეროვნულ ნიადაგზე მის აღმოცენებას, ასევე, გარკვეული ემოციური შეფერილობით, მაგრამ არა მოწოდება-შეგონების დონემდე, როგორც ეს ანდაზა-აფორიზმებშია. შესაბამისად, ჩვენთვის ნამდვილი იდიომი არის ეროვნულ საფუძველზე აღმოცენებული, მყარი, მეტაფორული გაგების ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც არც ანდაზა-აფორიზმია და არც ისეთი ხატოვანი თუ ფიგურალური გამონათქვამი, რომლის ანალოგიც სხვა ენებში იძებნება.

- იდიომურ გამოთქმებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომელთაც სხვა ენებზე ანალოგი არ ეძებნებათ, გარკვეულწილად, ერის სულიერი თუ მატერიალური ცხოვრების დამლა ადევს და მათი სწორად ამოკითხვა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ ერის ღირებულებებსა და ფასეულობებზე.

- იდიომში, როგორც სტერეოტიპულად მიჩნეულ სიტყვათა ფიქსირებულ, მყარ ერთობაში სიტყვათა რიგითობა ურღვევი არაა, სიტყვათა ჩანაცვლების შესაძლებლობაც არსებობს და გვაქვს რედუქციისა და გავრცობის შემთხვევებიც, რაც გამოწვეულია ქართული ენის მოქნილობითა და მასში სიტყვათა წყობის შედარებითი თავისუფლებით.

- ქართული იდიომის სტრუქტურა მრავალფეროვანია როგორც კომპონენტების რაოდენობის, მათში ძირითადი მაწარმოებლის, მაიდიომებელი ბირთვის კავშირით მეტყველების სხვადასხვა ნაწილთან, ისე სხვა ენებზე (ამ შემთხვევაში თურქულ ენაზე) პირდაპირი გადასვლის შესაძლებლობის გარკვეული დონით, ორიგინალური მხატვრული ფორმებით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული ენის ლექსი-

კური ფონდის სიმდიდრესა და იდიომების ერთგვარად აქსიომად ქცეულ უთარგმნელობის პრინციპს.

- რაც შეეხება ქართულსა და თურქულში ფორმითა და შინაარსით მსგავსი იდიომების არსებობას (თუნდაც, მცირე რაოდენობით), შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეულია ორივე ენაში დამოუკიდებლად მათი აღმოცენებით, ან კიდევ საუკუნეთა მანძილზე ურთიერთმეზობლობის შედეგად შექმნილი მეტ-ნაკლებად მსგავსი სოციოკულტურული გარემოს ზეგავლენით. აქვე შეუძლებელია იმის გამორიცხვაც, რომ შედარებით მარტივი იდიომური ფორმები ამ ენებში გაჩენილიყო პირდაპირი თარგმნის გზითაც.

- ქართულისგან განსხვავებით, თურქულ იდიომებში, ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, სიტყვათა რიგი პრაქტიკულად არ იცვლება, თუმცა იდიომებში ლექსემათა ჩანაცვლება შესაძლებელია, რაც ენის, როგორც სოციალური ინსტიტუტის განვითარებას უკავშირდება. თურქულში გამოიყოფა იდიომები, რომლებშიც ცვლადია პირველი და ბოლო სიტყვები. გვხვდება შუაში სიტყვების ჩანაცვლების შემთხვევებიც. რაც შეეხება რედუქცია-გავრცობის შემთხვევებს, თურქულშიც ამის მაგალითები მრავლადაა.

- იდიომებში კომპონენტთა რაოდენობის ზედა ზღვარი დადგენილი არაა, თუმცა, შვიდ- და მეტწევრიანი იდიომები იშვიათობაა. სამ- და მეტკომპონენტისანი იდიომები ძირითადად ზმნურია, ორკომპონენტისანი კი არსებობს ზმნურიც და სახელურიც. ქართულ ორკომპონენტისან სახელურ იდიომებში ვხვდებით როგორც მხოლოდ არსებითი სახელების კომბინაციას, ისე არსებითი სახელის კომბინაციას ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელებთან. უმეტეს შემთხვევაში, ენისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის გათვალისწინებით, კომპონენტები გვევლინებიან მსაზღვრელ-საზღვრულის როლში. ქართულისგან განსხვავებით, თურქულში საზღვრული აუცილებლად მოსდევს მსაზღვრელს.

- ზმნურ გამონათქვამებში ყველაზე ჭარბადაა ორკომპონენტისანი იდიომები. ზმნასთან კომბინაციაში გვხვდება როგორც არსებითი სახელი (უმრავლესობა), ისე ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელები. ზმნურ გამონათქვამებში ძირითადად დაცულია სიტყვათა თანმიმდევრობა, დამახასიათებელი ქართული ენის გრამატი-

კული წყობისთვის, ანუ ზმნა გვევლინება მეორე კომპონენტად, თუმცა არსებობს ისეთი იდიომური გამონათქვამებიც, სადაც ზმნა თავშია. ქართული ზმნური იდიომური გამოთქმების უმრავლესობა არ წარმოადგენს მყარ, გაქვავებულ კონსტრუქციას და მას ახასიათებს ფორმაცვალებადობა, რაც გამოწვეულია თავად ზმნის თავისებურებით. ზმნა ხშირად ცვალებადია დროის მიხედვით, სახელი კი დაირთავს შესაბამისი პირის ნიშნებს. ასეთმა იდიომებმა შეიძლება მოირგოს კითხვითი და უარყოფითი ფორმებიც.

- აღსანიშნავია სახელზმნური იდიომების სიმრავლე ქართულში. სახელზმნა იდიომებში წარმოდგენილია როგორც მასდარის (საწყისის), ისე მიმდებარის ფორმით. პირველს, რომელიც უფრო მრავლად გვხვდება, ახასიათებს როგორც ზმნის, ისე არსებითი სახელის კატეგორიები, მეორეს კი – ზმნისა და ზედსართავი სახელისა.

- ზმნის კატეგორიები გარკვეულ გავლენას ახდენს იდიომურ მნიშვნელობაზე: ზოგიერთი ზმნა ქცევის სამივე ფორმას გვიჩვენებს, ზოგიერთი მხოლოდ ერთი რომელიმე ფორმით იჩენს თავს; ზმნისწინების ვარიაცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოქმედებს იდიომის მნიშვნელობაზე და უკარგავს მას იდიომურობას, ზოგჯერ კი სძენს ახალ იდიომურ მნიშვნელობას; უმრავლეს შემთხვევაში, უსრულასპექტიან ზმნურ იდიომს არ ეძებნება იმავე ლექსიკური შემადგენლობისა და იდიომური გაგების სრულასპექტიანი ფორმა და პირიქით, სრულასპექტიანი ზმნური იდიომის პარალელურად არ არსებობს უსრული ასპექტის მქონე ეკვივალენტი.

- უარყოფითი ნაწილაკის შემცველ ზმნურ იდიომებში სწორედ უარყოფითი ნაწილაკია მთავარი მაიდიომებელი კომპონენტი, რადგან მის გარეშე გამოთქმა ჩვეულებრივ შესიტყვებად იქცევა.

- მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაში ჭარბობს ზმნური იდიომები, სახელების კომბინაციით (მათ შორის სახელზმნებიც) შედგენილი იდიომები წარმოადგენენ პირველად, უფრო მყარ და სტერეოტიპულ გამონათქვამებს, რომლებიც თანდათან, ცოცხალ მეტყველებაში „მოვიდნენ მოძრაობაში“, რის შედეგადაც მივიღეთ ზმნური იდიომები მთელი თავიანთი მრავალფეროვნებით.

- იდიომების კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნით, ამათგან ყველაზე სწორი და გამართლებული შეიძლება იყოს იდიომთა სისტემატიზაცია ლექ-

სიკური თვალსაზრისით, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ რა სიტყვა მეორდება იდიომურ გამოთქმაში. ცალკეულ შემთხვევაში იდიომები და იდიომებით გამოხატული აზრი მეორდება სიტყვასიტყვით. ლექსიკური თვალსაზრისით იდიომთა კლასიფიკაცია ნათლად აჩვენებს როგორც ქართული, ისე თურქული ფრაზეოლოგიზმების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას.

- დრო-სივრცისა და ზომა-წონის სემანტიკის შემცველი გამოთქმები, იდიომთა ჯგუფებს შორის, რაოდენობრივად შეიძლება მოწინავე არა, მაგრამ არც უკანასკნელ პოზიციებს იჭერენ. ასეთი ტიპის იდიომები საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართულსა და თურქულში, თუმცა, უმრავლესობა მაინც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ჩანს.

- იდიომების წარმოშობა-განახლება მუდმივი პროცესია და მისი ბიძგი და საფუძველი, მწვავე პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად, შეიძლება გახდეს ყოფითი ცხოვრების სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ასპექტებიც. რა თქმა უნდა, ყველა გამოთქმა იდიომად ვერ იქცევა, იდიომთა გამოყენების სიხშირეც არ იქნება ერთნაირი, ამას საზოგადოება თავად წყვეტს და არჩევს ისეთ „მარგალიტებს“, რომლებიც ყველაზე კარგად გამოხატავენ კონკრეტულ სიტუაციაში მის სულიერ მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი რ., კონცეპტი და მეტაფორული აზროვნება (შიშის ველის მაგალით-ზე), *Linguistics by Rusudan Amirejibi*, <http://www.icgl.org/links.html>.
2. აფრიდონიძე შ., იდიომი და იდიომურობა, საენათმეცნიერო ძიებანი, III, თბილისი, 1983.
3. ბერიაშვილი თ., ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეპტ „ღვინის“ ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები ქართულ და ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, სადისერტაციო ნაშრომი, თელავი, 2016.
4. ბერიძე ხ., თარგმანმცოდნეობა, ბათუმი, 2018.
5. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2008.
6. გვენცაძე ალ., ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბილისი, 1974.
7. გიგლემიანი ლ., ჰიდროლექსიკა ქართულში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2006
8. გრიგორიანი კ., ძველი თბილისის იშვიათი ამბები, თბ., 2011.
9. ზაალიშვილი ნ., ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული, რუსული და ესპანური ენების მასალის მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2018.
10. თაბუაშვილი ლ., ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016.
11. თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961.
12. კანდელაკი ქ., ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები (თანამედროვე თარგმანების მიხედვით), თბილისი, 1955.
13. კახიძე ს., ფიტონიმებით მოტივირებული იდიომების კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი, 2020.
14. კვანტალიანი ე., ჯანაშია ნ., თურქული ენის სახელმძღვანელო, თბილისი, 1999.
15. კიკვაძე მ., სირთულეები ქართულის არმცოდნეთათვის ერგატიული კონსტრუქციის სწავლებისას, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, III, თბ., 2014.

16. ლაგვილავა ც., გარდაცვალების სემანტიკა ქართულსა და თურქულში, სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი, 2018.
17. ლობჯანიძე ი., იდიომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი: ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2012.
18. მამულია ე., თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2006.
19. მემიშიში ო., ლაზური ანდაზები და იდიომები, ბათუმი, 2015.
20. მიქაუტაძე მ., იდიომატურ გამოთქმათა ერთი ჯგუფისათვის ტაოურსა და იმერხეულში, ქართველური მემკვიდრეობა XVII, ქუთაისი, 2013.
21. ომიადე ს., კონცეპტის ცნება, <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/12>.
22. ონიანი ალ., ქართული იდიომები, თბილისი, 1966.
23. რუსაძე ი., სომატური იდიომები ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე), ქუთაისი, 2010.
24. სახოკია თ., „ვეფხისტყაოსნის“ ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი, თბილისი, 1938.
25. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა თქმანი, I-II-III, თბილისი, 1950, 1954, 1955.
26. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა თქმანი, თბილისი, 1979.
27. სტამბოლიშვილი ნ., ბახტაძე ნ., იდიომების წარმოშობის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები, *Etudes interdisciplinaires en Sciences humaines (EISH)*, №5, 2018.
28. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955; ტ. VII, თბილისი, 1962.
29. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, <http://idioms.tsu.ge>.
30. შალამბერიძე გ., ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისი, 1966.
31. შარაშენიძე თ., ენის სემანტიკურ და კონცეპტუალურ სივრცეთა დიფერენცირების პრობლემა, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2018.
32. შეროზია რ., იდიომთან დაკავშირებული საკითხები, ქართველური მემკვიდრეობა, XVII, თბილისი, 2014.

33. ცეცხლაძე ნ., ხატოვანი სიტყვა-თქმები - ეროვნული რეალიების ენობრივი სურათი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები VI, თბ., 2015, გვ.131-137.
34. ცეცხლაძე ნ., ნეკროტიზმები ქართულში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის შრომები „ფილოლოგიური მაცნე“, II, თბილისი 2015 (გვ.10-18).
35. ცეცხლაძე ნ., კალკური ფრაზეოლოგიზმების პრაგმატიკული ანალიზი სამხრულ კილოებში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შრომები, 1, ბათუმი, 2016.
36. ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2018.
37. ძაგნიძე ქ., თანამედროვე ინგლისური ენის საქმიანი მოლაპარაკების ფრაზეოლოგიური ფონდის თემატური სეგმენტაცია, სადისერტაციო ნაშრომი, ქუთაისი, 2014.
38. წიგნაძე შ., სინონიმთა ლინგვისტური მახასიათებლები და ექსპრესიული შესაძლებლობები ქართულში (ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ინგლისური ენის მასალის გათვალისწინებით), სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2019.
39. ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, თბილისი, 1997.
40. Ахманова О. С., Очерки по общей и русской лексикологии, Москва, 1957.
41. Большая Советская Энциклопедия, т. 10, 1972.
42. Будагов Р.А., Введение в науку о языке, Москва, 1958.
43. Виноградов В., Русский язык. Грамматическое учение о слове, Москва, 1947.
44. Кунин А.В., Фразеологии современного английского языка, Москва, 1972.
45. Кунин А.В., Курс фразеологии современного английского языка, Москва, 1996.
46. Ларин, Б. А., „О народной фразеологии“, История русского языка и общее языкознание, Москва, 1977.
47. Маслова В. А. Лингвокультурология. Москва, 2001.
48. Шевалье Р., Метафорическое восприятие языковой картины мира посредством идиом английского, грузинского, русского и французского языков, Диссертация на соискание академической степени доктора филологии, Батуми, 2016.

49. Чернобай С. Е., Определение идиомы в современной фразеологии, Ученые записки Таврического национального университета им. В. И. Вернадского, Серия „Филология. Социальные коммуникации“, Том 24 (63), № 3, 2011.
50. Hockett C. F., A Course in Modern Linguistic, New York, 1958.
51. Katsarou E.C., Descriptive and Theoretical Aspects of English Idioms, LAP Lambert Academic Publishing AG & Co KG, 2011.
52. Katz, J. J., Postal P. M., Semantic Interpretation of Idioms and Sentences containing them. M.I.T. Research Laboratory of Electronics Quarterly Progress Report, 1963.
53. Longman Dictionary of English Idioms, 1990.
54. Makkai A., Idiom Structure in English, Paris, 1972.
55. McMordie W., English Idioms and How to Use Them, fifth edition, Oxford, 1929.
56. Roberts M. H., The Science of Idiom: A Method of Inquiry into the Cognitive Design of Language, PMLA, Modern Language Association, Vol. 59, No. 1 (Mar., 1944), pp. 291-306.
57. Strässler J., Idioms in English. A Pragmatic Analysis, Tübingen, 1982.
58. The Cambridge Encyclopedia of the English Language, 2003.
59. The New Webster's Encyclopedic Dictionary of the English Language, New York, 1980.
60. Vizetelly F. H., De Bekker L. J., A Desk-Book of Idioms and Idiomatic Phrases in English Speech and Literature, New York and London, 1923.
61. Weinreich U., Problems in the Analysis of Idioms. In J. Puhvel (Ed.) Substance and Structure of Language. Berkeley, California:University of California Press, 1969.
62. Wood M., A Definition of Idiom. Bloomington: Indiana University Linguistics Club, 1986.
63. Aksan D., Her Yönüyle Dil – 3, TDK Yay., Ankara, 1982.
64. Aksoy Ö. A., Atasözleri ve Deyimler Sözlüğü 1-2, İnkılâp Kitabevi, İstanbul, 1988.
65. Aslandaş A. S., Bıçakçı B., Populer Siyasi Deyimler Sözlüğü, İletişim Yayınları, İstanbul, 1995.
66. Bahadınlı, Y. Z., Türkçe Deyimler Sözlüğü, İstanbul, 1971.

67. Ballı E., Devrek yöresinden derlenmiş atasözleri ve deyimlerin tematik açıdan değerlendirilmesi, Yüksek Lisans Tezi, Zonguldak, 2019.
68. Başkan Ö., Yabancı dil öğretimi. İlkeler ve Çözümler, İstanbul, 1969.
69. Borodavchenko V., Türkiye Türkçesi Atasözleri ve Deyimlerinde Aile ve Akrabalık Anlayışı, Yüksek Lisans Tezi, Bursa, 2018.
70. Can Ö., Türkçe Deyimlerin Temsil Ettiği Düşünce İçeriklerinin Bileşenleri Olarak Kavramlar, Dokuz Eylül Üniversitesi, Edebiyat Fakültesi Dergisi, Cilt: 7, Sayı: 1, 2020, ss. 176-190.
71. Chkonia L., Türk Deyim Biçimleri ve Gürcücedeki Eş Anlamlıları, Güneyi-Batı Gürcistan Bilim ve Araştırma Merkezi, Koleksiyon V., 2007.
72. Çevik M., Basın Dilinde Atasözleri ve Deyimler, Yüksek Lisans Tezi, Ankara, 2006.
73. Deyimler sözlüğü, <https://www.dilbilgisi.net/deyimler-sozlugu/>
74. DüNDAR C., Su deyimleri için bir içerik analizi: dildeki su yansımaları, Türk Hijyen ve Deneysel Biyoloji Dergisi, 2020; 77 (EK4: Su ve Sağlık).
75. Gencan T. N., Dilbilgisi, TDK Yay., Ankara, 1979.
76. Hatiboğlu V., Türkçenin Sözdizimi, TDK Yayını, Ankara, 1972.
77. Kavukçu D. N., Türkiye Türkçesindeki Deyimlerin Söz Dizimsel Özellikleri, Yüksek Lisans Tezi, Çankırı, 2018.
78. Kenzhalin K., Türk Dünyasında Deyim Bilimi Çalışmaları, Türk Dünyası (Dil ve Edebiyat Dergisi), 43. Sayı, Ankara, 2017.
79. Kikvadze M., Khakhutaişvili, M., Gürcü-Türk Deyimlerinin Çeviri Problemleri, 14. Uluslararası Sempozyum, 15-17 Ekim, İzmir, Türkiye, 2014.
80. Korkmaz Z., Gramer Terimleri Sözlüğü, TDK Yayınları, Ankara, 2003.
81. Onan B., Özçakmak H., Türkçe Deyimlerde Dil Farkındalığı ve İşlevsel Dil Kullanımı, 2014, <https://www.researchgate.net/publication/287530866>.
82. Özkan F., Şadiyeva G., Somatik Deyimler, BİLİG Türk Dünyası Sosyal Bilimler Dergisi, 2003, Kış, Say 24, s. 135-157.
83. Pala İ., İki Dirhem, Bir Çekirdek, İstanbul, 2004.
84. Par A. H., Türkçe Deyimler Sözlüğü, Serhat Dağıtım Yayınları, İstanbul, 1993.

85. Püsküllüoğlu A., Türkçe Deyimler Sözlüğü, Ankara, 1995.
86. Sinan A. T., Türkçenin Deyim Varlığı, Kubbealtı Yay., Malatya, 2001.
87. Sinan A. T., Deyim kavramı üzerine notlar-I, Fırat Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi, Cilt: 18, Sayı: 2, Elazığ, 2008.
88. Sinan A. T., Deyimlerin yapısı değişir mi? Turkish Studies, International Periodical for the Languages, Literature and History of Turkish or Turkic, Volume 4/8, 2009.
89. Suleymanova G., Oğuz Grubu Türk Lehçelerinde Organ Isimleri ile Yapılan Deyimler (Rusça ve İngilizce ile Karşılaştırmalı Çözümlemesi, Doktora Tezi, Gazi Üniversitesi, Mayıs, 2018.
90. Tandilava L., Tsetskhladze N., Kültürlerarası diyalog Türkçe-Gürcücede deyim varyantlarına göre, dili, edebiyatın ve yapı incelenmesi, 14. Uluslararası Sempozyum 15-17 Ekim, 2014, İzmir, Türkiye.
91. Tandilava L., Khakhutaishvili M. Lingvokültüroloji Açısından Türkçe-Gürcüce Deyim Biçimleri, Istanbul University, Research Institute of Turkology, Department of Art History, Special Issue of The International Virtual Forum – Istanbul 2016: Humanitarian Aspects in Geocultural Space, Istanbul, October 1-6, 2016, s. 766-770.
92. Tsetskhladze N., Tandilava L., Türk-Gürcü Logoepistemlerinde Tercüme Sorunları, Istanbul University, Research Institute of Turkology, Department of Art History, Special Issue of The International Virtual Forum – Istanbul 2016: Humanitarian Aspects in Geocultural Space, Istanbul, October 1-6, 2016, s. 771-776.
93. Türk Dil Kurumu Türkçe Sözlük, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1983, 1. cilt.
94. Uzun L. S., Dilbilimi açısından deyim kavramı ve Türkiye Türkçesindeki örneklerin incelenmesi, Yüksek Lisans Tezi, Ankara, 1988.
95. Uzun L. S., Deyimleşme Ve Türkçede Deyimleşme Dereceleri, Dilbilim Araştır., 1991.

ინტერნეტრესურსები:

96. <https://akhalitaoba.ge/?s> (მოძიებულია 17.05.2021).
97. <https://batumelebi.netgazeti.ge/news/5839> (მოძიებულია 17.05.2021).
98. <https://ptn.ge/tag/zurab-japharidze/> (მოძიებულია 17.05.2021).

99. <https://formulanews.ge/39319> (მომიებულია 17.05.2021).
100. <https://formulanews.ge/Phrase/44154> (მომიებულია 17.05.2021).
101. <http://www.geolit.ge> (მომიებულია 17.05.2021).
102. <https://www.ghn.ge/news/96785> (მომიებულია 17.05.2021).
103. <https://www.doctrina.ge/ra-aris-dro> (მომიებულია 17.05.2021).
104. <https://www.interpressnews.ge/ka/article/629292-gia-xuxashvili> (მომიებულია 17.05.2021).
105. <https://www.interpressnews.ge/ka/article/630828-gia-xuxashvili> (მომიებულია 17.05.2021).
106. <https://www.interpressnews.ge/ka/article/642820-gia-xuxashvili> (მომიებულია 17.05.2021).
107. <https://www.interpressnews.ge/ka/article/646956-gia-xuxashvili> (მომიებულია 17.05.2021).
108. <https://www.interpressnews.ge/ka/article/647232-zurab-japarize> (მომიებულია 17.05.2021).
109. <https://imedinews.ge/ge/politika/183953> (მომიებულია 17.05.2021).
110. <https://netgazeti.ge/news/391411> (მომიებულია 18.05.2021).
111. <https://netgazeti.ge/news/526530> (მომიებულია 18.05.2021).
112. <https://netgazeti.ge/news/528215> (მომიებულია 18.05.2021).
113. <http://newpost.ge/?newsid=251902> (მომიებულია 18.05.2021).
114. <https://news.ge/tag> (მომიებულია 18.05.2021).
115. <http://new.2020news.ge/item/18774> (მომიებულია 20.05.2021).
116. <https://metronome.ge/story/tag> (მომიებულია 20.05.2021).
117. <https://metronome.ge/story/243555> (მომიებულია 20.05.2021).
118. <https://palitraneews.ge> (მომიებულია 20.05.2021).
119. <https://sputnik-georgia.com/politics/20181206/243336712/-----html> (მომიებულია 21.05.2021).
120. <https://www.timer.ge> (მომიებულია 21.05.2021).
121. <https://unipress.ge/news/1884>

122. <https://www.cumhuriyet.com.tr/haber/11302> (მოძიებულია 21.05.2021).
123. <https://www.hurriyet.com.tr/gundem/39033124> (მოძიებულია 21.05.2021).
124. <https://twitter.com/RT Erdogan/status/233656034802143232> (მოძიებულია 21.05.2021).
125. <https://www.star.com.tr/yazar/1319802> (მოძიებულია 21.05.2021).
126. <https://www.tbmm.gov.tr/develop/owa/p1=34548> (მოძიებულია 22.05.2021).
127. <https://www.milliyet.com.tr/siyaset/1850911> (მოძიებულია 22.05.2021).
128. <https://www.hurriyet.com.tr/gundem/22621388> (მოძიებულია 22.05.2021).
129. <https://www.haberler.com/10123576-haberi> (მოძიებულია 22.05.2021).
130. https://www.youtube.com/watch?v=jw_2eATmNRg (მოძიებულია 22.05.2021).
131. <https://www.dailymotion.com/video/x3x2c6f> (მოძიებულია 22.05.2021).
132. <https://www.mersinhaberci.com/haber/16982/> (მოძიებულია 22.05.2021).
133. <https://www.cumhuriyet.com.tr/haber/499294> (მოძიებულია 23.05.2021).
134. <https://www.haberler.com/mhp-genel-baskani-devlet-bahceli-2-9288209-haberi/> (მოძიებულია 23.05.2021).
135. https://www.youtube.com/watch?v=2_8L22-Xr4s (მოძიებულია 23.05.2021).
136. <https://rustavi2.ge/ka/news/180534> (მოძიებულია 23.05.2021).
137. <https://1tv.ge/news/> (მოძიებულია 22.05.2021).
138. <https://www.interpressnews.ge/ka/article/668140> (მოძიებულია 4.08.2021).